www.24saati.ge

# 24 საათი

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი 5 დეკემბერი, 2008 წელი. №272 (2016) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი

*2424

მოსამართლე და თორმეტი მსაჯული

A6



რუსეთის ჯიუტი პოზიცია

A8



"პაკრიჭკები" წერეთლისგან

A9



# ომის „დიპლომატიური ექო" ფინეთში

გიორგი ასანიშვილი

*ფინეთის დედაქალაქში ეუთო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა ტარდება. ჰელსინკის სავაჭრო ცენტრში "ძველი სამყაროს" დიპლომატიურ უწყებათა ლიდერების რეკორდული რაოდენობაა შეკრებილი. ძალზე მაღალია მინისტერიალის დონეც: 51 ქვეყნის საგარეო პოლიტიკური უწყებება აქ პირველი პირით არის წარმოდგენილი. ფორუმზე საქართველოს დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრი ეკა ტყეშელაშვილი ხელმძღვანელობს. ჰელსინკიში ჩასულია აგრეთვე ტყეშელაშვილის რუსი კოლეგა სერგეი ლავროვი.*



AFP ' 2008

*ეკა ტყეშელაშვილი: "ეუთო-ს მინისტერიალი არ არის ისეთი ტიპის ფორუმი, რომ მის მიმართ კონკრეტული გადაწყვეტილების მოლოდინი არსებობდეს.*

## დასავლეთი მოსკოვს აკრიტიკებს

ევროპის ქვეყნების დიპლომატები აგვისტოს მოვლენებისა და მის შემდეგ შექმნილი მდგომარეობის შეფასებებში ერთსულოვანნი არიან.

ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე ალექსანდრ სტუბი, რომელიც ამავე დროს ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრია, მისი ფრანგი და გერმანელი კოლეგები, ბერნარ კუშნერი და ფრანკ ვალტერ შტაინმაიერი, დაჟინებით ითხოვენ, რომ რუსეთმა ბოლომდე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები და გაიყვანოს თავისი ჯარები სოფელ პერევიდან, ახალგორის რაიონიდან და კოდორის ხეობიდან. ჰელსინკის მინისტერიალის წამყვანი პერსონები მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებასაც მკაცრად გმობენ.

**"ეუთო საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა. კონფლიქტის დაწყებიდან მე და ბატონი სტუბი თბილისსა და მოსკოვში ვიმყოფებოდით. მივაღწიეთ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, მაგრამ ეს არ არის და ვერც იქნებოდა სრულყოფილი დოკუმენტი. თუმცა, კარგი იყო იმ დროს. ჩვენ ვგმობთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობას და ვითხოვთ, რომ რუსეთმა გაიყვანოს ჯარები სოფელ პერევიდან, ახალგორის რაიონიდან და კოდორის ხეობიდან,"** - რუსეთის მიმართ მკაცრ ტონთან ერთად, საქართველოს გეოგრაფიაში "ღრმა ცოდნას" ამჟღავნებს ფრანგი დიპლომატი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# კოკოითის ბრძოლა 10 მილიარდისთვის

ეკა ჯანაშია

ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტ კოკოითის განცხადებით, აგვისტოს მოვლენების დროს, მას ხელში ჩაუვარდა ქართული დაზვერვის კუთვნილი კომპიუტერის მყარი დისკი.

მისი თქმით, დისკზე ინახებოდა საიდუმლო ინფორმაცია საქართველოს მიერ ჯაშუშების გადაბირების შესახებ. **„ახლა ვიცით, ვინ მუშაობდა ქართველებზე და ვის რამდენს უხდიდნენ,"** - განაცხადა კოკოითმა.

დე ფაქტო პრეზიდენტის თქმით, დიმიტრი სანაკოევი და კიდევ რამდენიმე ადამიანი საქართველოს ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 1998 წელს გადაიბირა.

**„ახლა შეიძლება, დარწმუნებით ითქვას, რომ სამხრეთ ოსეთის მთავრობა ქართულ სპეცსამსახურებთან თითქმის მთლიანად იყო დაკავშირებული. მათ რესპუბლიკა სრული გაკოტრებისკენ მიჰყავდათ, რათა შემდეგ ის ამერიკული ფულით ეყიდათ,"** - განაცხადა ცხინვალის რეგიონის მთავარმა სეპატარისტმა ინტერვიუში, რომელიც „რასიისკაია გაზეტაში" გამოქვეყნდა.

ინტერვიუმდე ერთი დღით ადრე, ე.წ. სამხრეთ ოსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი ანატოლი ბარანკევიჩი კოკოითს საჯაროდ დაემუქრა და იმ კომპრომატების გამოქვეყნებას დაჰპირდა, რომლის მიხედვითაც ნათელი გახდებოდა, თუ ვინ იპარავდა ე.წ. სამხრეთ ოსეთისთვის რუსეთის ბიუჯეტიდან გადმორიცხულ ფულს.

ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე მიიჩნევს, რომ ბარანკევიჩის განცხადება, შესაძლოა, მოსკოვის მხრიდან, კოკოითის მოცილების მიზნით, მის წინააღმდეგ კომპრომატების ომის დაწყებას ნიშნავდეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ირაკლი ალასანია - სასურველი ლიდერი „მემარჯვენეებისთვის"

*"მემარჯვენეებსა" და "რესპუბლიკელებს" შორის მიმდინარე აქტიური კონსულტაციების ეტაპზე ვრცელდება ხმები, თითქოს არ არის გამორიცხული, ორი დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის ერთობაში ლიდერის ფუნქცია გაერო-ში საქართველოს წამომადგენელ ირაკლი ალასანიას დაეკისროს.*

ვერიკო თევზაძე

ალასანია "მემარჯვენეებისთვის" მისაღები და სასურველი ლიდერია, "რესპუბლიკელები" კი ამ თემაზე საუბარს ნაადრევად მიიჩნევენ.

"რესპუბლიკელმა" დავით ბერძენიშვილმა, "24 საათთან" საუბრისას, იმედი გამოთქვა, რომ მათი და "მემარჯვენების" კონსულტაციები წარმატებით დასრულდება, ისინი დამოუკიდებელ პოლიტიკურ სუბიექტებად დარჩებიან, მაგრამ გარკვეული კონფიგურაციის ჩარჩოში გაერთიანდებიან და ხელისუფლების რეალურ ალტერნატიულ ძალად იქცევიან. **"ეს იქნება დემოკრატიული და პატრიოტული ძალა. ხელისუფლება დემოკრატიის დეფიციტსაც განიცდის და პატრიოტიზმისაც,"** – დასძინა ბერძენიშვილმა.

სერიოზული სამზადისის თაობაზე ორივე პოლიტიკური ძალა საჯაროდ აცხადებს, თუმცა ლიდერის თემაზე ყურადღებას არ ამახვილებენ. შესაძლოა, იმიტომაც, რომ საკითხი ბოლომდე არ არის გარკვეული. ამის თქმის საფუძველს დავით ბერძენიშვილის "24 საათისთვის" მიცემული კომენტარიც იძლევა:

გაგრძელება A2 გვერდზე

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

# ნათელაშვილს ყველა არ ბაძავს

დათო გამისონია

*ნატო-ს მინისტერიალზე მიღებული გადაწყვეტილება "ლეიბორისტული პარტიისთვის" საკუთარი პოზიციის ღიად გამოხატვის საფუძველი გახდა. საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას ამ დრომდე ღიად რამდენიმე პოლიტიკური ფიგურა თუ ეწინააღმდეგებოდა. მათ შორის იყვნენ გოჩა ფიფია და ირინა სარიშვილი. ხოლო "ლეიბორისტებმა" ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ, სხვა ოპოზიციურ პარტიებთან ერთად, ხელი მოაწერეს "საგურამოს მანიფესტს", სადაც პოლიტიკური სუბიექტების მიერ დეკლარირებული იყო საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების აუცილებლობა.*

"ლეიბორისტული პარტიის" თავმჯდომარემ შალვა ნათელაშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე საქართველოს ხელისუფლებას და პრეზიდენტ სააკაშვილს ურჩია, თავი დაანებონ ნატო-ში გაწევრიანებაზე ფიქრს. ნათელაშვილის თქმით, **"ის ფაქტი, რომ საქართველოს მოერღვა გალავანი, დაიშალა სამ ნაწილად, დავიქეცით და გავნადგურდით, გამოწვეულია სააკაშვილის დიქტატორული რეჟიმის პათოლოგიურ-ისტერიული სწრაფვით ნატო-სკენ, სადაც ჩვენ წევრობა კი არა, კანდიდატობაც ვერ მივიღეთ. სამაგიეროდ, რუსეთისგან დავიმსახურეთ ინტერვენცია და ქვეყნის სრული განადგურება, დაშლა-ოკუპაცია."**

შალვა ნათელაშვილი ტერიტორიული მთლიანობის რღვევის მიზეზებს საქართველოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსისკენ სწრაფვაში ხედავს. „ლეიბორისტებმა" დაასკვნეს, რომ ალიანსში გაწევრიანება ეწინააღმდეგება საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს არსებობას: **„დასკვნა ისტორიის ამ მწარე გაკვეთილისა არის ის, რომ საქართველო უნდა გახდეს დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო და არ შეიძლება რომელიმე სამხედრო ბლოკში გაწევრიანდეს. მხოლოდ ეს დაგვიბრუნებს ტერიტორიებს, მხოლოდ ეს გადაგვარჩენს ფიზიკურად, კულტურულად, ეროვნულად და ინტელექტუალურად. სხვა გზა უფსკრულისკენ მიდის,"** - განაცხადა „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" ლიდერმა.

ბრიუსელში საქართველოსთვის ნატო-ს სამოქმედო გეგმის მიცემაზე უარი „ახალი მემარჯვენეებისთვის" პოლიტიკური პოზიციის შესაცვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა. მათი თქმით, სტრატეგიული ხედვები ამ ტიპის გადაწყვეტილებებით არ იცვლება. პარტიის ერთ-ერთი ლიდერის მამუკა კაციტაძის აზრით, **„მინისტერიალზე ისეთი განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, რომ პარტიამ აღებულ პროდასავლურ კურსს გადაუხვიოს. საქართველომ MAP-ი ვერ მიიღო იმის გამო, რომ ხელისუფლებამ აღებულ ვალდებულებებს თავი ვერ გაართვა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წინაშე გამოცდა ვერ ჩააბარა. ამის მიუხედავად, ნატო-ში გაწევრიანების შანსს ისევ ვინარჩუნებთ. ამისთვის აუცილებელია, საქართველოს მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ შეასრულოს აღებული ვალდებულებები - ძირითადად, მედიის თავისუფლებისა და სასამართლოს სფეროში."**

„ახალი მემარჯვენეების" წევრმა შეაფასა „ლეიბორისტების" პოლიტიკური განცხადება. მისი თქმით, **„ამ პარტიას არც ადრე ჰქონია მკაფიოდ გამოხატული პოზიცია ნატო-ს შესახებ და ამ საკითხს ყოველთვის ფრთხილად უდგებოდა. ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ მათ 180 გრადუსით შეიცვალეს პოზიცია. უბრალოდ, ახლა ამის შესახებ აშკარად განაცხადეს,"** – აღნიშნა კაციტაძემ.

„რესპუბლიკელი" დავით ზურაბიშვილი განმარტავს, რომ MAP-ის მიღება-არმიღების მიუხედავად, მათი პარტია დასავლური პოლიტიკური ორიენტაციის ერთგული დარჩება: **„სხვა საკითხია ის, რომ ნატო-ში გაწევრიანების გზაზე ხელისუფლება სათანადო ძალისხმევას არ იჩენს და უფრო მეტიც, ის არასწორი გზით მიდის."** ზურაბიშვილი გამოეხმაურა შალვა ნათელაშვილის პრესკონფერენციას, თუმცა „ლეიბორისტების" პოზიციის მკვეთრი შეფასებისგან თავი შეიკავა. ყველა პარტიას აქვს საკუთარი პოზიციის გამოხატვის უფლება და მათ შორის, რა თქმა უნდა, „ლეიბორისტებსაც" – აღნიშნა დავით ზურაბიშვილმა.

# კოკოითის ბრძოლა 10 მილიარდისთვის

პირველი გვერდიდან

**"კოკოითი ჩამოაცილეს იმ თანხების განკარგვას, რომლებიც მოსკოვიდან მოდის. ამის გამო რამდენიმე დღის წინ, კოკოითს ფინანსების საკითხზე მწვავე სიტყვიერი დაპირისპირება მოუვიდა რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის ფინანსთა მინისტრად დანიშნულ პანტელეევთან,"** – ამბობს არეშეიძე.

ომის შემდეგ რუსეთის ბიუჯეტიდან ცხინვალის რეგიონისთვის გამოყოფილი 10 მილიარდი რუსული რუბლი რუსეთის ყველაზე დიდი ავტონომიებისთვისაც კი ასტრონომიული თანხაა. **„ასტრონომიული ოდენობიდან გამომდინარე, ფსონი გაიზარდა და ამ თანხებზე კონტროლის დაბრუნებისთვის კოკოითი ყველაფერზე წავა,"** - აცხადებს მამუკა არეშიძე. მისივე თქმით, ამის გამო ცხინვალის რეგიონში ვითარება ძალიან საშიში და ფეთქებადია.

**„იმისთვის, რომ მოსკოვისთვის მუდმივად საჭირო კაცად დარჩეს, კოკოითი ფართომასშტაბიანი კონფლიქტის დაწყებაზეც წავა. ამ დროისთვის ცხინვალის რეგიონში უმძიმესი ვითარებაა: ადამიანები, რომლებიც ერთმანეთს ებრძოდნენ და ცოლ-შვილი დაუხოცეს, ერთმანეთისგან 50 მეტრის დაშორებით, შეიარაღებულები დგანან. სწორედ ამის გამო იქ მუდმივი სროლაა. მათ შუა შეუიარაღებელი უცხოელი მონიტორები დადიან, რომლებიც ვერაფერს აკეთებენ. ამიტომაც იქ ფართომასშტაბიანი კონფლიქტის განახლების საფრთხე ძალიან რეალურია.**

**ახლა რეგიონში კონფლიქტის განახლება მხოლოდ კოკოითს აძლევს ხელს. ამ შემთხვევაში ერთადერთი შემაკავებელი, ოღონდ ძალინ სუსტი ფაქტორი, შეიძლება იყოს მისი დაძაბული ურთიერთობა ადგილობრივ ძალოვნებთან და "აპალჩენცებთან". "აპალჩენცების" ყველაზე ავტორიტეტული მეთაური ბალა ბესტაევი კოკოითის მტერია, რადგან ახალი მთავრობის ფორმირებისას მთავრობის მეორე რგოლშიც კი ვერავინ მოხვდა იმ ადამიანებიდან, ვინც იბრძოდა. დიდი მოლაპარაკებების შედეგად, ერთადერთი იბრაგიმ გასიევი დაანიშნინეს თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე.**

**თუმცა აღსანიშნავია, რომ ცხინვალის რეგიონში არის ომონის დაჯგუფება, რომელიც კოკოითის უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფება, მისი პირადი დაცვის ფუნქციას ასრულებს და მზად არის, ბრძანების შემთხვევაში შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყოს. ამ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალია - მოაშორონ იქაურობას კოკოითი. რაც უფრო მეტ ხანს დარჩება ის რეგიონში, მდგომარეობა მით უფრო გამწვავდება. კოკოითი არ არის ბაგაფში, რომელიც, მართალია, ჩვენი მტერია, მაგრამ, ასე თუ ისე, ჩამოყალიბებული პიროვნებაა. კოკოითი ბანდიტია. ამ ბანდიტის დღევანდელი განცხადებების მთავარი მიზანია, რომ მოსკოვს საკუთარი საჭიროება დაუმტკიცოს. რაც შეეხება განცხადების ფაქტობრივ მხარეს - არ გამოვრიცხავ, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ძველ მთავრობაში პროქართულად განწყობილი ადამიანები იყვნენ და სპეცსამსახურებთანაც თანამშრომლობდნენ, თუმცა მთელი მთავრობა ასეთი რომ ყოფილიყო, ცხინვალის პრობლემა აქამდე მრავალჯერ გადაწყდებოდა და იქ სეპარატიზმის აჩრდილიც არ იარსებებდა,"** – ასეთი გახლავთ კავკასიის საკითხებში ექსპერტის, მამუკა არეშიძის პოზიცია.

# ირაკლი ალასანია - სასურველი ლიდერი „მემარჯვენეებისთვის"

პირველი გვერდიდან

**"ამ თემაზე საუბარი ნაადრევია. დღეს ეს არ არის არსებითი საკითხი".**

სამაგიეროდ, "მემარჯვენეები" გაერო-ში საქართველოს წარმომადგენლისადმი პოლიტიკურ სიმპატიებს საჯაროდ გამოხატავენ.

ცნობილია, რომ დავით გამყრელიძის პარტიისთვის კატეგორიულად მიუღებელია ყველა ის ფიგურა თუ ლიდერი, ვინც ერთ დროს ხელისუფლებაში იმყოფებოდა და შემდეგ ოპოზიციურ ფრონტზე გადაინაცვლა. "მემარჯვნეების" გულის მოლბობა ვერ შეძლო "გაერთიენებული ოპოზიციის" მიერ აღზევებულმა ირაკლი ოქრუაშვილმა. ისინი არც ახლად შექმნილი პარტიის ლიდერ და ყოფილ სპიკერ ნინო ბურჯანაძეს წყალობენ. იგივე ითქმის ექსპრემიერ ზურაბ ნოღაიდელზეც. "მემარჯვენები" "ყოფილების" მიმართ ხაზგასმულ სიმკაცრეს იჩენენ და მათ ხელისუფლებაში ყოფნის პასუხისმგებლობას შეახსენებენ.

დიპლომატიურ ასპარეზზე მყოფი ირაკლი ალასანია, რომელსაც მანამდე საქართველოს ხელისუფლებაში სხვადასხვა თანამდებობა ეკავა, ერთადერთი გამონაკლისია, ვის მიმართაც "მემარჯვენეებს" არანაირი პრეტენზია არ გასჩენიათ. მანანა ნაჭყებიას შეფასებით, ალასანია ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში **"ყოველთვის ადეკვატურ ნაბიჯებს დგამდა, ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ეტაპზე სწორ პოზიციას გამოხატავდა".**

ნაჭყებიამ "24 საათთან" საუბარში დაადასტურა გავრცელებული ხმები "მემარჯვენეების" ლიდერ დავით გამყრელიძისა და ირაკლი ალასანიას შეხვედრების თაობაზე: **"ისინი რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს. თუმცა საუბარი ლიდერის თემატიკას არ ეხებოდა".** მანანა ნაჭყებია დასძენს, რომ "მემარჯვენეებსა" და ირაკლი ალასანიას შორის, **"შექმნილ ვითარებაზე საერთო ხედვა არსებობს".** თუმცა, "მემარჯვენე" პოლიტიკოსის განმარტებით, ჯერჯერობით უცნობია, საბოლოოდ რა გადაწყვეტილებას მიიღებს თავად ალასანია. **"მივესალმებით, თუკი ის მიიღებს გადაწყვეტილებას და ამ კრიზისულ სიტუაციაში თავის თავზე აიღებს პასუხისმგებლობას. ჩვენი აზრით, ეს ქვეყნისთვის საჭიროა, აუცილებელია,"** - განაცხადა ნაჭყებიამ.

მანანა ნაჭყებიამ გუშინ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ზურაბ ნოღაიდელის და ბურჯანაძის პარტიები ვერასოდეს გახდება "მემარჯვენეების" სერიოზული მოკავშირე და მათი ურთიერთობა კოორდინირებულ ქმედებას ვერ გასცდება.

# პოსტსაომარი ზარალი ციფრებში

*ოქტომბრის ბოლოს "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ" 1000 მეწარმე გამოკითხა. გამოკითხვის მიზანი აგვისტოს ომის შედეგების შეფასება გახლდათ. კვლევა "მეწარმეობის მხარდაჭერის საერთაშორისო ცენტრის" დაფინანსებით ჩატარდა. კვლევის შედეგების მიხედვით, კრიზისმა ყველაზე მეტად ტურიზმის და მშენებლობის სექტორები დააზარალა.*

რესპონდენტები საუბრის დასაწყისშივე აფასებდნენ საკუთარი ბიზნესის მოცულობას. გამოკითხულთა 55,3 პროცენტს მცირე კომპანიები შეადგენენ, 39,2 პროცენტს - საშუალო ზომის, ხოლო 5,5 პროცენტს დიდი კომპანიები. გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, კონფლიქტმა ნეგატიური (44 პროცენტი) და ძალიან ნეგატიური (42 პროცენტი) გავლენა იქონია ბიზნესზე, მხოლოდ 2 პროცენტმა აღნიშნა, რომ აგვისტოს თვეში განვითარებულ მოვლენებს კერძო სექტორზე გავლენა არ მოუხდენია.

რაც შეეხება უშუალოდ მათ ბიზნესზე ასახულ გავლენას - ბაზარზე გაყიდვების პროცესი გართულდა რესპონდენტთა 33 პროცენტისთვის, ძალიან გართულდა - 37 პროცენტისთვის, ხოლო კვლევაში მონაწილეთა 17,4 პროცენტისთვის გაყიდვები არ გართულებულა.

აღსანიშნავია, რომ ბიზნესების ზომის მიხედვით პროცენტული მაჩვენებლები სხვადასხვა თანაფარდობით გადანაწილდა. ყველაზე მეტად გაყიდვების პროცესი დიდი ზომის კომპანიებს გაურთულდათ. აგვისტოს კონფლიქტი გაყიდვების პროცესზე ბიზნესის სფეროების მიხედვითაც განსხვავებულად აისახა. გაყიდვები ძალიან გართულდა ტურიზმის სექტორში (69 პროცენტი), ასევე მშენებლობისა (44 პროცენტი) და მომსახურების (40 პროცენტი) სფეროებში.

კონფლიქტის შედეგად წარმოიშვა მთელი რიგი სირთულეები საქართველოს ტერიტორიაზე პროდუქტის ტრანსპორტირებისთვის. რესპონდენტებმა შეაფასეს, თუ რამდენად პრობლემატური იყო მათთვის აღნიშნული საკითხი. კვლევაში მონაწილეთა 51 პროცენტს უშუალოდ რაიმე სირთულე ტრანსპორტირების გამო არ შექმნია, დარჩენილ ნაწილს ეს პროცესი სხვადასხვა დონით გაურთულდა. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მცირე საწარმოები თვითონ არ უზრუნველყოფენ მომარაგებას, შესაბამისად, ტრანსპორტირების პრობლემა ყველაზე ნაკლებად მათზე აისახა.

კონფლიქტის პერიოდში ქართული ბიზნესის ნაწილი მაროდიორობის მსხვერპლი გახდა. გამოკითხულ რესპონდენტთა 2,4 პროცენტს მატერიალური ზარალი რუსული ჯარების მარადიორობის შედეგად მიადგა. ასეთი 24 კომპანია სამეგრელო-ზემო სვანეთისა და შიდა ქართლის რეგიონებშია განლაგებული. ზარალის საშუალო მაჩვენებელი კი 133 000 ლარს შეადგენს.

უდავოა, რომ კერძო სექტორის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ის, თუ რამდენად ახერხებს ბიზნესი ფინანსური წყაროების მოზიდვას და გაფართოებას. კონფლიქტის დაწყებამდე გამოკითხულ რესპონდენტთა 28 პროცენტი ბიზნესის გაფართოებას სხვადასხვა საშუალებით გეგმავდა: 55 პროცენტი აპირებდა კრედიტის აღებას, 8 პროცენტი - ინვესტორის მოძიებას, ხოლო 37 პროცენტი თვითონ აპირებდა ამოღებული სახსრების რეინვესტირებას. საბოლოო ჯამში კი, მხოლოდ 12 პროცენტმა მოახერხა გეგმების განხორციელება.

კონფლიქტის შემდგომ საინვესტიციო პროცესების 39 პროცენტი თავად ბიზნესმენებმა გარკვეული ვადით გადადეს, 20 პროცენტს კი ბანკმა/ინვესტორმა უარი განუცხადა და სიტუაციის გაუმჯობესებას ელოდება.

მიუხედავად პრობლემებისა, მეწარმეები საკმაოდ ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. გამოკითხულთა 18 პროცენტის შეფასებით, კონფლიქტს მათ ბიზნესზე გავლენა არ მოუხდენია; 19 პროცენტი რეაბილიტაციას 3 თვემდე პერიოდში მოახერხებს, ხოლო გამოკითხულთა თითქმის მესამედი რეაბილიტაციას 3-6 თვემდე პერიოდში შეძლებს. გამოკითხულ რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ ზოგადად კერძო სექტორის რეაბილიტაციისათვის, საშუალოდ, 6 თვე იქნება საჭირო. თუმცა, აღნიშნული პერიოდის ხანგრძლივობა ბიზნესის სფეროების მიხედვით განსხვავებულია. ვაჭრობის სფეროს წარმომადგენელთა 66 პროცენტის შეფასებით, ისინი ბიზნესის რეაბილიტაციას ექვს თვემდე პერიოდში შეძლებენ, ხოლო ტურიზმის სფეროს წარმომადგენელთა 18 პროცენტის აზრით, მათ რეაბილიტაციისთვის თვრამეტ თვეზე მეტი დასჭირდებათ.

*საკუთარი ინფორმაცია*

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ომის „დიპლომატიური ექო" ფინეთში

პირველი გვერდიდან

ბერნარ კუშნერის მსგავსად, კატეგორიული და ემოციურია ალექსანდრ სტუბიც.

**"მე ომი საკუთარი თვალით პირველად ვნახე. ეს საშინელებააა. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ კონფლიქტები აღარ მოხდეს. გარკვეული წინსვლა არის, მაგრამ სამწუხაროა, რომ ეუთო-ს დამკვირვებლებს სამხრეთ ოსეთში კვლავ არ უშვებენ... აგვისტოს მერე ეკა ტყეშელაშვილს და ზოგიერთ სხვა კოლეგას უფრო ხშირად ვხვდები, ვიდრე ჩემს მეუღლეს,"** - დასძენს ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე.

მტკიცე პოზიცია აქვს გერმანიის საგარეო პოლიტიკური უწყების პირველ პირსაც.

**"აგვისტოს მოვლენებმა აჩვენეს, რომ აუცილებელია უსაფრთხოების ახალ პრინციპებზე მსჯელობის დაწყება. მივესალმები ჟენევის მოლაპარაკებების გამართვას, რადგან ეს აუცილებელია მხარეებს შორის ნდობის აღსადგენად. საქართველოში არსებული კონფლიქტები ამ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში უნდა მოგვარდეს,"** - მოითხოვს ფრანკ ვალტერ შტაინმაიერი.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწე მეთიუ ბრაიზაც, ევროპელი დიპლომატების მსგავსად, კატეგორიულად ითხოვს საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის შეიარაღებული ძალების გაყვანას და აცხადებს, რომ რუსეთმა უნდა დაუშვას საერთაშორისო დამკვირვებლები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რათა მოხდეს ვითარების რეალური შეფასება და შესაძლებელი გახდეს ობიექტური დასკვნების გამოტანა.

**"რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს რუსეთის საჯარისო ფორმირებების დაბრუნებას 6 აგვისტოს პოზიციებზე. ნებისმიერი რუსი სამხედრო პირის ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე არის ძალადობა. მოვუწოდებ რუსეთს, შეასრულოს მისი პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება,"** - დასძენს მეთიუ ბრაიზა.

### ქართული მხარის პოზიცია

გუშინ ჰელსინკიში სიტყვით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრიც გამოვიდა. დილის ხდომაზე ტყეშელაშვილმა კიდევ ერთხელ შეახსენა ევროპელ კოლეგებს, რომ რუსული სამხედრო ნაწილები ომამდე არსებულ პოზიციებზე არ დაბრუნებულან და საქართველოს ტერიტორიის ნაწილზე რჩებიან. მინისტერიალის მონაწილეებს მან ასევე აუწყა, რომ რუსეთის საოკუპაციო ჯარები მიზანმიმართულად მოქმედებენ საქართველოს ეკონომიკის დასანგრევად.

**„ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ ქვეყნის ეკონომიკა ომის მეორე მსხვერპლი გახდეს. უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენი უსაფრთხოების ერთ-ერთი საფუძველი ეკონომიკის სიმყარეა,"** - აცხადებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

ტყეშელაშვილი იმასაც აღნიშნავს, ცეცხლის შეწყვეტის პროცესი არამყარია და აუცილებელია თამამი ინიციატივების წამოწევა, რათა ეს პროცესი გრძელვადიანი და მყარი გახდეს.

რაც შეეხება ეუთო-ს მანდატს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი აღნიშნავს, რომ ეუთო-ს ყველა საფუძველი აქვს, კონფლიქტურ რეგიონებში იმოქმედოს და გაძლიერდეს.

**„ვერ ვიტყვი, რომ ეუთო-ს მანდატი მოძველდა,"** - მიიჩნევს ტყეშელაშვილი. მისივე განცხადებით, აუცილებელია საქართველოში არსებულ კონფლიქტის ზონებში საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დამკვირვებლების განთავსება.

ომისშემდგომი პერიოდის მდგომარეობა და კონფლიქტების მოგვარების საკითხები ეკა ტყეშელაშვილმა ორმხრივი შეხვედრების დროსაც განიხილა: საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გუშინ გერმანიის, საბერძნეთის, ნიდერლანდების, ფინეთის და თურქეთის მთავარ დიპლომატებთან გამართა მოლაპარაკებები...

### რუსეთი კვლავ ყველას წინააღმდეგ

გუშინ საღამოს ეუთო-ს მინისტერიალის სხდომაზე სერგეი ლავროვიც უნდა გამოსულიყო, მაგრამ რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყების პირველმა პირმა ეს უფლება არ გამოიყენა. სავარაუდოდ, ლავროვი დღეს გააკეთებს განცხადებას ან საგანგებო ბრიფინგს გამართავს.

სამაგიეროდ, როგორც ირკვევა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი საკმაოდ აქტიურობდა დახურულ ლანჩზე, რომელიც დაგეგმილი ერთი საათის ნაცვლად, სამ საათს გაგრძელდა და მისი მიმდინარეობის დროს ლავროვმა მოსკოვის ახალი ინიციატივა წარადგინა. თუმცა, ირკვევა ისიც, რომ დმიტრი მედვედევის გზავნილმა ევროპელი დიპლომატები მაინცადამაინც ვერ დააინტერესა.

როგორც ლანჩის შემდეგ ალექსანდრ სტუბმა განაცხადა, რაიმე კონკრეტული დოკუმენტი, კონცეფცია ან პრინციპები ჯერჯერობით ჩამოყალიბებული არ არის.

**"არსებობს უფრო მეტი კითხვები, ვიდრე პასუხები, მაგრამ ამ საკითხზე დისკუსიის დაწყება და წარმართვა მნიშვნელოვანია,"** - ეჭვის თვალით უყურებს რუსეთის ინიციატივას ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ეკა ტყეშელაშვილი კი ამ ინიციატივას მკვეთრად გამოხატულ უარყოფით შეფასებას აძლევს: **"ეუთო-ს წევრი 56 სახელმწიფოდან 55 ქვეყანა ეწინააღმდეგება რუსეთის ინიციატივას ევროპის უსაფრთხოების ახალი სისტემის შექმნის თაობაზე. რუსეთი არის ერთადერთი ქვეყანა, რომელიც მოითხოვს და მიიჩნევს, რომ უნდა შეიქმნას უსაფრთხოების ახალი სისტემები. ეუთო-ს ყველა წევრი სახელმწიფო, რუსეთის გარდა, ამბობს, რომ უსაფრთხოების ის სისტემები, რომელიც დღეისათვის არსებობს, მისაღებია და საჭიროა მათი მხოლოდ გაუმჯობესება, ხოლო რუსეთს მიაჩნია, რომ არსებულ უსაფრთხოების სისტემებში თავს კომფორტულად ვერ გრძნობს და სურს, უსაფრთხოების თავისებური სისტემა და ღირებულებები დანერგოს"...**

ჰელსინკის მინისტერიალი დღეს დაასრულებს მუშაობას. მის ფარგლებში რაიმე პოლიტიკური დეკლარაციის მიღების ალბათობა საკმაოდ მცირეა, ვინაიდან მსგავსი დოკუმენტების მიღება ეუთო-ში კონსენსუსით ხდება. იმის გათვალისწინებით კი, რომ საქართველოს შესახებ დეკლარაციაში შესატანი პარაგრაფები, შესაძლოა, რუსეთისთვის მიუღებელი აღმოჩნდეს, მოსკოვს ამ დეკლარაციის დაბლოკვა არ გაუჭირდება.

ალბათ, ამიტომაც არის, რომ ქართულ დელეგაციას დიდი ოპტიმიზმი არ აქვს: ეკა ტყეშელაშვილი პირდაპირ აცხადებს, რომ ეუთო-ს მინისტერიალი არ არის ისეთი ტიპის ფორუმი, რომ მის მიმართ კონკრეტული, პრაქტიკული და უშუალო გამოსავლის ან გადაწყვეტილების მოლოდინი არსებობდეს.

# აფხაზური ქრონიკა

ნათია მსხილაძე

### გამკაცრებული საზღვარი

საქართველო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე სეპარატისტების მიერ დადგენილი მოძრაობის რეჟიმი უცვლელი რჩება. საზღვრის გადაკვეთა უპრობლემოდ მხოლოდ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის თანამშრომლებს შეუძლიათ. რაც შეეხება დანარჩენ მოქალაქეებს, შესაძლოა, გალის რაიონის ხელმძღვანელობამ მათზე საშვები ექსტრემალურ სიტუაციაში გასცეს. **„საზღვარი იმ ქვეყანასთან, რომლისგან ჯერ კიდევ მოსალოდნელია სამხედრო აგრესიის საფრთხე, შესაბამისად უნდა იყოს დაცული. გალის რაიონის უსაფრთხოების ზონაში რუსული სამშვიდობოები აფხაზმა სამხედროებმა ჩაანაცვლეს, რადგან ამ ეტაპზე ყველაზე მთავარი საზღვრის გამაგრებაა,"** - ეს განცხადება აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა სოხუმის ტელევიზიის ეთერში გააკეთა.

ის ფაქტი, რომ აფხაზი მესაზღვრეები მოქალაქეებისგან ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთისთვის ფულს იღებენ, სერგეი ბაგაფშმაც აღიარა და აღნიშნა, რომ მსგავსი ქმედებები აუცილებლად აღიკვეთება.

რაც შეეხება ევროკავშირის სამხედრო დამკვირვებელთა გადაადგილებას,

მათ ბაგაფში აფხაზეთის ტერიტორიაზე არასანქცირებულ და უკანონო შესვლაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ დამკვირვებლები აფხაზეთის ხელისუფლების ნებართვის გარეშე საზღვარს ვერ გადაკვეთენ. **"თუკი ევროკავშირის დამკვირვებლებს აფხაზეთის ხელისუფლებასთან რომელიმე საკითხის განხილვა სურთ, ამგვარი საკითხები, ზოგადად, საგარეო საქმეთა სამინისტროს ხაზით წყდება და ამისთვის სულაც არ არის საჭირო აფხაზეთის ტერიტორიაზე არასანქცირებულად და უკანონოდ შემოღწევის მცდელობები. არასასურველი და არასასიამოვნო სიტუაციების თავიდან აცილების მიზნით, მოვუწოდებ ევროკავშირის დამკვირვებლებს, შეწყვიტონ აფხაზეთის ტერიტორიაზე შემოღწევის უკანონო მცდელობები,"** - აცხადებს აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი.

რუსულ მედიასთან საუბარში აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი დარწმუნებით ამბობს, რომ ევროკავშირის დამკვირვებლები თავის მისიას ვერასდროს შეასრულებენ.

ბაგაფშის ბრალდებები უკომენტაროდ არც ევროკავშირის ჯგუფის წარმომადგენლებს დაუტოვებიათ. სტივ ბერდის განცხადებით, სეპარატისტული მთავრობის წინააღმდეგობის მიუხედავად, ევროკავშირის დამკვირვებლები ყველანაირად ეცდებიან აფხაზეთის ტერიტორიებზე შეღწევას. **"ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას, რათა შევასრულოთ ჩვენი მანდატი, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიას მოიცავს - აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ჩათვლით,"** - აცხადებს სტივ ბერდი.

### პასპორტიზაციის დაჩქარებული რეჟიმი

„ინტერფაქსის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გალის რაიონის იმ მცხოვრებთათვის, რომლებმაც აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მოქალაქეობაზე თანხმობა განაცხადეს, აფხაზური პასპორტების გაცემის პროცესი უკვე დაწყებულია.

დე ფაქტო პრეზიდენტმა ორი დღის წინ ე.წ ძალოვან მინისტრებთან საგანგებოდ გამართულ თათბირზე მოსახლეობის სწრაფი პასპორტიზაცია მოითხოვა. **"გალის რაიონის მცხოვრებნი აფხაზეთის მოქალაქეები არიან. მიუხედავად იმისა, მოსწონს თუ არა საქართველოს, აფხაზური პასპორტების დარიგების პროცესი უკვე დაიწყეს. ახალ კანონმდებლობას აფხაზეთის ყველა მკვიდრი უნდა დაემორჩილოს და შესაბამისად ახალი პასპორტებით ისარგებლოს,"** - აცხადებს ბაგაბში „ინტერფაქსისთვის " მიცემულ კომენტარში.

### რუსულმა მძიმე ტექნიკამ დისლოკაციის ადგილი შეიცვალა

გუშინ, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალიტეტის ბრძანებით, რუსულმა მძიმე ტექნიკამ და მოტომსროლელი დივიზიის დანაყოფებმა გაგრიდან გუდაუთაში დაიწყეს გადასვლა.

ისინი სამხედრო ბაზებზე განთავსდებიან, ხოლო ადმინისტრაციულ საზღვარზე ბლოკ საგუშაგოებს ჩეჩნური და სომხური წარმოშობის მებრძოლები გააკონტროლებენ. მათ კოორდინაციას აფხაზური დანაყოფები გაუწევენ.

### ფიჩორში მთლიანად რუსული კონტინგენტი განთავსდება

ფიჩორში რუსული სამხედრო ნაწილის მშენებლობა უახლოეს დღეებში დასრულდება და კონტინგენტის შეყვანაც დაიწყება. სოფელ ოტობაიაში კი, აფხაზებისა და ადგილობრივი სომხებისგან შემდგარი შენაერთის შეყვანა იგეგმება. ისინი რუსი სამშვიდობოების ყოფილ ყაზარმაში განთავსდებიან. ეს ყაზარმა სამშვიდობოების გასვლის შემდეგ გაიძარცვა, სახურავებიდან შიფერიც კი მოიპარეს, მაგრამ შემდეგ ნაძარცვი უკან დააბრუნეს.

# სტაჟიანი ოპოზიციონერი ახალბედას აფასებს

ექს-პრემიერ ზურაბ ნოღაიდელის პოლიტიკურ და, მით უმეტეს, ოპოზიციურ ასპარეზზე გამოჩენა არაერთგვაროვნად შეაფასეს სტაჟიანმა ოპოზიციონერებმა.

"ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი აცხადებს, რომ ზურაბ ნოღაიდელს საბრალდებო სკამზე დაჯდომა აუცილებლად მოუწევს. შალვა ნათელაშვილის თქმით, ჩადენილი ბოროტმოქმედებები არავის შერჩება, მათ შორის არც ყოფილ პრემიერს. **"ჩვენ არავის ვუშლით მონანიებას, თუმცა კატეგორიულად შევეწინააღმდეგებით იმას, რომ სააკაშვილის ხელისუფლებიდან წამოსული ქვეყნის დამაქცევლები კვლავ მოექცნენ ქვეყნის სათავეში. მათი მხრიდან მსგავსი მცდელობები დანაშაულებრივი განზრახვაა. როცა ქვეყანას აქცევდა სააკაშვილი, მას მაშინვე უნდა გამიჯვნოდნენ ნოღაიდელიც და სხვა მისი მსგავსი ყოფილი ჩინოსნები. ისინი ერთი ხომალდიდან გადმოხტნენ და ახლა მეორეზე აპირებენ აძრომას. ეჭვი მეპარება, რომ მათ ეს მოახერხონ,"** - განაცხადა შალვა ნათელაშვილმა. თუმცა მას არ დაუკონკრეტებია, ვის მოიაზრებს "მეორე ხომალდის" მგზავრებში. **"ნაციონალები" და მათი მსგავსი ფიგურები მხოლოდ სამართლებლივ სკამზე უნდა დასხდნენ. მივესალმები მონანიებას და ტაშსაც კი დავუკრავ, თუმცა ლიდერებად მათ ხელმეორედ ჩამოყალიბებას ჩვენ ხელს ნამდვილად ვერ შევუწყობთ,"** - ამბობს ნათელაშვილი.

"პატარა საჭადრაკო დაფა"

სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტმა დაიწყო პუბლიკაციების სერია, რომელსაც, 24 საათის დახმარებით, "პატარა საჭადრაკო დაფის" სახელით ვთავაზობთ მკითხველს. სერიის მიზანია, რომ თვალი მიადევნოს სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე მოვლენებს და სტრატეგიული ანალიზი მიაწოდოს დაინტერესებულ მკითხველს.

სამხრეთ კავკასიის პატარა საჭადრაკო დაფაზე უკანასკნელ დროს ისეთი მოვლენები განვითარდა, რაც სასწრაფო გააზრებას მოითხოვს და სწორედ ამ თემას მიეძღვნება "პატარა საჭადრაკო დაფის" სერიით შემოთავაზებული მიმოხილვები. უშუალოდ სამხრეთ კავკასიის გარდა, ჩვენ შევეცდებით, ყურადღება მივადევნოთ იმ მოვლენებს, რომლებსაც აქვთ პოტენცია, რომ საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაზე გავლენა მოახდინონ. იმედი გვაქვს, რომ ამით საქართველოსა და კავკასიის მშვიდობისა და განვითარების საქმეში გარკვეულ წვლილს შევიტანთ.

პუბლიკაციების სრული ვერსიები, რომლებიც აღჭურვილია გამოყენებული წყაროების ჩამონათვალით, შესაბამისი რუკებითა და დიაგრამებით, ხელმისაწვდომია სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. მიმოხილვების სერიაში მონაწილეობა ნებისმიერ დაინტერესებულ ექსპერტს შეუძლია. ინტერესის შემთხვევაში დაუკავშირდით სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტს (www.stand.ge).

# თურქეთი აგვისტოს შემდეგ

ანდრო ბარნოვი
სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტი

თურქეთის ინტერესებზე და ქცევაზე დაკვირვება საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მით უფრო, რომ რამდენიმე დღის წინ თურქეთი გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი გახდა და უახლოესი ორი წლის განმავლობაში აქტიურად გამოიყენებს ამ ახალ სტატუსს. ესეც არ იყოს, სხვა ბევრი მოვლენაც მკაფიოდ მიუნიშნებს თურქეთის როლის აქტივაციაზე, მათ შორის კავკასიაში და მათ შორის საქართველოში.

აგვისტოს ომის შემდეგ ძალიან საყურადღებო იყო თურქეთის ქცევაც. ყველასათვის მოულოდნელად, პრემიერ-მინისტრი ერდოგანი მოსკოვს ეწვია და მედვედევს სულ ცინცხალი "კავკასიის სტაბილურობისა და თანამშრომლობის პლატფორმა" შესთავაზა. მოულოდნელი აქ ის იყო, რომ ერდოგანს ეს გეგმა აშშ-სთან არ შეუთანხმებია და მეთიუ ბრაიზა გაკვირვებული აკეთებდა კომენტარს, როდესაც ამის შესახებ ჟურნალისტებისგან შეიტყო. სხვა შემთხვევაში ეს ინციდენტად ჩაითვლებოდა, აქ კი, რესპუბლიკური კონგრესის მსვლელობისას კონდოლიზა რაისმა თურქეთის აქტიურობა მოიწონა და ანკარას აშშ-ს ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორი უწოდა.

თურქეთის პოლიტიკური იდენტობა მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო წლების განმავლობაში. ჯერ კიდევ ქემალ ფაშას დროიდან დამკვიდრებული ლოზუნგი "მშვიდობა შინ, მშვიდობა გარეთ" მეორე მსოფლიო ომამდე განაპირობებდა თურქეთის ჩაურევლობას საერთაშორისო საქმეებში და თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. ნატოში გაწევრიანების გადაწყვეტილება თურქეთმა მხოლოდ მაშინ მიიღო, როდესაც სტალინი თუქრეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციებსა და სრუტეებს დაემუქრა. ამის შემდეგ, როგორც საბჭოთა კავშირის უშუალო მოსაზღვრე სახელმწიფო, თურქეთი ბიპოლარული დაპირისპირების რეგიონულ ცენტრად იქცა, რამაც საბოლოოდ განამტკიცა ამ ქვეყნის დასავლური ორიენტაცია. ცივი ომის შემდეგ ეს მდგომარეობა მნიშვნელოვნად იცვლება.

**1. ევრაზიული დერეფანი**

ბიპოლარული დაპირისპირების დასრულების შემდეგ თურქეთს ჩამოუყალიბდა ახალი პოლიტიკური იდენტობა, რომელიც ევროპა-აზიის დერეფნის ფუნქციას გულისხმობს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთს გზა გაეხსნა თურქული ტომების ისტორიული სამშობლოსაკენ, რაც დღევანდელ კასპიისგადაღმა სახელმწიფოების უმეტესობას მოიცავს. პან-თურქისტული იდეა ისედაც ყოველთვის ძლიერი იყო თურქეთში და ახალმა რეალობამ ეს ტალღა კიდევ უფრო გააძლიერა, თუმცა სამხედროების "დემოკრატიული" დიქტატის ქვეშ მოქცეულ ქვეყანაში ამ იდეამ ძირითადად ეკონომიკური კონფიგურაცია მიიღო. ენერგორესურსებით მდიდარ კასპიისპირა ერებთან სიახლოვისა და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო თურქეთმა ევრაზიული ენერგო-დერეფნის როლის პერსპექტიულობა დაინახა და ამ გზას მყარად დაადგა.

თურქეთის ეს ინტერესი პირდაპირ შეესაბამებოდა ნატოს წევრების ინტერესებს, რადგან საბჭოთა რუსეთი მთლიანად აკონტროლებდა კასპიის ზღვისა და ტრანსკასპიურ ენერგო-რესურსებს, თურქეთის როლის გაძლიერების შემთხვევაში კი რუსეთის დომინანტობა წარსულს ჩაბარდებოდა.

ეკონომიკური ინტერესის გარდა, ენერგო-ხიდის როლი სხვა მხრივაც იყო საინტერესო თურქეთისთვის. საბჭოეთის დაშლის შემდეგ დასავლეთისთვის თურქეთის სტრატეგიულმა მნიშვნელობა დაკნინდა. ამიტომ, დასავლეთზე ორიენტირებულ სახელმწიფოს ახალი როლი სჭირდებოდა, დერეფნის კონცეფცია კი მართალია არასრულად, მაგრამ მაინც ანაცვლებდა ამ ნიშას. რეალურად, ახალი როლის ათვისებით თურქეთმა უზრუნველყო, რომ დასავლეთის პოლიტიკური ინტერესი მის მიმართ შენარჩუნებულიყო და ევროინტეგრაციის იდეაც ახალი ძალით ამუშავებულიყო.

**2. თურქეთის ახალი იდენტობა, ნატო და ევროკავშირი**

თურქეთი ნატოს უმნიშვნელოვანესი წევრია, მაგრამ დამოუკდებელ მოთამაშედ რჩება. ნატოში აშშ გავლენის შესაძლო შემცირება თურქეთის პოლიტიკის დამოუკიდებლობის ხარისხს მნიშვნელოვნად გაზრდის. თურქეთის სასიცოცხლო ინტერესია, რომ ევროპასა და აზიას შორის დერეფნის ფუნქციის რეალიზება მოახდინოს. ევროკავშირთან ხანგრძლივმა მოლაპარაკებებმა და რეფორმებმა ის შედეგი გამოიღო, რომ თურქეთის ეკონომიკა მნიშვნელოვნად გაიზარდა და ანკარას საშუალება მიეცა, რომ დამოუკიდებელი თამაში აწარმოოს.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის ევროკავშირში ინტეგრაცია არც თუ წარმატებული იდეა აღმოჩნდა, ევროპასთან მუდმივმა მოლაპარაკებებმა და რეფორმებმა ის შედეგი გამოიღო, რომ თურქეთის ეკონომიკამ სწრაფი ზრდა დაიწყო, ამაღლდა სოციალური და განათლების დონე, ახალი ძალით ამუშავდა ეკონომიკა და ქვეყანამ იგრძნო, რომ დამოუკიდებელი მოქმედებისათვის მეტი შესაძლებლობა გაუჩნდა. ამას გარდა, ევროკავშრის მხრიდან მიღებული არაერთი უარი თურქეთის საზოგადოების მიერ ცივილიზაციურ უარად აღიქმებოდა, რაც ერთი შეხედვით ევროპისაკენ მავალ ქვეყანას პირიქით, უქარწყლებდა ასეთი ინტეგრაციის სურვილს. ამიტომაც, თურქეთმა გადაწყვიტა, რომ აზიასა და ევროპას შორის ხიდის როლი მისთვის გრძელვადიანი სტრატეგია იქნებოდა და, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანიც, ვიდრე ევროკავშირის წევრობა.

თურქეთს სიდიდით მეორე არმია ჰყავს ალიანსის სახელმწიფოთა შორის და აშშ-სა და ნატოს უმნიშვნელოვანეს დასაყრდენს წარმოადგენს. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანება ძალიან გაიწელა და დიდი პერსპექტივა დღესაც არ უჩანს, თურქეთი უკვე დიდი ხანია სარგებლობს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობისა და საბაჟო პრეფერენციების რეჟიმით, რაც ევროკავშირის წევრობის ეკონომიკურ ინტერესს თითქმის სრულად უკმაყოფილებს. ამას გარდა, 2001 წლიდან მოყოლებული, თურქეთმა თავი დააღწია ეკონომიკური განუვითარებლობის დინამიკას და ბოლო 7 წლის განმავლობაში მშპ-ს საშუალოდ 8%-იანი ზრდა აქვს (მიმდინარე წლის გამოკლებით, როცა ეს მაჩვენებელი 4%-ს ოდნავ ასცილდება).

თავდაცვის საკუთარი შესაძლებლობების გარდა, რაც ნახევარმილიონიან არმიას, შავ ზღვაზე სრულ სამხედრო უპირატესობას და რეგიონის უძლიერეს საჰაერო ძალებს მოიცავს, თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში განთავსებულია ნატოს უზარმაზარი ბაზა, სადაც აშშ საჰაერო ძალები ბაზირდება. ეს გარემოებები, ნატოს წევრობასთან ერთად, თურქეთს კარგად დაცულს ხდის პირდაპირი სამხედრო აგრესიის მიმართ. მაგრამ თურქეთი ნატოს მექანიკურ დანამატად ვერ ჩაითვლება და მას საკუთარი საგარეო პოლიტიკა ჩამოუყალიბდა ცივი ომის დასრულების შემდეგ.

**3. თურქეთი და რუსეთი**

თურქეთი რუსეთზე დამოკიდებულია ძალიან მნიშვნელოვანი სავაჭრო ურთიერთობებითა და ენერგეტიკული სექტორით. თურქეთის ინტერესია, რომ მშვიდობიანი და სტაბილური ურთიერთობები შეინარჩუნოს რუსეთთან, მაგრამ მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გავლენის შენარჩუნება კავკასიაში.

რუსეთთან ურთიერთობების რთული ისტორიის მიუხედავად, ერთის მხრივ ენერგო-რესურსების მწვავე ნაკლებობამ, მეორეს მხრივ კი ხსენებულმა "ახალმა იდენტობამ", რომელიც ანკარას ყველა შესაძლო პარტნიორთან მშვიდობიან სავაჭრო ურთიერთობებს კარნახობს, თურქეთს რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარებისაკენ უბიძგა. ამის შედეგად, სულ რაღაც 10 წლის განმავლობაში თურქეთის ნავთობის მოხმარება 40%-ით დამოკიდებული გახადა რუსეთზე, ბუნებრივი აირისა კი - 65%-ით. პარალელურად, თურქულმა კომპანიებმა აქტიურად დაიწყეს რუსეთის მზარდი სამომხმარებლო ბაზრების ათვისება. 2007 წელს რუსეთ-თურქეთის ვაჭრობის საერთო მოცულობა 28 მილიარდს აჭარბებდა, 2008 წლის საპროგნოზო მონაცემებით კი ეს ციფრი 38 მილიარდს გადააჭარბებს. ამას გარდა, რუსეთი თურქული პროდუქციის სიდიდით მეოთხე იმპორტიორია 4,7 მილიარდი აშშ დოლარის ყოველწლიური მოცულობით, თურქულ კომპანიებს კი 6 მილიარდამდე დოლარის ინვესტიციები აქვთ განხორციელებული რუსეთში და არანაკლები შემოსავლების გენერირებას ახდენენ თურქული სამშენებლო კომპანიები, რომლებსაც ბოლო 20 წლის გამმავლობაში 20 მილიარდზე მეტი ღირებულების კონტრაქტები აქვთ შესრულებული. ასევე, აქ არ არის დასავიწყებელი რუსული ტურიზმიც, რომელიც სიდიდით მეორეა თურქეთში და ყოველწლიურად 2,5 მილიონ ტურისტს შეადგენს.

ეს ციფრები მეტყველებს, რომ აზია-ევროპის დერეფნის გარდა, თურქეთისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია რუსეთთან კავშირი და, შესაბამისად, კავკასიის სტაბილურობა. პრაქტიკულად, ბოლო წლების განმავლობაში თურქეთი იქცა ერთგვარ სავაჭრო პოლიგონად, რამაც განაპირობა, რომ დღეს ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანი მშვიდობიანი თანამშრომლობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაა ყველა პარტნიორთან, და ეს განსაკუთრებით შეეხება კავკასიას, რადგან კავკასია ის სრულიად გადამწყვეტი რეგიონია, რომელიც თურქეთს მის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ პარტნიორებთან აკავშირებს.

**4. თურქეთი და ირანი**

თურქეთსა და ირანს შორის არსებული ნორმალური ურთიერთობების მიუხედავად, მათი ინტერესები მნიშვნელოვან საკითხებში განსხვავდება. აშშ-სთან გართულებული ურთიერთობების გამო ირანს არ შეუძლია საკუთარი ინტერესების რეალიზება, რითიც აქტიურად სარგებლობს თურქეთი.

1997 წელს ირანის ხელისუფლებაში ხატამის მოსვლის შემდეგ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები ბევრად გამოსწორდა. ხატამის პრეზიდენტობის დროს ირანმა თავი დაანება ისლამისტური ექსპანსიის პროპაგანდას და საგარეო პოლიტიკაში უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ინტერესები წამოსწია წინ, რამაც მეორეს მხრივ საშუალება მისცა თურქეთს, რომ ირანთან პარტნიორობისაკენ გარკვეული ნაბიჯები გადაედგა.

ირანთან პარტნიორობის შემთხვევაში თურქეთის როლი, როგორც ევროპა-აზიის დერეფნის, ბევრად უფრო გამოკვეთილი და სტაბილური იქნება. ამიტომ თურქეთი ყველანაირად ცდილობს, რომ იმ სიტუაციაშიც კი, როდესაც ირანს ძალიან გართულებული საგარეო ურთიერთობები აქვს, მასთან პარტნიორობის გზები ეძებოს. მეორეს მხრივ, ირანისთვის თურქეთი ევროპის კარიბჭეა და თეირანი დაინტერესებულია მისი გამოყენებით. ამის მიუხედავად, ირანისთვის თურქეთი კარიბჭესთან ერთად წინაღობაცაა და ამიტომ თეირანი შედარებით ცივია სტამბულის მიმართ. ასევე, ირანში თურქეთის მიმართ არაერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულებებია ერთის მხრივ ისლამისტურ ჯგუფებში, რომლებიც ანკარას ისრაელთან მეგობრობას ვერ პატიობენ, მეორეს მხრივ კი - ნაციონალისტურად განწყობილ პოლიტიკურ ჯგუფებში, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ თურქეთმა დრო იხელთა ირანის აშშ-სთან დაპირისპირების გამო და ირანს კასპიის რესურსების სამხრეთული დერეფნის როლი წაართვა.

ასეა თუ ისე, თურქეთსა და ირანს შორის დღეს მეტწილად უპრობლემო ურთიერთობებია ჩამოყალიბებული. ამ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის მოცულობა ყოველწლიურად იზრდება და 2008 წელს 8 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. ორივე ქვეყნის ხელისუფალნი ირწმუნებიან, რომ ვაჭრობის მოცულობა მალე 20 მილიარდს მიაღწევს.

ამას გარდა, ირანი თურქეთის ბუნებრივი აირის იმპორტის 20%-ს აკმაყოფილებს და გარდა საკუთრივ ირანის რესურსებისა, თურქეთს თურქმენული გაზიც ირანის გავლით მიეწოდება. ასევე, ტურისტების ძალიან მნიშვნელოვანი რაოდენობა თურქეთში სწორედ ირანიდან ჩადის.

ირანთან თანამშრომლობის შენარჩუნებით თურქეთი დასავლეთისაგან განსხვავებული პოზიციის დემონსტრირებას ახდენს, რაც ირანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამის მიუხედავად, ამ ორი სახელმწიფოს თანამშრომლობა ძირითადად ეკონომიკური პროექტებითა და ტერორისტული ორგანიზაციების კონტროლით შემოიფარგლება, რეგიონული პარტნიორობის საკითხებს კი გამორიცხავს. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა თურქეთის მიერ ინიცირებული "კავკასიის სტაბილურობის პლატფორმის" გარშემო ატეხილი დისკუსიისას, სადაც ირანმა მონაწილეობის სურვილი რამდენჯერმე გამოთქვა, მაგრამ ანკარას საპასუხო რეაქცია მის ინიციატივებს არ მოყოლია.

**5. თურქეთის "კავკასიის სტაბილურობის პლატფორმა"**

თურქეთის მიერ ინიცირებული "კავკასიის სტაბულურობისა და თანამშრომლობის პლატფორმა" უპერსპექტივო წამოწყებაა და არ შესდგება ყველა კავკასიური მოთამაშის მონაწილეობის გარეშე. დღევანდელი მოლაპარაკებების მიმართ მცირე ინტერესი გამოიჩინა საქართველოფ, ირანი კი მასში საერთოდ არ მონაწილეობს.

საქართველოში საომარი მოქმედებები ჯერ დამთავრებულიც არ იყო, რომ თურქეთის პრემიერი მოსკოვს ეწვია და კავკასიის სტაბილურობის პლატფორმაზე ალაპარაკდა. ერდოგანი ამის შემდეგ თბილისსაც ეწვია, თურქეთის პრეზიდენტი აბდულა გული კი ერევანში და აზერბაიჯანში იმყოფებოდა. ეს იდეა მოგვიანებით ევროკავშირის ამჟამინდელმა პრეზიდენტმაც მოიწონა და, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თურქეთის ინიციატივას კონდოლიზა რაისიც მიესალმა. ამის მიუხედავად, აღნიშნული პლატფორმის შინაარსის შესახებ ძალიან მცირე რამეა ცნობილი.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთმა ეს თემა რუსეთ-საქართველოს ომის დროს წამოსწია, ერთადერთი თემა, რაც დღემდე ასე თუ ისე განიხილება, ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივებია. აღნიშნული "პლატფორმის" შესახებ ასევე ცნობილია ის, რომ ანკარა-მოსკოვის შეთანხმებით, პლატფორმა 3+2 ფორმატს დაეყრდნობა და მოიცავს სამხრეთ კავკასიის სამ სახელმწიფოს, რუსეთს და თურქეთს. მიუხედავად იმისა, რომ ირანი სწორედ იმდენადვეა კავკასიური სახელმწიფო რამდენადაც თურქეთი, თეირანის მონაწილეობა არ განიხილება. ამას გარდა, მიმდინარე მოლაპარაკებებში საქართველო ფაქტობრივად არ მონაწილეობს. მაგრამ ვინც უნდა მონაწილეობდეს აღნიშნულ პლატფორმაში, მისი პერსპექტიულობა ძალიან საეჭვოა, რადგან ამ პლატფორმის კონცეფცია ბუნდოვანია, მხარეთა ინტერესები კი - დაუბალანსებელი.

ბოლო თვის განმავლობაში ანკარასა და ერევანს შორის ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. სომეხი ექსპერტები კავკასიურ პლატფორმას დიდი ეჭვით უყურებენ და დიდი იმედებით არც ოფიციალური ერევანია განწყობილი, თუმცა თურქეთის ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ მოლაპარაკებები მშვიდად გაგრძელდება და ოდესმე თავის შედეგსაც გამოიღებს. ანკარასა და ერევანს შორის ორი საკითხი განიხილება - ესაა საზღვრების გახსნა და ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარება. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთი ორივე თემით დაინტერესებული უნდა იყოს, ერევანი სათანადო ნაბიჯის გადადგმას მაინც არ ჩქარობს. საქმე ისაა, რომ რამდენადაც მედია საშუალებებით შეიძლება გაირკვეს, თურქეთი კონფლიქტის მოგვარებას "ტერიტორიული მთლიანობის დაცვის" პრინციპით ცდილობს, სანაცვლოდ კი ერევანს გახსნილ საზღვრებსა და იზოლაციის დასრულებას პირდება.

სამაგიეროდ მოსკოვი, რომლის თავდაპირველ შემხვედრ პოზიციას ექსპერტები ტაქტიკურ ნაბიჯად აღიქვამენ, დამოუკიდებელ მოლაპარაკებებს იწყებს აზერბაიჯანსა და სომხეთთან. თემა აქაც ყარაბაღის კონფლიქტია. კონფლიქტის მოგვარების რუსული მოდელი, როგორც ჩანს, ყარაბაღის დამოუკიდებლობის აღიარებას და აზერბაიჯანის მოსაზღვრე 7 რაიონის განთავისუფლებას გულისხმობს, ოღონდ მოსკოვი იმ შემთხვევაში დათანხმება არ მოდელს, თუ ბაქოს დაიყოლიებს, რომ ნავთობი რუსული მილსადენების გავლით გაყიდოს.

ერთი სიტყვით, ამ მოლაპარაკებებში ახალი არაფერი ჩანს. თავიდანვე გასაგებია, რომ ერთის მხრივ, ყარაბაღის კონფლიქტი რუსეთისთვის აზერბაიჯანის "ვოლუნტარიზმის" ასალაგმად იყო დადგმული, მეორეს მხრივ კი ანკარასა და ბაქოს მეგობრობა მხოლოდ ეთნიკური სიახლოვით არ აიხსნება და მას საფუძვლად აზერბაიჯანის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა უდევს. რუსეთის ინიციატივას, რომ ყარაბაღის კონფლიქტი მოგვარდეს, სხვა უფრო მნიშვნელოვანი მოტივაცია უდევს საფუძვლად, რაზეც ცალკე ვისაუბრებთ.

საქართველოში თურქეთის ინიციატივამ ნაკლები ყურადღება დაიმსახურა. როგორც სომხური და თურქული მედია იტყობინება, საქართველომ უარი განაცხადა მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე იმ მოტივით, რომ რუსეთთან ერთად მოლაპარაკების მაგიდას არ მიუჯდებოდა სანამ რუსეთის ჯარი ჩვენს მიწებზე დათარეშობდა. ანუ, შეიძლება დღესვე ითქვას, რომ თურქეთის ინიციატივა ჩიხში შევიდა: თუ ანკარა სომხეთთან მოლაპარაკებას ვერ მოახერხებს, მაშინ მის კავკასიურ პოლიტიკას აზერბაიჯანის გარდა მხარდამჭერი არ ეყოლება, რაც ინიციატივის ჩავარდნას მოასწავებს.

საქართველოში თურქეთის ინიციატივამ ნაკლები ყურადღება დაიმსახურა. როგორც სომხური და თურქული მედია იტყობინება, საქართველომ უარი განაცხადა მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე იმ მოტივით, რომ რუსეთთან ერთად მოლაპარაკებების მაგიდას არ მიუჯდებოდა სანამ რუსეთის ჯარი ჩვენს მიწებზე დათარეშობდა. ანუ, შეიძლება დღესვე ითქვას, რომ თურქეთის ინიციატივა ჩიხში შევიდა: თუ ანკარა სომხეთთან მოლაპარაკებას ვერ მოახერხებს, მაშინ მის კავკასიურ პოლიტიკას აზერბაიჯანის გარდა მხარდამჭერი არ ეყოლება, რაც ინიციატივის ჩავარდნას მოასწავებს.

*მომდევნო სტატია: ირანი და ევროპა აგვისტოს შემდეგ*

**ყოველთვიური ჟურნალი მეწარმეებისა და ფინანსური სფეროს სპეციალისტებისათვის**

აუდიტი
აღრიცხვა
ფინანსები

*იკითხეთ მაღალპროფესიონალური „კითხვა-პასუხი“ „აფის“ ფურცლებზე!*

დღეს საქართველოში კვალიფიციური საგადასახადო კონსულტაციის ღირებულება 100 აშშ დოლარია (1 სთ.).

**„აფის“ ფურცლებზე „კითხვა–პასუხი“ კი უფასოა!**

ტელ.: **39-33-46, 39-33-47, 39-33-56, (93)-32-27-05**

*ჟურნალი გამოდის გიორგი ცერცვაძის რედაქტორობით*

# არასრულწლოვანზე ინფორმაციის გავრცელება აიკრძალება

*მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით არასრულწლოვანთა კონფიდენციალობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელება აიკრძალება. შესაბამისი ცვლილებები შევა "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონში, "მავნე ზეგავლენისგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ", "მაუწყებლობის შესახებ" კანონსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში.*



*არასრულწლოვანთა კონფიდენციალურობის დარღვევა სოლიდურ ჯარიმას ითვალისწინებს.*

კანონპროექტის ინიციატორი პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტია.

კანონპროექტის თანახმად, დაუშვებელია არასრულწლოვანთა კონფიდენციალურობის დარღვევა და იმ დანაშაულის გაშუქება, რომელშიც არასრულწლოვანი წარმოადგენს ექვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, მსჯავრდებულს, დაზარალებულს, მოწმეს, ან პირს, რომელსაც საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი სტატუსი არ გააჩნია.

კანონპროექტის თანახმად, ასევე დაუშვებელია მშობლის, მეურვის ან მზრუნველის თანხმობის გარეშე არასრულწლოვანისგან აღებული ინტერვიუს გამოქვეყნება, მისი გავრცელება არასრულწლოვანის იდენტიფიცირების დარღვევით, თუკი ის კონკრეტულ დანაშაულს ეხება.

ცვლილების ამოქმედების შემთხვევაში, კანონის ამ ნორმების დამრღვევი დაისჯება ადმინისტრაციული წესით. თუმცა, იგი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუკი დაასაბუთებს, რომ არასრულწლოვანის კონფიდენციალობის დარღვევის შედეგად, მოხდა უფრო მნიშვნელოვანი ზიანის თავიდან აცილება. კანონპროექტში საუბარია, სახელმწიფოს, საზოგადოების ან სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესებისთვის არსებითი ზიანის მიყენებაზე, როდესაც მისი პრევენცია შეუძლებელი იყო სხვა საშუალებების გამოყენებით და ამის გამო მოხდა არასრულწლოვანის კონფიდენციალობის დარღვევა.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. არასრულწლოვანთა კონფიდენციალობის დარღვევისთვის ფიზიკური პირი დაჯარიმდება 5 ათასი, ხოლო იურიდიული პირი 10 ათასი ლარით. ქმედების განმეორების შემთხვევაში საჯარიმო თანხა გაორმაგდება.

როგორც კანონპროექტის ინიციატორები აცხადებენ, ბოლო პერიოდში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ხშირია არასრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესების - არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ "პეკინის წესების" მოთხოვნებს ეწინააღმდეგება.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წევრები მიიჩნევენ, რომ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ სამართალდამრღვევაზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოქვეყნდეს ინფორმაცია, რათა არ მოხდეს რეპუტაციის შელახვა და თავიდან იყოს აცილებული უსარგებლო გახმაურების შედეგად მიღებული ზიანი.

*საკუთარი ინფორმაცია*

# შეთანხმება სასაზღვრო პოლიციასა და ევროკავშირის გარე საზღვრების დაცვის ორგანიზაციასთან

სასაზღვრო პოლიციის პრესსამსახურის ინფორმაციით, ვარშავაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციასა და ევროკავშირის გარე საზღვრების დაცვის ორგანიზაციასთან (FRONTEX) თანამშრომლობის შეთანხმება გაფორმდა. შეთანხმებას ხელი მოაწერეს შს სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსმა ზაზა გოგავამ და FRONTEX-ის აღმასრულებელმა დირექტორმა ილკა ლაიტინენმა.

შეთანხმების მიზანია აღნიშნულ ორგანიზაციასა და შს სამინისტროს სასაზღვრო პოლიციას შორის სასაზღვრო უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის გაღრმავება.

საუბარია, ინფორმაციის გაცვლაზე, არალეგალურ მიგრაციასა და სხვა სახის ტრანსსასაზღვრო დანაშაულთან ერთობლივ ბრძოლაზე, საზღვრის მართვასთან დაკავშირებული სასწავლო და კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესებასა და სხვა საკითხებზე.

**„უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსთვის ფრონტექსთან, როგორც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა გარე საზღვრებზე თანამშრომლობის მართვის ევროპულ სააგენტოსთან, თანამშრომლობამ დიდი მნიშვნელობა მას შემდეგ შეიძინა, რაც ევროკავშირში ბულგარეთისა და რუმინეთის გაწევრიანების შემდეგ, საქართველოს ევროკავშირთან საზღვაო საზღვარი გაუჩნდა. აღსანიშნავია, რომ საქართველო არის პირველი ქვეყანა, რომელიც ხმელეთით არ ესაზღვრება ევროკავშირს, არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა და აღნიშნული ორგანიზაცია თანამშრომლობის შეთანხმებას აფორმებს,"** - აცხადებენ სასაზღვრო პოლიციის პრესსამსახურში.

აღნიშნული შეთანხმება საქართველოს შს სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსის პოლონეთში, FRONTEX-ის სათაო ოფისში ვიზიტისას გაფორმდა.

*საკუთარი ინფორმაცია*

# 11 წლის შემდეგ გამოტანილი განაჩენი

*„ვარ აფხაზეთიდან დევნილი. ვცხოვრობდი ზუგდიდში, კომპაქტურად ჩასახლებულ ეგრეთწოდებულ გრენქარხანაში. მყავს სამი მცირეწლოვანი შვილი, მათ შორის უმცროსი - 6 თვის. ამჟამად არ ვიცი, სად არიან. მე 1997 წელს ჩადენილი დანაშაულისთვის გამასამართლეს ისე, რომ სასამართლო პროცესის შესახებ არაფერი შემატყობინეს. აღმოჩნდა, რომ 1998 წლიდან ვყოფილვარ ძებნაში. გთხოვთ, დამეხმაროთ," – ამ შინაარსის ბარათით მსჯავრდებულმა ირმა შარიამ ქუთაისის N2 საპყრობილის საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის თავმჯდომარეს მიმართა.*

"ადამიანის უფლებათა ცენტრის" ინფორმაციით, საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ირმა შარიას ბრალი 1997 წელს ჩადენილ დანაშაულისთვის - საქონლის ქურდობისთვის წაუყენეს და 11 წლის შემდეგ, თერჯოლის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე დააპატიმრეს.

**„ირმა შარია სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის მეორე ნაწილით გაასამართლეს. მას ბრალად საქონლის ქურდობა ედება. არადა, 1997 წელს, როცა სასამართლო პროცესი შედგა და განაჩენი შარიას თანამონაწილეს გამოუტანეს, ირმა შარია არავის გახსენებია. 2008 წლის სექტემბრამდე იგი თავისუფლად გადაადგილდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე. მეტიც, მან რამდენჯერმე გადაკვეთა საზღვარი. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ თურმე, ამ ხნის მანძილზე იძებნებოდა,"** – აცხადებს ქუთაისის №2 საპყრობილის საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის თავმჯდომარე მანანა მანაგაძე.

"ადამიანის უფლებათა ცენტრის" განცხადებით, სასამართლო პროცესი 2007 წლის 12 მაისს, თერჯოლის სასამართლოში ისე შედგა, რომ ეჭვმიტანილი ქალი პროცესზე არ გამოუძახებიათ, დაუსწრებლად გაასამართლეს. არადა, როგორც ორგანიზაციის წარმომადგენელი აცხადებს, შარიას საცხოვრებელი ადგილი სამართალდამცველებისთვის ცნობილი იყო, რადგანაც, უბნის რწმუნებულმა სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით, კარგა ხნის შემდეგ - 2008 წლის სექტემბერში მიაკითხა.

"ადამიანის უფლებათა ცენტრის" იურისტების განმარტებით, ირმა შარიას შეეძლო გაესაჩივრებინა სასამართლოს განაჩენი. თუმცა, მას ეს შანსი არ მისცეს.

**„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს განაჩენის გასაჩივრებას. ირმა შარიას შეეძლო ერთი თვის ვადაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაესაჩივრებინა განაჩენი. გასაჩივრების შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა მომხდარიყო საპროცესო შეთანხმება, ან უფრო შემსუბუქდებოდა სასჯელი. მით უფრო, რომ ის არის მცირეწლოვანი შვილების დედა, დევნილი აფხაზეთიდან, სოციალურად დაუცველი და ა. შ."** - აცხადებს „ადამიანის უფლებათა ცენტრის" ადვოკატი თენგიზ ასლანიკაშვილი.

*საკუთარი ინფორმაცია*

## სოზარ სუბარმა პოლონეთის რესპუბლიკის ჯილდოზე უარი განაცხადა

საქართველოს სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა პოლონეთის რესპუბლიკის ჯილდოზე უარი განაცხადა.

პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის გადაწყვეტილებით, საქართველოს სახალხო დამცველი ადამიანის უფლებების სფეროში გაწეული ღვაწლის გამო პოლონეთის რესპუბლიკის "დამსახურების ოქროს ჯვრით" დაჯილდოვდა. დაჯილდოვების ცერემონია აუშვიც-ბირკენაუს ყოფილ სიკვდილის ბანაკში დღეს უნდა შემდგარიყო, თუმცა ქართველმა ომბუდსმენმა ჯილდოზე უარი განაცხადა. სუბარმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც, ცნობილი გახდა, რომ პოლონეთის მხარემ საქართველოს პრეზიდენტს სახალხო დამცველისთვის "ოქროს ჯვრის" მინიჭებაზე თანხმობის თხოვნით მიმართა.

"ჩემთვის დიდი პატივი იქნებოდა ამ ჯილდოს მიღება და ამას საქართველოში დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერად და იმ ადამიანებისადმი სოლიდარობის გამოხატულებად აღვიქვამდი, ვისი უფლებებიც ქვეყანაში ირღვევა. მაგრამ მას შემდეგ, რაც შევიტყვე, რომ პოლონეთის რესპუბლიკის ჯილდოს ჩემთვის მონიჭების საბოლოო გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტმა უნდა მიიღოს, ჩემს ვალდებულებად მიმაჩნია, უარი განვაცხადო ამ პრემიაზე," - განაცხადა "პირველთან" საუბრისას სუბარმა.

მისი თქმით, იმ ადამიანების დაცვა, რომელთა უფლებებიც სახელმწიფოს მიერ შეილახა, მას აუცილებელ მოვალეობად მიაჩნია. "განსაკუთრებით საგანგაშოა ის გარემოება, რომ ამ დარღვევებს სისტემური ხასიათი აქვს და ამის უმთავრესი მიზეზი ადამიანის უფლებების დაცვისათვის პოლიტიკური ნების არარსებობაა მთლიანად ხელისუფლების და უპირველეს ყოვლისა, საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან. ეს არაერთხელ აღმინიშნავს ჩემს მოხსენებებში", - დასძინა სუბარმა.

*პირველი*

## ძარცვის მცდელობას შემთხვევითი გამვლელის სიცოცხლე შეეწირა

ვაკეში, კავსაძის ქუჩაზე აფთიაქის ძარცვის მცდელობას შემთხვევითი გამვლელის სიცოცხლე შეეწირა.

ნიღბიანი მძარცველი კავსაძის N4-ში მდებარე აფთიაქში დაახლოებით, საღამოს 8 საათზე შეიჭრა და იარაღის მუქარით ფარმაცევტისგან თანხის გამოძალვას ცდილობდა. ამ ფაქტს შემთხვევით შეესწრო აბაშიძის ქუჩაზე მდებარე კაფე "დელმარის"'თანამშრომელი, 47 წლის კონსტანტინე ვერულავა. გავრცელებული ინფორმაციით, მძარცველმა ვერულავას ესროლა, რის გამოც, იგი ადგილზე გარდაიცვალა.

სროლის ხმაზე შემთხვევის ადგილას მივიდა პოლიციაც, რასაც ორმხრივი სროლა მოჰყვა, თუმცა თავდამსხმელმა გაქცევა მაინც მოახერხა. შს სამინისტროს ცნობით, მიმდინარეობს სამძებრო ღონისძიებები.

ერთი ტყვია აფთიაქთან მდგარი "ფოლკსვაგენის" მარკის ავტომობილის შუშას მოხვდა, მძღოლი სიკვდილს შემთხვევით გადაურჩა.

*პირველი*

## ნარკოდანაშაულზე პოლიციის თანამშრომელი დააკავეს

შს სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის" უკანონოდ შეძენა-შენახვა-რეალიზაციის ფაქტზე პოლიციის თანამშრომელი დააკავა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომელს, პოლიციის მაიორს გოჩა ბულაშვილს ჩხრეკისას აღმოაჩნდა ნარკოტიკული საშუალება ''ჰეროინის'' 10 "ბაში".

გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

გამოძიებას აწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია.

*ინტერპრესნიუსი*

## სარჩელი საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ

ამერიკულმა კომპანია "იზი ინტერპრაისიზმა", რომელიც "სონი ცენტრი თბილისს", "ლაზერი-2 თბილისს" და "კაფე რუსთაველი თბილისს" ფლობს, საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. ამერიკული მხარის მოგების შემთხვევაში საქართველოს ბიუჯეტმა შესაძლოა, 12 მილიონ დოლარზე მეტი იზარალოს.

"საქმეში წარმოდგენილია მთავრობის სახე, რომელსაც სურს, გამოიყენოს სახელმწიფოს პოლიციური ძალა კერძო მესაკუთრეთათვის ქონების წასართმევად, კანონის უზენაესობის სრული უგულებელყოფით და მხოლოდ ფულადი სარგებლობის მიღების მიზნით," - აღნიშნულია ამერიკელი იურისტების მიერ მომზადებულ სარჩელში.

აღნიშნული კომპანიების ოფისები რუსთაველის გამზირის N30-ში მოქმედებდნენ. მესაკუთრეს საოფისე ფართები საიჯარო ხელშეკრულებით 2015–1019 წლამდე ჰქონდა აღებული, მაგრამ "სონი ცენტრი", "კაფე რუსთაველი" და "ლაზერი-2" 2007 წლის 6 ივნისს შენობიდან იძულებით გამოასახლეს. ამის მიზეზად საჯარო ხელშეკრულების შეწყვეტა დასახელდა. შენობებიდან გატანილი ნივთები განადგურებულია.

"საკითხში გასარკვევად ერთ–ერთმა ამერიკელმა კონგრესმენმა საქართველოს პრეზიდენტს პირადად მიმართა, თუმცა ამას მიხეილ სააკაშვილისგან არავითარი პასუხი არ მოჰყოლია. ჩემი ინფორმაციით, სახელმწიფოს ჰყავდა ინვესტორი, რომელსაც ამ შენობის ყიდვა სურდა და ამ საქმეს ეკონომიკის სამინისტრო აგვარებდა," - განაცხადა "სონი ცენტრი თბილისის" ადვოკატმა იოსებ ბარათაშვილმა.

*პირველი*

# მოსამართლე და თორმეტი მსაჯული

*ქართული მართლმსაჯულების სიახლე - ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უახლოეს მომავალში უკვე რეალურად ამოქმედდება. სპეციალური ჯგუფის მიერ მომზადებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი პროექტი, სადაც სხვა სიახლეებთან ერთად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ცალკე თავი ეთმობა, პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე მიიღო. სავარაუდოდ, 2009 წლის იანვარში კანონპროექტს პარლამენტი მესამე მოსმენით დაამტკიცებს.*

ქართული მართლმსაჯულების რეფორმატორული სიახლე - ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში წმინდა კლასიკური, ამერიკულ-ინგლისური მოდელით ამუშავდება. ამ მოდელის პრინციპი ასეთია - 12-ს (ნაფიც მსაჯულთა ჟიურის) პლუს ერთი (მოსამართლე). უფრო მარტივად კი, საქმის მოსმენის შემდეგ, ნაფიც მსაჯულთა 12-კაციანი ჟიური თათბირის შემდეგ გამოაცხადებს ვერდიქტს, რომლის საფუძველზეც, მოსამართლე კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოიტანს განაჩენს.

ნაფიც მსაჯულად შეირჩევა პირი, თუ იგი შეყვანილია ამომრჩეველთა ერთიან საარჩევნო სიაში, ფლობს სისხლის სამართლის პროცესის ენას, ცხოვრობს ტერიტორიაზე, რომელიც შედის იმ სასამართლოს განსჯადობაში, სადაც მიმდინარეობს პროცესი და არ არის უნარშეზღუდული.

ნაფიცი მსაჯული ვერ გახდება პირი, თუ ის ნასამართლევია, არის სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი, პროკურატურის, იუსტიციის ან შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, ირიცხება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, არის სასულიერო პირი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი და იურისტი.

მსაჯულობის კანდიდატთა სიას წინასასამართლო სხდომაზე ადგენს სხდომის თავმჯდომარე. მხარეებს უფლება აქვთ კანდიდატს არგუმენტირებული მოტივით მისცენ აცილება, ასევე, კანდიდატს უფლება აქვს, თავად აიცილოს საქმე.

გამამტყუნებელი ვერდიქტი ცხადდება ნაფიც მსაჯულთა ხმათა უმრავლესობით – ათი ხმა ორის წინააღმდეგ. თუმცა, თუ განსახილველ საქმეში ბრალდებულს შეიძლება დაენიშნოს უვადო თავისუფლების აღვეთა, ვერდიქტი მიღებული უნდა იყოს ერთხმად.

ნაფიც მსაჯულს და მსაჯულობის კანდიდატს უფლება აქვთ დროულად მიიღონ სახელმწიფოსგან ყველა იმ ხარჯის ანაზღაურება, რაც პირდაპირაა დაკავშირებული მათ მიერ მოვალეობის განხორციელებასთან.

სახელმწიფო მოხელეები და სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებულ ორგანიზაციებში დასაქმებული პირები ნაფიც მსაჯულად სასამართლო პროცესში მონაწილეობის დროს ინარჩუნებენ სამუშაო ადგილსა და ანაზღაურებას. დღიური, სამგზავრო ხარჯების და სხვა პირდაპირი ხარჯების რაოდენობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

თუ ნაფიც მსაჯულთა ჟიურის ვერდიქტი გამამართლებელია, ბრალდებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია, გამამართლებელი ვერდიქტის გამოცხადებიდან სამი დღის ვადაში გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი.

გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოცხადებისას კი, სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს სასჯელის დანიშვნის სხდომის თარიღს. სხდომა უნდა გაიმართოს ვერდიქტის გამოცხადებიდან ერთი კვირაში.

ნაფიც მსაჯულს უფლება აქვს სხდომის თავმჯდომარეს რეკომენდაცია მისცეს, სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების თაობაზე.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი ძალაში შედის გამოცხადებისთანავე. გამამართლებელი განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. მხარეს შეუძლია საკასაციო წესით გაასაჩივროს გამამტყუნებელი განაჩენი.

საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საქმე ხელახალი განხილვისთვის გადაეცემა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ახალ შემადგენლობას.

განაჩენის სასჯელის ნაწილში გაუქმების შემთხვევაში კი, საქმე სასჯელის ხელახალი დანიშვნისათვის უბრუნდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომის თავმჯდომარეს.

კანონპროექტით, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი პირველ ეტაპზე ამოქმედდება თბილისში და ის განიხილავს საქმეებს, რომლებიც განზრახ მკვლელობის მუხლითაა დაკვალიფიცირებული.

მიიღებს თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საზოგადოება, შეძლებს თუ არა ეს ინსტიტუტი მართლმსაჯულებაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას და იქნება თუ არა ის სამართლიანი ვერდიქტების გამოტანის გარანტი – ეს, ის შეკითხვებია, რომელიც საზოგადოებაში უკვე გაჩნდა.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს მომხრეები მრავლად ჰყავს, ისინი მიიჩნევენ, რომ ხელისუფლების ამ რევოლუციურ პოლიტიკურ ნებას სერიოზული დატვირთვა აქვს, ეს ხელისუფლების მიერ საზოგადოების სერიოზული გამოწვევა და გამოცდაა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსი ის გახლავთ, რომ მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობს საზოგადოება, ანუ მართლმსაჯულებას ახორციელებს არა ერთი ადამიანი - მოსამართლე, არამედ საზოგადოების წარმომადგენლები, რაც, ამ ინსტიტუტის მომხრეთა აზრით, აძლიერებს საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულებისადმი.

სკეპტიკურად განწყობილთა აზრით კი, ეს ინსტიტუტი საქართველოში ვერ გაამართლებს. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მოწინააღმდეგეები ძირითადად ხარჯებზე საუბრობენ, რაც ამ ინსტიტუტის გამართულად ფუნქციონირებისთვისაა აუცილებელი. საუბარია, სასამართლო პროცესის მანძილზე თორმეტივე ნაფიცი მსაჯულის შენახვაზე, მათ ტრანსპორტირებაზე, საზოგადოებისგან იზოლირებასა და მათ ანაზღაურებაზე.

საუბარია, კორუფციულ თუ სხვა სახის გარიგებებზეც. საწინააღმდეგო აზრით, მსაჯულთა მოსყიდვა, მათთან მეგობრულ-ნათესაური კავშირების გამოძებნა ან სულაც მათი დაშინება გაცილებით იოლი იქნება, ვიდრე ფიზიკურად და სოციალურად ბევრად უფრო დაცული მოსამართლის. ამის თავიდან ასაცილებლად კი, კრიტიკოსთა განცხადებით, სახელმწიფომ ნაფიც მსაჯულთა მრავალმხრივი უზრუნველყოფა უნდა აიღოს საკუთარ თავზე.


ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უახლოეს მომავალში უკვე რეალურად ამოქმედდება.

არსებობს კიდევ ერთი, ნეიტრალური მოსაზრებაც - ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედება, თუ დადებით შედეგს ვერ მოიტანს, პრობლემებს არ შექმნის და მართლმსაჯულებას არ დააზარალებს.

თუმცა, ეს ყველაფერი ვარაუდებია. გახდება თუ არა საქართველოს მართლმსაჯულების პროცესში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩართვა, საზოგადოების მიერ სასამართლო ხელისუფლების რეალური მონიტორინგის განხორციელების გარანტი (რაც სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების მყარი საფუძველია), ამას მხოლოდ ამ ინსტიტუტის პრაქტიკულად ამუშავების შემდეგ შევიტყობთ.

## მოთხოვნა სამოქალაქო სასამართლოზე

პრაქტიკამ და ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თითქმის გამორიცხავს უდანაშაულო ადამიანის დასჯის შესაძლებლობას. ამერიკელი ექსპერტების მიერ ჩატარებულმა ფართომასშტაბიანმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ვერდიქტით უდანაშაულო ადამიანის დასჯის ალბათობა, მხოლოდ ორი პროცენტია. დადგინდა, რომ 157 შემთხვევიდან უდანაშაულო ადამიანის დასჯის ალბათობა მხოლოდ ერთ შემთხვევაშია. ამავე კვლევის შედეგად დადგინდა, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოქმედებს, მატულობს გამამართლებელ განაჩენთა რიცხვი.

არსებული სტატისტიკით, მსოფლიოს მასშტაბით ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს საქმეების 80 პროცენტს და ის მიჩნეულია სამართლიანი მართლმსაჯულების საფუძვლად.

აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო სტატისტიკის ბიუროს მონაცემებით, აშშ-ს სასამართლოებში ყოველთვიურად განიხილება 70-80 ათასი სისხლის სამართლის საქმე და ნაფიც მსაჯულთა ჟიურის განხილულ საქმეთა მხოლოდ 12 პროცენტზე გამოაქვს გამამტყუნებელი ვერდიქტი. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ამერიკაში ისეთი წარმატებით მოქმედებს, რომ ამერიკის მოსახლეობა მას "სამოქალაქო სასამართლოს" უწოდებს. ექსპერტები ამის დასტურად ამერიკის მართლმსაჯულების სტატისტიკას იშველიებენ, რომლის მიხედვითაც, ამერიკაში ყოველწლიურად 2 ათასიდან 4 ათასამდე ადამიანი ეძლევა პასუხისგებაში, რომელთათვის წაყენებული ბრალდება სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მათგან მხოლოდ 250 მსჯავრდებულისთვის გამოაქვს გამამტყუნებელი ვერდიქტი.

ამერიკაში მართლმსაჯულების წარმოების დაახლოებით ასეთი შეფარდებაა: სისხლის სამართლის საქმეების 90 პროცენტი გარიგებითი მართლმსაჯულებით სრულდება, რვა პროცენტს ნაფიცი მსაჯულების სასამართლო განიხილავს, ორ პროცენტს კი, სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვით, მთლიანად უძღვება მოსამართლე. დაახლოებით იგივე სიტუაციაა დიდ ბრიტანეთშიც.

არსებული სტატისტიკით, რუსეთში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს საქმეთა 20 პროცენტზე გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი, ხოლო პროფესიული სასამართლო განსასჯელთა ერთ პროცენტს ამართლებს.

ამ ინსტიტუტის შემოღების შემდეგ, რუსეთში საგრძნობლად იმატა გამამართლებელმა განაჩენებმა - თუ ადრე ის განხილულ საქმეთა 0,4 პროცენტი იყო, გახდა 2,5 პროცენტი. არსებული მონაცემებით, 1993 წლის 15 დეკემბრიდან 1997 წლამდე 1 ივლისამდე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ 978 პროცესი ჩაატარა და 1719 ბრალდებულს გამოუტანა ვერდიქტი. თუ 1994 წელს გამამართლებელი ვერდიქტი 20 პროცენტი იყო, 2007 წელს ამ რიცხვმა 22,9 პროცენტს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ მოსმენილი საქმეების უმეტესი ნაწილი დასრულდა ნაფიც მსაჯულთა შუამდგომლობით, რის საფუძველზეც, განსასჯელებს სასჯელი შეუმსუბუქდათ

მიუხედავად იმისა, რომ ზოგ შემთხვევაში, რუსეთში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდა და ძალზე ბევრ საქმეზე პოლიტიკური სარჩულის მატარებელი ვერდიქტი გამოვიდა, რუსეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე საზოგადოების მოთხოვნა მაინც გაიზარდა. ექსპერტთა აზრით, ამის მიზეზი გახდა, არაპოლიტიკური, წმინდა კრიმინალური კატეგორიის საქმეები, რომელზეც მსაჯულებმა სამართლიანი ვერდიქტი გამოიტანეს. ამის დასტურია ბრალდებულების მოთხოვნის გაზრდა - მათი საქმეები ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილოს. თუ 1994 წელს ეს მაჩვენებელი შედგენდა 18,2 პროცენტს, 1997 საგრძნობლად გაიზარდა და ბრალდებულთა მოთხოვნამ მიაღწია 36,8 პროცენტს.

თუმცა, ამერიკისგან განსხვავებით, რუსეთში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი სამოქალაქო სასამართლო ვერ გახდა. ამერიკული მართლმსაჯულებისგან განსხვავებით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო რუსეთში პოლიტიკური წნეხის ქვეშ მოექცა, რამაც სამართლიანი ვერდიქტების გამოტანას ხელი შეუშალა.

თითქმის ყველა გახმაურებულ საქმეზე გამოტანილ ვერდიქტებს საზოგადოების ნაწილმა უარყოფითი შეფასება მისცა და ამ ინსტიტუტის სამართლიანობა ეჭვქვეშ დადგა.

# ჩინეთის ხელისუფლებამ დალაი ლამას კონსტიტუციის დარღვევაში დასდო ბრალი



*6 დეკემბერს დალაი ლამა ნიკოლა სარკოზის შეხვდება.*

გუშინ ჩინეთის ხელისუფლებამ ანტიკონსტიტუციურ საქმიანობაში დაადანაშაულა ტიბეტის სულიერი ლიდერი დალაი ლამა, რომელიც 1959 წლიდან ინდოეთში ცხოვრობს. ოფიციალური სამთავრობო საagენტო "სინხუას" მიერ გამოქვეყნებულ სარედაქციო სტატიაში ნათქვამია, რომ დალაი ლამა რელიგიური საქმიანობის საფარით ისეთ პოლიტიკას ატარებს, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ძირითადი კანონის ნორმებს არღვევს.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, ჩინეთის კონსტიტუციის 36-ე მუხლი თავის მოქალაქეებს სინდისის თავისუფლების გარანტიას აძლევს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ რელიგიის მომიზეზებით საზოგადოებრივი წესრიგი და მოქალაქეების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა საფრთხის ქვეშ დააყენო. ჩინეთის მთავრობა დალაი ლამას სეპარატიზმში სდებს ბრალს და მას ტიბეტსა და სხვა რაიონებში მარტში მომხდარ არეულობებში დამნაშავედ ცნობს.

მიმდინარე წლის მარტში ტიბეტის ავტონომიურ რაიონში მასობრივი საპროტესტო აქციები გაიმართა, რომლის ინიციატორებიც მხარის დამოუკიდებლობის მომხრეები იყვნენ. დემონსტრანტების პოლიციასთან შეტაკების შედეგად 19 ადამიანი დაიღუპა, რამდენიმე ათეული კი დაშავდა. მარტის მოვლენებმა ჩინეთს 200 მილიონი იუანის (28 მილიონი აშშ დოლარი) ზარალი მიაყენა.

მოგვიანებით ბუნტი გავრცელდა პროვინცია განსიუში, სადაც 260 მაღაზია, რესტორანი და სხვა კერძო დაწესებულება იქნა დარბეული, რომელთაგან 117 მთლიანად განადგურდა. ამ ინციდენტების ეკონომიკურმა ზარალმა 230 მილიონი იუანი (32 მილიონ აშშ დოლარზე მეტი) შეადგინა, არეულობების დროს კი 94 ადამიანი დაიღუპა.

მიმდინარე წლის ივლისში სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა საპროტესტო აქციების 42 მონაწილეს. დამატებით 55 განაჩენი ნოემბრის დასაწყისში იქნა გამოტანილი.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, ფაქტობრივად, დალაი ლამა ცდილობს, რომ რელიგია ხელისუფლებაზე მაღლა დააყენოს, რაც სეკულარული სახელმწიფოსთვის მიუღებელია. სააგენტოს ცნობით, თუ დალაი ლამა არ გაჩერდება, ტიბეტს ეკონომიკური სტაგნაცია და დემოგრაფიული კრიზისი ემუქრება.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო საზოგადოება ასევე ცდილობს კონფლიქტის მოგვარებას. 6 დეკემბერს პოლონეთში დაგეგმილია საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის შეხვედრა ტიბეტის სულიერ ლიდერთან.

ოფიციალური პეკინი აღშფოთებით შეხვდა ევროკავშირის თავმჯდომარის "მთავარ სეპარატისტთან" შეხვედრის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას. კერძოდ, ამ მიზეზით დეკემბრის დასაწყისში განუსაზღვრელი ვადით გადაიდო ევროკავშირი-ჩინეთის სამიტი, ხოლო გუშინ სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკურმა უწყებამ გარკვევით მიანიშნა, რომ პარიზის პოზიცია, შესაძლოა, უარყოფითად აისახოს საფრანგეთსა და ჩინეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე.

ტიბეტის დამოუკიდებლობის საკითხი ჩინეთის მთავრობისთვის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა გახლავთ. პეკინი დაჟინებით ამტკიცებს, რომ ტიბეტი ჩინეთის ისტორიული ნაწილია. 1950 წელს ჩინეთის მიერ ტიბეტის ოკუპაციის შემდეგ, დალაი ლამამ სამშობლოში მხოლოდ 9 წელი დაჰყო. 1959 წლიდან კი სულიერი ლიდერი, 150 ათას მომხრესთან ერთად, საცხოვრებლად ინდოეთში გადავიდა, სადაც ტიბეტის დევნილ მთავრობას უდგას სათავეში.

## მედვედევს აშშ-ს ახალ ადმინისტრაციასთან "რთულ საკითხებზე" შეთანხმების იმედი აქვს

რუსეთს იმედს აქვს, რომ აშშ-ს ახალი ადმინისტრაცია მზად იქნება, შეთანხმდეს უფრო რთულ პრობლემებზე, - იუწყება სააგენტო "ინტერფაქსი" დმიტრი მედვედევის განცხადებაზე დაყრდნობით.

"ჩვენ ველით, რომ ახალი ადმინისტრაცია და აშშ-ს ახალი პრეზიდენტი კონსტრუქციულ და გონივრულ პოზიციას დაიკავებენ, მოახდენენ სურვილის დემონსტრირებას უფრო რთულ საკითხებზე შეთანხმებისას. ის სიტყვები, რომლებიც ვაშინგტონიდან ბოლო დროს ისმის, ზომიერად ოპტიმისტურად და თანხმობით განმაწყობს," - აღნიშნა მედვედევმა ინდოეთის მედიასაშუალებებთან ინტერვიუში.

თუმცა, მისივე თქმით, პოლიტიკაში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სიტყვები, არამე მოქმედებებიც. "ამოტომაც, ჩვენ ველოდებით ახალი ადმინისტრაციის ფორმირებას, ჩვენ მათ ვუსურვებთ წარმატებებს. პირადად ვუსურვებ წარმატებებს აშშ-ს ახალ პრეზიდენტს, დანარჩენს ცხოვრება გვიჩვენებს," - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

*ინტერპრესნიუსი*

## ჯორჯ ბუშის ძმას სენატორობა სურს

ჯორჯ ბუშის ძმას, შტატ ფლორიდას ექს-გუბერნატორ ჯებ ბუშს სენატის 2010 წლის არჩევნებში მონაწილეობა სურს.

მოქმედმა სენატორმა, "რესპუბლიკური პარტიის" წევრმა მელ მარტინესმა განაცხადა, რომ მომავალ არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის ხელახლა დაყენებას აღარ აპირებს. მის ნაცვლად სენატის არჩევნებში საკუთარი კანდიდატურა შესაძლოა, ჯებ ბუშმა დააყენოს.

ჯორჯ ბუშმა ორი წლის წინ აღნიშნა, რომ მისი უმცროსი ძმა "აშშ-ს შესანიშნავი პრეზიდენტი იქნებოდა."

ხოლო ჯებ ბუშმა განაცხადა, რომ თეთრი სახლის ხელმძღვანელობაზე პრეტენზია არა აქვს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## იაპონიაში მიწისძვრა მოხდა

იაპონიის კუნძულ ჰონსიუს ჩრდილოეთით, მიაგის პრეფექტურაში, ადგილობრივი დროით 8:17 საათზე 6,1-ბალიანი მიწისძვრა მოხდა. მიწისქვეშა ბიძგები ტოკიოდან, დაახლოებით, 290 კილომეტრში დაფიქსირდა 10 კილომეტრის სიღრმეში.

როგორც პრეფექტურის ხელისუფლება აცხადებს, მიწისძვრას ნგრევა არ გამოუწვევია. იაპონია, სეისმური აქტივობის თვალსაზრისით, მსოფლიოში ყველაზე სახიფათო ადგილია. უკანასკნელი დიდი მიწისძვრა, რომლის შედეგად 6,500 ადამიანი დაიღუპა, ქვეყანაში 1995 წელს მოხდა.

*მედიანიუსი*

## მუმბაის ტერაქტებში მონაწილის წარმომავლობას ვერ ადგენენ

პოლიციის ხელში ცოცხლად ჩავარდნილ ერთადერთ პიროვნებას, რომელიც მუმბაის ტერაქტებში მონაწილეობდა, ე.წ. "სიმართლის შრატს" გაუკეთებენ. ეს იმისთვის არის აუცილებელი, რომ ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს 21 წლის (სხვა მონაცემებით, 24 წლის) აზამ ამირ ქასაბის წარმომავლობა.

ინდოელ პოლიციელთა მტკიცებით, იგი სოფელ ფარიდქოტიდან უნდა იყოს, ფენჯაბის პაკისტანის მხრიდან. თავად პაკისტანის პრეზიდენტმა ამის შესახებ ეჭვები გამოთქვა. ასიფ ალი ზარდირის თქმით, პაკისტანელ სპეცსამსახურებს არავითარი ხელშესახები მტკიცებულება არ გააჩნიათ იმის სათქმელად, რომ ტერორისტი პაკისტანელია.

პაკისტანის პრეზიდენტის განცხადებით, "მუმბაის ტერაქტების ორგანიზატორი და მონაწილეები მოქალაქეობის არმქონე პირები არიან, რომელთაც მთელი მსოფლიო ჰყავდათ დატყვევებული."

*მედიანიუსი*

**სსიპ ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო აცხადებს ღია კონკურსს ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად**

კონკურსის პირობები:

1) პრეტენდენტი უნდა იყოს 65 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქე უმაღლესი განათლებითა და არანაკლებ 5 წლის სამუშაო სტაჟის მქონე.

2) კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს: პირადობის მოწმობის ასლი; განათლების, სამეცნიერო ხარისხის და სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი საბუთების ასლები.

კონკურსის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

1) კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს ინსტიტუტის განვითარების პროგრამა.

2) კანდიდატს უნდა ჰქონდეს გეოლოგიის დარგში მუშაობის გამოცდილება.

3) გამოქვეყნებული ნაშრომების, სამეცნიერო გრანტების, პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი.

დირექტორის არჩევნები ჩატარდება 2008 წლის 16 დეკემბერს, 12 სთ-ზე.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: თბილისი 0193, მ. ალექსიძის ქ. № 1/9, ტელ: 29 39 41; მობ: 893 240 123.

პასუხისმგებელი პირი: მირიან თოფჩიშვილი

საბუთების წარდგენის ბოლო ვადაა 2008 წ. 15 დეკემბრის 14 საათი.

**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის პედიატრიული სამსახური**

**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ქეთევან ბარაბაძის ხელმძღვანელობით გთავაზობთ:**

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით
- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით
- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**

# რუსეთის ჭიუტი პოზიცია

## პირდაპირ ხაზზე ვლადიმირ პუტინია

ხათუნა ბაბიევი



*ვლადიმირ პუტინი თანამოქალაქეების კითხვებს პირდაპირ ეთერში პასუხობს.*

AFP ' 2008

*4 დეკემბერი, შუადღე, "პირდაპირი ხაზი" რუსეთის პრემიერ-მინისტრთან; თანამოქალაქეების კითხვებზე, უკვე მეშვიდედ, პასუხები ვლადიმირ პუტინისგან; 1 მლნ 310 ათასი სატელეფონო ზარი და 550 ათასი მოკლე ტექსტური შეტყობინება; პირველი კითხვა თანამდებობის შესახებ და პასუხად რთული თანამედროვე პირობები.*

**"მთავარი, რა თქმა უნდა, სავარძელი კი არა, ის უფლება-მოვალეობებია, რასაც სახელმწიფოში ესა თუ ის თანამდებობა გულისხმობს. ჩემთვის ეს ახალი სამუშაო არ არის, რადგან მთავრობის სათავეში 1999 წლიდან მოვედი. მთავრობასთან პრეზიდენტის რანგშიც მჭიდროდ ვთანამშრომლობდი. ეს სამსახური ძალიან დიდ ენერგიას მოითხოვს, განსაკუთრებით თანამედროვე პირობებში,"** – სწორედ ამ სიტყვებით დაიწყო პრემიერმა პირდაპირი ეთერი.

წელს ვლადიმირ პუტინს, პირველ რიგში, ქვეყანაში დადებითი ეკონომიკური ციფრებით კი არ მოუწონებია თავი, არამედ მსოფლიო ფინანსურ კრიზისზე გაამახვილა ყურადღება და "დამნაშავეც" იპოვა – ამერიკის შეერთებული შტატები, რომელმაც კრიზისამდე ჯერ საკუთარი ეკონომიკა მიიყვანა და შემდეგ სხვებიც დააავადა.

ბნელ ოთახში შავი კატის პოვნის შემდეგ კი პუტინი რუსეთის ეკონომიკის აღმავალ მაჩვენებლებზე საუბრით "გაერთო".

**"რუსეთის ფედერაციის ეკონომიკაზე მსოფლიო ფინანსური კრიზისის უარყოფითი გავლენის მიუხედავად, 2008 წელს მაინც კარგი შედეგები გვაქვს: ჩვენ ვგეგმავდით ეკონომიკის ზრდას 7.5 პროცენტამდე და 7 პროცენტს მაინც მივიღებთ,"** – აღნიშნა პუტინმა.

მისი აზრით, რუსეთს ყველა შანსი აქვს, რათა მსოფლიო ფინანსურ კრიზისს მინიმალური დანაკარგებით დააღწიოს თავი. პრემიერის თქმით, გასული საუკუნის 90-იან წლებში რუსეთს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების, წარმოების სრული დეზინტეგრაციისა და სოციალური სფეროს პრობლემებიც ჰქონდა, რასაც წარმატებით გაართვა თავი. თუმცა, მას არც იმის შეხსენება დავიწყებია თანამოქალაქეებისთვის, რომ მომდევნო წელიწადი რთული იქნება ეკონომიკური თვალსაზრისით.

### 2008 წლის ბოლოს ინფლაცია 13 პროცენტამდე გაიზრდება

**"ინფლაციის ზრდის გამო პრობლემები გვაქვს. ვვარაუდობდით, 12-პროცენტიან ინფლაციას, მაგრამ წლის ბოლოს შეიძლება 13 პროცენტი მივიღოთ. მიუხედავად ამისა, სოციალური სფეროს გეგმები, კერძოდ, სოციალური დახმარების, პენსიებისა და სახელფასო ანაზღაურების ზრდა, განხორციელდება,"** – დაჰპირდა მოსახლეობას პუტინი.

მისი თქმით, ცვლილებები არ შეეხება რუსული მსხვილი კომპანიების საინვესტიციო მოღვაწეობისა და კომუნალური მეურნეობის რეფორმირების გეგმებს, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სისტემის რეფორმირებასა და აუცილებელ სამედიცინო დაზღვევას.

**"ჩვენ ოქროს სავალუტო რეზერვების მოცულობით მსოფლიოში რიგით მესამე ქვეყანა ვართ. ეს რეზერვი იმისთვის შეგროვდა, რომ კრიზისის შემთხვევაში გამოვიყენოთ, რასაც ვაკეთებთ კიდეც. მას თუ გონივრულად გამოვიყენებთ - გვეყოფა. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ არ დავუშვებთ ეკონომიკისა და ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრ ვარდნას,"** – აღნიშნა მან.

პუტინის თქმით, ოქროს სავალუტო რეზერვების ოდენობა პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იყიდება საერთაშორისო ბაზარზე რუსული ექსპორტის უმთავრესი საქონელი (ნავთობი, ბუნებრივი გაზი, სასუქი და მეტალები), რომელზეც ამჟამად ფასები ეცემა.

### "უფასო საქონელი არ არსებობს, საჭიროა გადახდა"

პრემიერის თქმით, თუ უკრაინა დასავლეთ ევროპისთვის ბუნებრივი გაზის სატრანზიტო ქვეყნის ვალდებულებას არ შეასრულებს, რუსეთს მისთვის საწვავის მიწოდების მოცულობის შემცირება მოუწევს.

**"ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ დასავლეთ ევროპის მომხმარებელთან ჩვენი ენერგორესურსების ტრანზიტის პრობლემა არ გვქონდეს და ასეთ შეთანხმებას უკრაინასთან წინა წლებში მივაღწიეთ, მაგრამ თუ ჩვენი უკრაინელი პარტნიორები მოვალეობას სათანადოდ არ შეასრულებენ, იძულებულნი გავხდებით, შევამციროთ მიწოდება. მეტი რაღა დაგვრჩენია?"** – თქვა პუტინმა.

მან ბუნებრივი გაზის საფასურზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ "რუსეთს მომავალი წლისთვის ამჟამინდელი ფასის შენარჩუნება არ შეუძლია."

**"უკრაინა რუსეთისგან ბუნებრივ გაზს ორჯერ უფრო იაფად იღებს, ვიდრე ევროპა. ჩვენ არ შეგვიძლია ლიკვიდური საქონელი ნახევრად ან სულაც უფასოდ გავცეთ. ბუნებრივი გაზის საფასური ნავთობის მსოფლიო ფასზეა დამოკიდებული, ხოლო ფასების ცვლილებაზე შეთანხმებას ადმინისტრაციული ხასიათი არა აქვს,"** – განაცხადა ვლადიმირ პუტინმა.

მისი თქმით, უკრაინელ პარტნიორებს ჯერ კიდევ დასაფარი აქვთ ძველი დავალიანება, რაც 2.5 მლრდ აშშ დოლარს აღემატება.

### უმუშევრობის პრობლემა რუსეთში

რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, რუსეთს მასობრივი უმუშევრობა არ ემუქრება, მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური კრიზისის გამო ქვეყანაში შესამჩნევად გაიზარდა უმუშევართა რაოდენობა.

**"შრომის ბაზარზე არსებული არცთუ სახარბიელო ვითარების გათვალისწინებით, გონივრულად მიმაჩნია უცხოური სამუშაო ძალის მიზიდვაზე კვოტების შემცირება. რუსეთის ხელისუფლება უმუშევრობის პრობლემის გადასაწყვეტად დასაქმების სამსახურებისთვის 10-დან 50-მდე მლრდ რუსულ რუბლს გამოყოფს,"** – აღნიშნა პუტინმა.

მან თანამოქალაქეებს ისიც შეახსენა, რომ სახელმწიფომ საბანკო სექტორის მხარდასაჭერად უკვე გამოყო 5 ტრლნ რუსული რუბლი.

**"სახელმწიფო, პირველ რიგში, ისეთ ბანკებთან თანამშრომლობს, რომლებიც ფულს ჰაერს არ გაატანენ, მაგალითად, "სბერბანკი", "ვითიბი", "გაზპრომბანკი" და "ვნეშეკონომბანკი". რეალური სექტორის მხარდასაჭერად სახელმწიფო მზად არის, ჩადოს თავისი წილი უმსხვილესი კომპანიების კაპიტალში, რაც რუსეთის ეკონომიკის საფუძველია. ბანკებისგან ჩვენ მოვითხოვთ კრედიტის გამოყოფას სამი სექტორისთვის: სოფლის მეურნეობის, თავდაცვა-საწარმოო კომპლექსისა და მცირე/საშუალო ბიზნესისთვის. დღეს საბანკო სექტორისთვის უმწვავესი პრობლემაა არა ლიკვიდურობა, არამედ ნდობა,"** – აღნიშნა პრემიერმა.

პუტინის რეკომენდაციით, ბანკებმა არ უნდა დააშინონ კლიენტები იპოთეკური სესხების ვადამდელი დაფარვის მოთხოვნის უფლების გამოყენებით.

### პუტინს ობამას იმედი აქვს

ნატო-ს საგარეო უწყების ხელმძღვანელთა ბოლო შეხვედრაზე საქართველოსა და უკრაინისთვის ალიანსის წევრობის სამოქმედო გეგმაზე უარის თქმა პრემიერმა დასავლეთისგან დადებით სიგნალად აღიქვა.

**"ამერიკასთან ურთიერთობა ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად იცვლებოდა. ჩვენ ამ ურთიერთობებში დადებითი ცვლილებების დიდი იმედი გვაქვს. ასეთი სიგნალი მოდის კიდეც. ჩვენ ვხედავთ, რომ ნატო-ში საქართველოსა და უკრაინის გაწევრიანებას, ისევე როგორც პოლონეთში რადარების განთავსებას დიდად არ ჩქარობენ. გვესმის მოწოდებები იმის შესახებ, რომ საჭიროა რუსეთთან ურთიერთობების აგება ოფიციალური მოსკოვის ინტერესების გათვალისწინებით. თუ ეს ლიტონი სიტყვები არ არის და პრაქტიკულ პოლიტიკად გადაიქცევა, ცხადია, ჩვენი რეაქციაც ადეკვატური იქნება და ამას ჩვენი ამერიკელი პარტნიორები დაუყოვნებლივ იგრძნობენ,"** – განაცხადა პუტინმა.

### 2009 წელს ბენზინი გაიაფდება

რუსეთის ფედერაციის პრემიერის თქმით, რუსეთში ბენზინზე მაღალი ფასი იმით აიხსნება, რომ ნავთობკომპანიები ისწრაფვიან, შიდა მომხმარებლის ხარჯზე "რაღაც მოგება მაინც შეინარჩუნონ".

**"ნავთობკომპანიები ამჟამად მსოფლიო ფასების ვარდნისა და შენარჩუნებული დიდი გადასახადების გამო ზარალდებიან,"** – აღნიშნა პუტინმა.

თუმცა, ხელისუფლება აპირებს, ნავთობკომპანიებისთვის საგადასახადო დატვირთვა კვლავ შეამციროს - იმ იმედით, რომ ეს მალე აისახება რუსეთში საწვავის ფასებზე.

### რუსეთი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს არ დატოვებს

კავკასიაში აგვისტოს მოვლენების შეფასებისას რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ საქართველოს მოქალაქეების გადასაწყვეტია, თუ როგორ დასაჯონ საკუთარი ქვეყნის ხელისუფლება.

**"სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან ურთიერთდახმარების შეთანხმებები ხელმოწერილია და ეს საუკეთესო გარანტია იმისა, რომ რუსეთი ამ რეგიონიდან წასვლას არ აპირებს. სამხრეთ ოსეთის აღსადგენად ბიუჯეტში გათვალისწინებული გვაქვს საფინანსო რესურსები, რაც მიზანმიმართულად გაიხარჯება,"** – აღნიშნა ვლადიმირ პუტინმა.

კითხვას, მართლაც დაჰპირდა თუ არა პუტინი სააკაშვილის ერთი ადგილით ჩამოკიდებას, პრემიერმა კონტრკითხვა შეაგება: "რატომ მარტო ერთი ადგილით?"

### რუსულ არმიაში სამსახურის ვადა უცვლელი რჩება

პრემიერ-მინისტრი სამხედრო რეფორმასაც შეეხო და განაცხადა, რომ რუსეთის შეიარაღებულ ძალებში ცვლილება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას ემსახურება. მისი თქმით, არმიაში ოფიცრებისა და პრაპორშიკების რაოდენობის შეკვეცა ეტაპობრივად მოხდება და თავდაცვისუნარიანობაზე არ იმოქმედებს. გარდა ამისა, მან უარყო გავრცელებული ხმები სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადის 32 თვემდე გაზრდის შესახებ.

**"გადაწყვეტილება მიღებულია, რუსეთის არმიაში სამსახურის ვადა წვევამდელთათვის 12 თვე იქნება და ჩვენ არაფრის შეცვლას არ ვაპირებთ,"** – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

### პუტინი - დემოკრატიის "მხარდამჭერი"

რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ქვეყანაში მრავალპარტიული სისტემის განმტკიცებას დაუჭირა მხარი. შესაძლოა, პრემიერისთვის დემოკრატიულობა მხოლოდ ახალი მემარჯვენე-ლიბერალური პარტიის ჩამოყალიბებით განისაზღვრებოდეს. ნოემბრის თვეში "პრავოე დელო" სამი დათხოვნილი პარტიისგან შეიქმნა, ესენია: "სოიუზ პრავიხ სილ", "გრაჟდანსკაია სილა" და რუსეთის დემოკრატიული პარტია.

**"მრავალპარტიული სისტემის გამყარება აუცილებელია. მიმაჩნია, რომ მრავალპარტიულობა თანამედროვე რუსეთის დემოკრატიული ინსტიტუტების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია,"** – აღნიშნა ვლადიმირ პუტინმა.

# რევიუ

## "პაკრიშკები" წერეთლისგან

### საბჭოური მითების რეანიმაცია

სოფო კილასონია

*ის ძალიან ჭკვიანია, ძალიან ნიჭიერი, ძალიან წარმატებული. ხშირად უთქვამთ რომ გენიოსიცაა. ასეა, ნამდვილად ასეა! არ მითხრან სხვა ქართველმა ხელოვანებმა რომ მე ვცდები! არ მითხრან საპირისპირო! აბა, ვის მოუვიდა თავში აზრად დახმარებოდა თბილისს და სრულიად უსასყიდლოდ ეჩუქებინა ჩვენი პაწაწინა დედაქალაქისთვის საკუთარი დიადი შემოქმედების ნიმუშები? არავის. არც ერთ ქართველ მხატვარს. არც ერთ გამოჩენილ ხელოვანს. აი, ზურაბ წერეთელმა კი მოიფიქრა.*



"ჯი-ეჩ-ენი", - მოგეხსენებათ არსებობს ასეთი საინფორმაციო სააგენტო. უკვე რამდენიმე დღეა ეს სააგენტო მატყობინებს, რომ თბილისის მერია ქალაქის ერთ-ერთ სკვერში ზურაბ წერეთლის სკულპტურულ ანსამბლს დგამს. ცხადია, ამ სიტყვებით არ გვწერს სააგენტო, ის თავისებურად წერს, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს. მე ხომ ორი თვეა ეს ამბავი მესმის, თუმცა ამ ინფორმაციის მიღებისგან თავი ათასგზის დავიძვრინე. არ მოვუსმინე მეგობრებს, არ დავუჯერე ახლობლებს, არ წავიკითხე "იმეილი", აი, "ჯი-ეჩ-ენ" კი მაიძულებს რომ შევიგნო და შესაბამისად, ამაზე ფიქრი დავიწყო. ზურაბ წერეთელმა ისევ გაიღო მოწყალება, რაც მოსკოვს და რუსეთის სხვა ქალაქებს ვერ შეაჩეჩა, ახლა ჩვენსკენ გადმოისროლა. ძვირფასი ბუბა კიკაბიძის დაბადების დღე მოიმიზეზა და თურმე, ნუ იტყვით და უსასყიდლოდ გვილამაზებს ქალაქს. გვილამაზებს გიორგი დანელიას "მიმინოს" გმირების, ბუბა კიკაბიძის, ევგენი ლეონოვისა და ფრუნზიკ მიკირტიჩაიანის გმირების კარიკატურული ქანდაკებებით. ისე კი, სულ არ უნდოდა კარიკატურული ყოფილიყო, უბრალოდ, ასე გამოუვიდა და ახლა, ხომ არ გადააგდებს? ხომ არ დაივიწყებს ამ უნიკალური კონცეფციის ქმნილებას?!

ეს ქმნილება წერეთელმა ჯერ დანელიას უსახსოვრა იუბილეზე. მაგრამ რუსეთში არ დადგეს. მაშინ საჩუქარი "გაუხუნდა", მაგრამ მის გენიოსობას ერთი არაჩვეულებრივი თვისება სრულყოფს – მოთმინება. და აი, დადგა ჟამი - ბუბას დაბადების დღეც ახლოვდება. თბილისი კიდევ ერთხელ ხელგაშლილი იღებს ამ მხატვრის სახელოსნოში მიყრილ-მოყრილ ნარჩენებს, უფუნქციო ნივთებს, გამოუსადეგარ ქმნილებებს. ერთია, ალბათ მერიაში სადღაც გულის სიღრმეში სტკივათ, - რით ვერ ველირსეთ რაიმეს მისგან, სპეციალურად თბილისისთვის შექმნილსო – ალბათ ფიქრობენ, - მაინც და მაინც, წმიდა გიორგის მონუმენტის არ იყოს, მესამოცე ვერსიას და სხვებისგან დაცინულ და აბუჩადაგდებულ "მიმინოს" რატომ გვიგზავნისო მაესტრო?! - ფიქრობენ. მერიის თანამშრომელთა საყურადღებოდ, წერეთლის ქმნილებები ყველა ერთია, ანუ - ყველა გენიალური.

"დეჟა-ვუ" მაქვს, თანაც ნამდვილი. დღეს ისევ იმის მტკიცებას ვიწყებ, რაზეც ოთხი წლის წინ, წმიდა გიორგის მონუმენტის თავისუფლების მოედანზე წამოყუდების წინ ვწერდი და არა მხოლოდ მე ვწერდი. დღეს ისევ იმის ვაპროტესტებ, რაზეც მაშინ ვკამათობდით. მაგრამ მაშინ საქმე წმინდა გიორგის შეეხებოდა, წმინდანს, რომელიც ვარდების რევოლუციაზე მიგვიძღვოდა, თანაც რევოლუციაც გვახარებდა, თანაც წერეთელს ჯერ არ ჰქონდა დაწერილი წერილი პუტინისთვის, რომელშიც მას კონსტიტუციის შეცვლას სთხოვდა და ევედრებოდა, მესამედ გამხდარიყო დიდი რუსეთის პრეზიდენტი, ანუ იმპერატორი. ოთხი წლის წინ იყო მიზეზები, რის გამოც პირში წყალი ჩავიგუბეთ, იყო მიზეზები, რის გამოც დღესაც, თავისუფლების მოედანზე გასულები მაღლა არ ვიყურებით, არაფერს ვიმჩნევთ. მაშინ ჩვენც ბავშვებივით ვიყავით. მაშინ? – ანუ იმის თქმა მინდა, რომ იყო "მაშინ" და არის "დღეს" და რომ დღეს სხვები ვართ: გაზრდილები, დაჭკვიანებულები, ომგამოვლილები და ბევრად შეგნებულები. ამის თქმა მინდა.

ზემოთ, რომელიღაცა წინა აბზაცში ერთი სახიფათო სიტყვა წამომცდა – კონცეფცია, ანუ რაღაც მსგავსი იდეისა და ჩანაფიქრისა. ამ საკითხის წამოჭრდა წერეთლის ხელოვნებასთან მიმართებაში ძალიან სახიფათოა, იმიტომ რომ თუ ადამიანი ძალიან გონებამახვილი არ ხარ, ან კონფრომისტი, "კონცეფციისა" და "წერეთლის", ამ ორი ცნების ჭიდილი დაგაგდებს, ენერგიას გამოგაცლის და უაზრობაში გიკრავს თავს. მერე კი ხელოვნებაც შეგძულდება და იდეებიც. მაგრამ რადგანაც ენა წინ მისწრებს და ეს სიტყვა ვახსენე, უნდა მივსდიო კიდევაც ამ დინებას. ჰოდა რა ხდება?

რაზე შეიძლებოდა ეფიქრა მხატვარს, როცა ბრინჯაოში ასხამდა "მიმინოს" გაშეშებულ ფიგურებს? არც არაფერზე. გაერთო, ითამაშა. ვიცი რასაც მიპასუხებს ჩასაფრებული მკითხველი, - განა ხელოვნება ხშირად თამაში არ არისო? – ასეა, თამაშია. მაგრამ სიტყვებს ნუ ჩავუღრმავდებით. თუ ჯერ არ იცით რას წარმოადგენს წერეთლის ეს ნამუშევარი, როცა მას ავლაბრის სკვერში ნახავთ, მიხვდებით, რომ სიღრმეების წვდომაზე კალორიების დახარჯვა არ ღირს. მოკლედ ამ ეტაპზე სიტყვაზე უნდა მენდოთ, არაფერზე უფიქრია, იმის გარდა, რომ სადმე მოსკოვში, მოსკოვში თუ ვერა ერევანში, ერევენში თუ ვერა თბილისში დადგამდა, ფულს თუ ვერ აიღებდა, უბრალოდ გაიხარებდა. ჰოდა ძალიანაც კარგი, მესამე ვარიანტი, ყველაზე არასასურველი – თბილისი – გამოუვიდა.

მას არ უფიქრია ბევრი, გენიოსებს ბევრი ფიქრი რად უნდათ, მაგრამ როცა დღეს ამ მონუმენტს თბილისში დგამენ და ეს ამბავი გადაწყვეტილია (ისევ გაუგებარია, ვინ წყვეტს მსგავს საკითხებს ჩვენს ქალაქში), ვინმეს უნდა ეფიქრა. იმიტომ რომ ეს ვინმე ვალდებულია არა მხოლოდ ქალაქის იერსახეზე იზრუნოს და თუ ვერ გაალამაზებს, სასაცილოც არ გახადოს ის, არამედ ასევე ვალდებულია პოლიტიკური ამინდი შეაფასოს საკუთარ ქვეყანაში, ბოლო-ბოლო "ის", ვინც არ უნდა იყოს ის, სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელიც არის. ამ სახელმწიფოში კი მგონი გავიაზრეთ, რომ "რუსი, ქართველი და სომეხი ერთად" – არანაირი ერთობის, სოლიდარობის და მეგობრობის სინონიმი არაა. როგორც მახსოვს, საბჭოთა კავშირში აღარ ვცხოვრობთ და არც რუსები და სომხები არ არიან ჩვენი ერთგული პარტნიორები. არ მითხრათ ახლა, რომ ერთია პოლიტიკა და სულ სხვაა კულტურა და რომ ქართველი და სომეხი ძმები არიან, რუსეთთან კი მართმადიდებლობის ნათელი კავშირი გვაახლოებს და კიდევ, ის ქართველი გენიოსებიც, რუსეთში რომ მეორე სამშობლო იპოვნეს, ბევრად მდიდარი სამშობლო...

მოკლედ რა ხდება? წერეთელი ისევ იქ არის, სადაც მთელი რუსეთი. მისთვის არაფერი შეცვლილა. ის რაც "მიმინოში" ხდება მისთვის ისევ აქტუალურია, დღევანდელობაა. მხოლოდ 2007 წლის ბოლოს შეცბა ცოტა, ვაი თუ პუტინი წავიდეს და კავშირი დაირღვესო, ვაი, თუ რუსეთმა დიდი "დერჟავის" ძალა დაკარგოსო, ამდენი მონუმენტი სად წავიღოო და ფული როგორ გავათეთროთო, ამ დროს დაწერა წერილი პუტინისთვის, "[illegible]"-ში, გენაცვალე, არ დაგვლუპოო (2007 წელი, 16 ნომებერი, №4493), მაგრამ გადარჩა. პუტინი ფაქტობრივად დარჩა. ჰოდა, წერეთელმაც გააგრძელა თამაში. ომის დროს დუმდა, ახლა კი ალბათ თავს ჭეშმარიტი ქველმოქმედივით გრძნობს. საწყალ საქართველოს კიდევ ერთხელ უგზავნის უსასყიდლოდ შედევრს და ცხადია, კმაყოფილია. აქეთ რა ხდება? აქეთ ანუ ჩვენთან მოწყალებას მიიღებენ. ბოლო-ბოლო ბუბა კიკაბიძეს დაბადების დღეს ულოცავს წერეთელი და ... და რა მნიშვნელობა აქვს, რა იყო აქამდე და სად იყო წერეთელი თავისი ფულითა და ბავშვური ღიმილით 2008 წლის ზაფხულში, თანაც სახელოსნო აქვს დასალაგებელი ადამიანს და ხელი უნდა გავუმართოთ.

მახსოვს, წელს, სექტემბერში, ლიონში, ფესტივალზე, ჩემი კოლეგა რუსები მხოლოდ ქართულ სტუმართმოყვარეობას მისტიროდნენ. მხოლოდ სტუმართმოყვარეობას და ქართულ სუფრას. ჩვენც არ გვიყვარს ტრადიციებისა და მით უფრო მითების ნგრევა. ომის შემდეგაც არ გვიყვარს. მითებზე პრომეთესა და მედეას ქანდაკებები მომაგონდა და ამ ქანდაკებების მოგონებამ სინდისის ქენჯნა გამიღვიძა - ლეონოვს რაღას ვერჩი? მშვენიერი, საყვარელი ვინმე იყო ცხონებული.

არა, გადავიფიქრე, დღეს არ გავაპროტესტებ არაფერს. არც წერეთლის ვითომ ხელოვნებას დავარქმევ ანტიკულტურას, პოსტსაბჭოურ გადმონაშთს, არც იმის მცდელობა მექნება, ხელოვნებათმცოდნეობითი თვალსაზრისით გავშიფრო მის მიერ ნაშობი მოვლენები, არც მასშტაბზე, პროპორციაზე არ ვისაუბრებ. არც ფორმასა და იდეაზე, არც მისი მონუმენტების დროსა და სივრცესთან არაადეკვატურობაზე. არ გეტყვით იმას, რომ დასავლურმა კრიტიკამ წერეთელი სიმახინჯეთა ავტორად აღიარა ახლახანს.

ჩემმა ინგლისელმა კოლეგამ ნათანიელ მაკბრაიდმა 2007 წლის დეკემბერის ჟურნალ "შოკოლადში" თეთრით შავზე დაგვიწერა ჯერ როგორ აკეთებს წერეთელი ფულს და შემდეგ როგორ ათეთრებს მას რუს ჩინოვკინებთან ერთად. ნათანიელი, რომელიც წერეთელს სტუმრობდა, მერე წამოვიდა და თბილისში ეს ამბები დაბეჭდა, ფიქრობდა, რომ აქ ამ სტატიასაც წაიკითხავდნენ და გაიაზრებდნენ, დაეჭვდებოდნენ მაინც. მორჩა, არაფერს აღარ ვიტყვი ამის მსგავს. რატომ? იმიტომ რომ: 1. ეს უკვე ათასჯერ გაგვიკეთებია. 2. დღეს, ისე როგორც 4 წლის წინ საქართველოში პროფესიული კამათი მიღებული არაა, ამისთვის ისევ არ გვცალია. 3. აღარფერს ვიტყვით, იმიტომ რომ ხელოვნება, რომელიც სინამდვილეში ხელოვნება არაა, სჯაბაასს არ იმსახურებს, მისი ავტორი კი ანტიგმირის როლსაც კი.

სინამდვილეში, ხომ პრობლემა არა წერეთელშია, პრობლემა არის ჩვენში, ჩვენ ვერ მივმხდარვართ ჩვენი ქალაქის ფასს, ჩვენ ვერ შევიყვარეთ ჩვენი ქვეყანა და ჩვენ ვერ ვიცავთ მას ვერც რუსული ფსევდო ფასეულობებისგან, ვერც კულტურული ანექსიისგან, ვერც ვერაფრისგან. ჩვენ თბილისელებს ისიც კი ვერ გაგვირკვევია, არის თუ არა ეს ქალაქი ჩვენი და გვეხება თუ არა მისი პრობლემები ჩვენ.

ერთმა ბრძენმა ადამიანმა თქვა რომ ომი - გარეთ არაფრის მომტანია, თუ ომი შიგნით, ჩვენში არ გავაჩაღეთ და არ გავიმარჯვეთ. მერე? მერე გავმთლიანდებითო. მთლიანობა კი ისაა, რაც ასე გვაკლია და ასე გვჭირდება. შინაგან მთლიანობას მოაქვს მყარი პრინციპები და ცოდნა იმისა, თუ ვინ ვართ და რა გვინდა. ქვეყანა კი, რომელმაც პოლიტიკურად დაპირისპირებულ მეორე ქვეყანას, ქვეყანას რომელიც გვესვრის, ერთი მხრივ ეკონომიკური ბერკეტები გადაულოცა, მეორე მხრივ კი მისი კულტურის ყველაზე სამარცხვინო ტენდენციას ფართო გზა მისცა ყველანაირი თვალსაზრისით, ამ ქვეყანამ ვერაფერი გაიგო, ვერაფერი ისწავლა, ამ ქვეყანამ არ იცის, თავად ვინ არის და რა სურს. შესაბამისად, ამ ქვეყანაში საუბარი ვერ იქნება ვერც პრინციპებზე, ვერც ვერანაირ მთლიანობაზე. მაგრამ ამით ნუღარ შევწუხდებით. გასაოცებელი ჯერ კიდევ ბევრი იქნება. მაგალითად მაშინ, როცა დაგვიანებით აღმოვაჩენთ, რომ პარლამენტარი არჩილ გეგენავა კულტურული მემკვიდრეობის, ძეგლთა დაცვის სპეციალისტი ყოფილა და მისი კანონპროექტის თანახმად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები ახალ "მოთხოვნებთან" "ადაპტაციას" დაიწყებენ. მაგრამ ამ კანონპროექტზე წვირილად შემდეგ პარასკევს ვისაუბრებთ. მანამდე კი თბილისის ერთ-ერთი სკვერი უნდა მოვაპირკეთოთ, იმისთვი რომ იქ მონუმენტი სიხარულით გავხსნათ, რათა ცოტა მერე ძალიან შეგვრცხვეს. იქნებ ვინანოთ კიდეც. სინანულში ხომ დიდი კათარზისი იმალება.

კომენტარები მთავარზე



# ქუიშტ!

ლაშა ბუღაძე

ფაქტია, რაღაც მოგვცეს ნატოს მინისტრების სამიტზე... რაღაც ტერმინიც კი გაისმა, ახალი სიტყვა, მაგრამ აი, რამდენიმე დღეა ტვინს ვიჭყლეტ და ვერ მივმხდარვარ, რა იგულისხმება ამ ახალ ტერმინში!

რამდენ ახალ-ახალ სიტყვებს გავეცანით ამ წლებში, მაგრამ ასეთი მანამდე არაფერი გვსმენია...

მოდით, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რა თქვა ნატოს გენერალურმა მდივანმა. აი, ციტატა მისი გამოსვლიდან:

"ვი გივ ჯორჯია ვერი ბიგ ქუიშტ!"

"ბიგ" კი ვიცით, რაც არი, "ჯორჯიაც" - რასაკვირველია, მაგრამ აი, ეს "ქუიშტ" რაღაა!

რა კარგი სიტყვა იყო "აიპაპი"! ბავშვობას გვახსენებდა, გოგებაშვილის დედა-ენას... აი, თითი... აი, თუთა... აი, პაპი...

ცოტა ხნის წინ გაცხადებული "აიაიპიც" მომწონდა. მაგრამ ზედიზედ ორჯერ "აი-აი", რაც მართალია მართალია, ცოტა არ იყოს, სასოწარკვეთილად ჟღერდა... თუმცა "ქუიშტს" არც შევადერებ, უფრო ადამიანური და გასაგები იყო.

გერმანულ საიტებზე ეს სიტყვა ოდნავ სხვაგვარად იკითხება.

"ვირ ჰაბენ ფიურ გეორგიენ აინ გროსსეს ხუიშტ." აი, ასე. წინადადების წყობას ეტყობა, რომ აშკარად შტაინმაიერს უნდა ეთქვა ეს სიტყვები...

ეჰ, ამ დროს, რა არ გადავიტანეთ, რეები აღარ გამოვიარეთ, რომ ეს "ქუიშტ" მიგვეღო!

ისე, ჩვენ და საბრალო უკრაინელებს რომ ამ ტერმინით გვაჯილდოებენ და ალბანეთი რომ პირდაპირ ნატოში შეჰყავთ აპრილში, ეს რანაირი სამართალია, ვერ ვხვდები.

არაფერს ვერჩი ალბანელებს, ძალიან კარგი ხალხია, მაგრამ იმას კი ნამდვილად ვერ დავიჯერებ, რომ დემოკრატიულობის თვალსაზრისით ჩვენზე და უკრაინაზე წინა იყოს ეს ქვეყანა. ამ დროს, ჩვენ "ქუიშტ" (გერმანულად "ხუიშტ"), ალბანეთს კი პირდაპირ ნატო?.. უცნაურია...

ალბანეთის ამბავი რომ არა, ოდნავადაც არ შევიტანდი ეჭვს ევროპელების ობიექტურობაში... ვიტყოდი: დიახ, მართლები არიან, ჩვენთან დემოკრატია დაინვალიდებულია, ხალხი სადარბაზოებში ფსამს, რა ნატოს დონის ჩვენა ვართ! მაგრამ, თურმე (სამწუხაროდ), გადამწყვეტი ფაქტორი ქვეყნის დემოკრატიულობა კი არ ყოფილა (რადგან, ამ მხრივ, ალბანეთს ჩვენზე ნაკლები პრობლემები როდი აქვს), არამედ ის, თუ ვინ ცხოვრობს შენს მეზობლად...

ყველაზე მეტად სწორედ ამან დამწყვიტა გული... რადგან ვიეჭვე, რომ ეს "ქუიშტ" (თუ "ხვიშტ") არა პრინციპებმა, არამედ შიშმა ათქმევინა ნატოს უფროსს!

გაუგებარია, როგორი ქვეყანა უნდა იყოს საქართველო, რომ ნატოს სტანდარტები დააკმაყოფილოს? ალბანეთისნაირი? შვედეთისნაირი და გერმანიისნაირი რომ არ არის, ცხადია (როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დღემდე სადარბაზოებში ვფსამთ და ინვალიდური დემოკრატია გვაქვს), მაგრამ ნუთუ ასე წინაა ჩვენთან შედარებით ის ქვეყანა, რომელიც ამ წერილში ავიჩემე?

თუ, იქნებ, რუსეთია ძალიან ახლოს?..

ანუ რუსეთი უნდა განვითარდეს, თუ ჩვენ, საქართველო რომ ნატოში მოხვდეს?

# ქართული ჯაზი ინგლისურ სცენაზე

## მაია ბარათაშვილმა ლონდონში სოლო კონცერტი გამართა

ია ვეკუა




ხატია ჯიჯეიშვილის ფოტო

თუ საქმე თანამედროვე ქართულ ხელოვნების საერთაშორისო ბაზარზე გატანის საკითხი უფრო სერიოზულად დადგება, მაშინ არც თუ ისე ვრცელ სიაში საკუთარ ადგილს აუცილებლად მოიპოვებს ქართული ჯაზის ვარსკვლავი მაია ბარათაშვილი. ამ მხრივ მუსიკოსს უკვე აქვს დიდი გამოცდილება – იგი ხშირად მართავს კონცერტებს უცხოეთში და არაერთი საერთაშორისო ფესტივალისა თუ კონკურსის მონაწილე და გამარჯვებულიცაა. რამდენიმე დღის წინ კი მაია ბარათაშვილი ლონდონიდან დაბრუნდა, სადაც თავისი პირველი სოლო კონცერტი ჩაატარა.

“განსაკუთრებული საღამო”, “დახვეწილად შერჩეული პროგრამა”, “ბრწყინვალე შესრულება” – ეს ის სიტყვებია, რომლებითაც მაია ბარათაშვილის კონცერტი საგაზეთო გამოხმაურებებშია შეფასებული. ქართველი მომღერლის კონცერტი ჯაზის ლონდონელი მოყვარულებისთვის ნამდვილ დღესასწაულად იქცა, რასაც შესრულების მაღალი დონის გარდა სწორად შერჩეული რეპერტუარიც განაპირობებდა. სწორედ ადგილობრივი პრესის ფურცლებიდან ვიგებთ, რომ ლონდონურმა აუდიტორიამ მაია ბარათაშვილი მიიღო და მიიღო ისე, როგორც ვარსკვლავს ეკადრებოდა.

მაია ბარათაშვილი ამ კონცერტისთვის დიდხანს ემზადებოდა, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ ლონდონისთვის სპეციალურად მოამზადა პროგრამა. მსმენელისთვის კარგად ნაცნობი ცნობილი ამერიკელი კომპოზიტორების ნაწარმოებების გარდა მის რეპერტუარში ინგლისელი ბენჯამენ ბრიტენის მიერ საოპერო ხმისთვის დაწერილი კომპოზიციებიც შეიყვანა. ეს არის კრებული “კაბარეს სიმღერები”, რომელთა ჯაზური ინტერპრეტაცია მომღერლის ბენდის წევრმა, გიორგი რაქვიაშვილმა გააკეთა.

თუმცა ლონდონის საკონცერტო დარბაზ Pushkin House-ს სცენიდან მხოლოდ ჯაზი არ ისმოდა. ადგილობრივი ქართული და რუსული სათვისტომოების თხოვნით მაია ბარათაშვილმა რამდენიმე ქართული და რუსული რომანსიც შეასრულა. “იქაურ ქართველ მსმენელთან შეხვედრა გამსაკუთრებით ემოციური და სენტიმენტალური იყო. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, ვინც საქართველოში ერთხელაც არ ყოფილა, მაგრამ არასდროს დავიწყებია საკუთარი წარმომავლობა. კონცერტის შემდეგ დიდხანს ვისაუბრეთ და ამ შეხვედრით ორივე მხარე ბედნიერები დავრჩით. ასევე კონცერტს დაესწრნენ ლონდონში მოღვაწე ქართველი მუსიკოსებიც, რომლებმაც იქ უკვე მიაღწიეს გარკვეულ წარმატებას”, - იხსენებს მაია ბარათაშვილი.

მუსიკოსი საუბრობს იმ სიურპრიზის შესახებაც, რომელიც მას ცნობილმა ლატვიელმა ჯაზმუსიკოსმა ეგილს შტრაუმემ მოუწყო – კონცერტზე დასასწრებად ჩამოსულმა მუსიკოსმა ტენორ საქსოფონზე რამდენიმე კომპოზიცია შეასრულა, რამაც საღამო კიდევ უფრო საინტერესო გახადა. სწორედ ეგილს შტრაუმეს მიწვევით მაია ბარათაშვილი უახლოეს მომავალში კიდევ ერთხელ გაემგზავრება ინგლისში, სადაც ლონდონის ჯაზ ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას.

**მაია ბარათაშვილი:** “მართალია, ლონდონი ნიუ ნიორკი არ არის, მაგრამ მუსიკის ეს ჟანრი აქ ჯაზის სამშობლოზე არანაკლებაა განვითარებული. მქონდა შესაძლებლობა დავსწრებოდი რამდენიმე კლუბურ კონცერტს, სადაც თანამედროვე ჯაზის ტენდენციების გაცნობის საშუალებაც მომეცა. გარდა ამისა, დიდი იმპულსი მომცა ჩემმა კონცერტმაც, რისთვისაც ახალი პროგრამა შევადგინე და განსაკუთრებულად ვიმუშავე.”

მაია ბარათაშვილის კონცერტის ჩატარების ინიციატორი და ორგანიზატორი ბრიტანულ-ქართული სავაჭრო პალატა და ბრიტანულ-ქართული საზოგადოება იყო. პროექტის გენერალური სპონსორი კი ბანკი რესპუბლიკა (Societe General Group) გახლდათ, ხოლო მუსიკოსების მგზავრობა ავიოკომპანია bmi-მ უზრუნველყო.

რაც შეეხება მუსიკოსის სამომავლო გეგმებს, იგი უკვე ემზადება თბილისში ჩასატარებელი კონცერტისთვის, რომელიც კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება. კონცერტი სავარაუდოდ იანვარში ჩატარდება, ხოლო რეპერტუარში სწორედ ის კომპოზიციები შევა, რომლებიც მუსიკოსმა ლონდონში შეასრულა. ასევე იგეგმება მისი სოლო კონცერტი მონტე-კარლოში.

# პროზისა და პოეზიის კომპილაციის მცდელობა

## რუსთაველის თეატრში მანანა სურმავას მონოსპექტაკლის პრემიერა გაიმართა

თამარ კიკნაველიძე

რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ დარბაზში გაიმართა პრემიერა სპექტაკლისა "აქ მატარებლებს თეთრად ათოვს...". ერთმოქმედებიანი მონო წარმოდგენის რეჟისორი და შემსრულებელია მანანა სურმავა, რომელმაც ანდრე მორუას საუკეთესო ნაწარმოებად მიჩნეული "წერილები უცნობ ქალს" ფრანგი და ქართველი პოეტების სასიყვარულო ლექსებით გაამდიდრა და მაყურებელს განსხვავებული სახით შესთავაზა.

გაამართლა თუ არა პოეზიისა და პროზის ამგვარმა კომპილაციამ, ამ შეკითხვაზე პასუხს მაყურებელი თავად გასცემს. იქნებ ღირდა, რომ მსახიობს, რომელიც სცენაზე ბოლომდე დაიხარჯა, აქცენტი მორუასეულ თხრობასა და მსუბუქი იუმორით გაჯერებულ ისტორიებზე გაეკეთებინა, ან მხოლოდ პოეზიის ნიმუშები წაეკითხა ჩვენთვის. სათქმელი მაყურებლამდე ფრაგმენტულად, მხოლოდ ცალკეული გამონათქვამების სახით აღწევდა და სიუჟეტს მოკლებული თხრობა, სამწუხაროდ, გაუგებარი აღმოჩნდა. იქნებ, ეს ყველაფერი უკეთესად წარმოჩენილიყო, რომ მსახიობისთვის ხელი რეჟისორს შეეშველებინა...

მანანა სურმავამ მაყურებელს თავი, ძირითადად, სატელევიზიო სპექტაკლებით დაამახსოვრა. რუსთაველის თეატრში მან უკანასკნელად რეჟისორ დავით ანდღულაძის მიერ განხორციელებულ სპექტაკლში - "პალატა N 6" ითამაშა. ეს მსახიობი უკვე დიდი ხანია, რაც სხვადასხვა ავტორის ნებისმიერი სირთულის ტექსტს დამოუკიდებლად ეჭიდება. ამჯერად მისი ყურადღება ფრანგი მწერლის – ანდრე მორუას (1885-1967, ნამდვილი სახელი – ემილ ერზოგი) ესსეზე შეჩერდა. აღსანიშნავია, რომ პროდუქტიულობით გამორჩეულ ავტორს ორასზე მეტი წიგნი (მათ შორის, ნოველები და ფილოსოფიური ესსეები) და ათასზე მეტი სტატია აქვს დაწერილი. ამ მწერლის ნაწარმოებებიდან კი, ყველაზე ხშირად სწორედ ესსეს - "წერილები უცნობ ქალს" კითხულობენ. სპექტალში გამოყენებული ტექსტის თარგმანი ლილი ფოფხაძეს ეკუთვნის.

მონოსპექტაკლი ქეთი მატაბელისა და ზაზა ჯაფარიძის მიერ გაფორმებულ სცენაზე თამაშდება. მის შუაგულში წამომართულ ქალაქს მსახიობი წარმოდგენის მსვლელობისას შლის და სახლების ფასადებს შორის გამავალ ქუჩად წარმოდგვიდგენს. ის სწორედ ამ სახლების ლაბირინთში გვიკითხავს ფრამგენტებს ანდრე მორუას ნაწარმოებიდან და ამასთან, აპოლინერის, გალაკტიონის, ანა კალანდაძის, მიშა ქვლივიძის, ოთარ ჭილაძისა და სხვათა ლექსებს.

"მე ვერასოდეს გეტყოდით იმდენს, რამდენსაც გეტყვით უჩემოდ ყოფნა", - წარმოთქვამს მანანა სურმავა, რომელიც მსგავს ციტატებს მრავლად წარმოსთქვამს და თითქოს, წარმოდგენის გამართვის მთავარი მიზანიც ის არის, რომ დარბაზში შეკრებილ მაყურებელს სიყვარულზე, მის ძალასა და მშვენიერებაზე ესაუბროს, მხოლოდ ორი ადამიანის ურთიერთობის მაგალითზე.

# კინოს "იმპერატორები"

## ტაილერ დერდენი ყველა დროის საუკეთესო პერსონაჟია

ნიკა ესებუა



კინო-ჟურნალმა Empire ყველა დროის 100 საუკეთესო კინო პერსონაჟი დაასახელა - საუკეთესოთა შორის საუკეთესოები კი მკითხველმა აირჩია. სია ორიგინალური აღმოჩნდა როგორც თავისი შემადგენლობით ასევე იმ პოზიციებით რომლებიც კინოგმირებმა დაიკავეს.

პირველ ათეულში ბოლო ადგილზე დონ ვიტო კორლეონე ("ნათლია") გავიდა, ხოლო მარლონ ბრანდო ასეულში მხოლოდ ამ პერსონაჟით შევიდა. მეცხრეზე ათეულის ერთადერთი სუსტი სქესის წარმომადგენელი ელენ რიპლი გავიდა - სიგურნი უივერის გმირი "უცხოდან", თუმცა ეს პერსონაჟი რამდენად სუსტია, ეს კიდევ საკითხავია. XXI საუკუნის საკულტო პერსონაჟი კაპიტანი ჯეკ ბელურა ("კარიბის ზღვის მეკობრეები") მერვე ადგილს დასჯერდა. აქვეა ჯონი დეპის კიდევ ერთი პერსონაჟი, ედუარდ ხელმაკრატელა. ჯეფრი ლებოვსკი (ჯეფ ბრიჯესი) მეშვიდე ადგილზეა. ძმები კოენების საკულტო ფილმის "დიდი ლებოვსკის" მთავარი პერსონაჟი სიაში მარტო არ არის, მასთან ერთად ას საუკეთესო პერსონაჟს შორის უოლტერ სობჩაკიც (ჯონ გუდმენი) მოხვდა. სპილბერგისა და ლუკასის "პირმშო" ინდიანა ჯონსი, მკითხველმა მეექვსე ადგილზე გაიყვანა. როგორც ჩანს, ინდიანას დაბრუნებამ დადებითად იმოქმედა ფრენჩაისზე. ათეულს მიღმა, არც ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ვილანი ჰანიბალ ლექტერი დარჩა და ენტონი ჰოპკინსის პერსონაჟი მეხუთე ადგილზე გავიდა. ჰარისონ ფორდი ერთადერთი მსახიობია რომლის ორი ეკრანული სახეც ათეულში მოხვდა. ინდიანას გარდა მეოთხეზე "ვარსკვლავური ომების" გმირი ჰანს სოლო გავიდა. საკმაოდ მოულოდნელი იყო მესამე ადგილზე "ჯოკერის" ხილვა, როგორც ჩანს Empire-ს მკითხველი კვლავაც ჰიტ ლეჯერის ბრწყინვალე თამაშის გავლენის ქვეშაა, რადგან 2008 წლის ზაფხულში გამოსული "ბნელი რაინდის" პერსონაჟის მესამე ადგილზე გასვლა ნამდვილად მოულოდნელობა იყო. მეორე ადგილზე "ვარსკვლავური ომების" კიდევ ერთი წარმომადგენელი დარტ ვეიდერი გავიდა. "ვარსკვლავური ომები" კი სიის ყველაზე დაფასებული ფილმი აღმოჩნდა. დარტ ვეიდერისა და ჰანს სოლოს გარდა სიაში ლუკასის კიდევ ოთხი პერსონაჟი მოხვდა: მაგისტრი იოდა, პრინცესა ლეია, ბობა ფეტი და ლუკ სკაიუოკერი.

პერსონაჟების "იმპერატორი" კი 1999 წლის საკულტო ფილმის, "მებრძოლთა კლუბის", მთავარი გმირი ტაილერ დერდენი გახდა. რატომ დერდენი და არა ბონდი? ან სულაც ჩარლზ ფოსტერ კეინი "მოქალაქე კეინიდან"? რით ჯობია პიტის პერსონაჟი ფორესტ გამპს ანდა ნეოს? ტაილერ დერდენი იმიტომ გახდა საუკეთესოთა შორის საუკეთესო, რომ ის ყველა პერსონაჟის გაერთიანების შედეგად შობილი ჰიბრიდია - ქარიზმატული, მოდური, მიმზიდველი, მეამბოხე, მანიპულატორი, კარგი ორატორი და ნიჭიერი გამომგონებელი. მისი პიროვნება თავისუფლების სიმბოლოა. ის არის პერსონაჟი, რომელიც ყველაში ცხოვრობს, საერთოდ არ არსებობს და ამავდროულად ყველაზე ცოცხალი ინდივიდია პლანეტა დედამიწაზე.

ასეულში ასევე მოხვდნენ: ჯეკ ნიკოლსონის მაკმერფი ფილმიდან "ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა", ჰარი პოტერი, ხერხი (ტობინ ბელის პერსონაჟი ფილმიდან "ხერხი"), მატლიდა "ლეონიდან", დენიელ პლენვიუ - დენიელ დეი ლუისის გმირი ფილმიდან "და იქნება სისხლი", ფორესტ გამპი, ნეო და სხვა. ანიმაციური ფილმები სიაში სამი პერსონაჟით იყო წარმოდგენილი: ბასკურ-შუქურა ("სათამაშოების ამბავი"), კურდღელი ჯესიკა ("ვინ მოატყუა კურდღელი როჯერი") და უოლ-ი (უოლ-ი).

# ყველაზე ძვირფასი სიყვარული



ამერიკულმა ჟურნალმა Forbes-მა ყველაზე მდიდარი ვარსკვლავური წყვილების რეიტინგი გამოაქვეყნა. სიის სათავეში მომღერალი, ბიონსე და მისი მეუღლე რეპერი ჯეი-ზი აღმოჩნდნენ, რომლებმაც ერთობლივი თანაცხოვრების განმავლობაში 162 მილიონი დოლარი გამოიმუშავეს. ვარსკვლავური წყვილის წლიური შემოსავლის გამოანგარიშება 2007 წლის ივნისიდან, 2008 წლის ივნისამდე მიმდინარეობდა. ამ თანხიდან 82 მილიონი ჯეი-ზიზე და 80 მილიონი კი Destiny's Child-ის ყოფილ სოლისტსა და მოცეკვავე ბიონს ნოულსზე მოდის. ბიონსეს წარმატებული წელი ჰქონდა და შემოსავალი წარმატებულმა საკონცერტო ტურნემ, კერძო შოუებმა, რეკლამებმა და ფილმებზე მუშაობამ მოუტანა. ჯეი-ზის მნიშვნელოვანი შემოსავალი კომპანია Live National-თან 150 მილიონიანმა 10-წლიანმა კონტრაქტმა, კინოსა და მოდის კუთხით, ასევე გამომცემლობებთან გაფორმებულმა მრავალრიცხოვანმა პროექტებმა მოუტანა.

2008 წლის ყველაზე მაღალანაზღაურებად ვარსკვლავთა რეიტინგში, მეორე ადგილზე მსახიობი უილ სმიტისა და პინკეტ-სმიტის წყვილი გავიდა, რომელთა წლიურმა შემოსავალმა 85 მილიონი დოლარი შეადგინა. ასევე ჟურნალ Forbes-ის გამოკითხვის შედეგად, უილ სმიტი ჰოლივუდის ყველაზე მდიდარ მსახიობად აღიარეს. ფილმ "ჰენკოკში", "მე-ლეგენდა" და "ბედნიერების ძებნაში" მონაწილეობით მისმა შემოსავალმა 80 მილიონ დოლარს მიაღწია. გასულ წელს შავკანიანმა მსახიობმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, მისი სამსახიობო მონაცემები მაყურებელში დიდ ინტერესს იწვევს. გარდა იმისა, რომ უილ სმიტი ჰოლივუდის ნომერ პირველ მსახიობად აღიარეს, წელს მან ამერიკის კომერციულად წარმატებული მსახიობის ტიტულიც მიიღო.

ყველაზე მდიდარი ვარსკვლავური წყვილების რეიტინგში მესამე ადგილზე ბეკჰემების წყვილი გავიდა. ცნობილი ფეხბურთელი ფულს არა მარტო თავისი პროფესიული სპორტული მოვალეობებით შოულობს, არამედ აქტიურად მონაწილეობს სარეკლამო კამპანიებში. ვიქტორია ბეკჰემმა ოჯახური ბიუჯეტი, თავის მხრივ ხელახლა შეერთებული ჯგუფის Spice Girls-ის გრანდიოზული ტურნესა და მოდური ტანსაცმლისა და აქსესუარების გამოშვებით შეავსო. ასეა თუ ისე, ორივე ბეკჰემმა წელს 58 მლნ დოლარი გამოიმუშავა.

მეოთხე ადგილზე ქანთრი მუსიკოსების წყვილი - ტიმ მარკგრაუ და ფეიტ ჰილი გავიდა, რომელთა შემოსავალმაც 35 მილიონ დოლარს მიაღწია.

რეიტინგში მეხუთე ადგილი "ყველაზე გავლენიანმა", "ყველაზე გულუხვმა" და "ყველაზე ლამაზმა" ბრედ პიტისა და ანჯელინა ჯოლის წყვილმა დაიკავა. ორივე მათგანმა დიდ როლებზე დევნას თავი დაანება და ოჯახური მყუდროების მოწყობა გადაწყვიტა. უკანასკნელ პერიოდში წყვილი ქველმოქმედებასა და უძრავ ქონებაზე ძალიან დიდ თანხას ხარჯავს, თუმცა გასულ წელს წყვილმა ორი ბავშვის შეძენასთან ერთად, 34 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. რეიტინგის მეექვსე ადგილზე რეჟისორი ჯუდ აპატოუ და მისი მეუღლე ლესლი მანი გავიდნენ. წყვილმა ოჯახური ბიუჯეტის 30 მილიონი დოლარით შევსება შეძლო.

მეშვიდე ნომრით ექსტრავაგანტული მომღერალი და დიზაინერი გვენ სტეფანი და მისი მეუღლე გევინ როსდეილი მოდიან, რომლებმაც წლის განმავლობაში 28 მილიონი დოლარი გამოიმუშავეს. რეიტინგის კიდევ ერთ ბედნიერ წყვილს, მერვე ადგილზე კინოვარსკვლავი ნიკოლ კიდმანი და მისი მეუღლე ქანთრის სტილში მომღერალი კეიტ ურბანი წარმოადგენენ. წყვილის მატერიალურმა ბედნიერებამ 25 მილიონი დოლარი შეადგინა.

ყველაზე მდიდარი ვარსკვლავური წყვილების ათეულს 22,5 მილიონი დოლარით ევა ლონგორიასა და ტონი პარკერის, ასევე 22 მილიონი დოლარით ჰარისონ ფორდისა და კალისტ ფლოკჰარტის წყვილები ასრულებენ.




## 5 დეკემბერი

### თეატრი

**შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი**
"დარისპანის გასაჭირი"
რეჟისორი: რობერტ სტურუა, ზაზა პაპუაშვილი
დასაწყისი: 19.00

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი**
"ზაფხულის ღამის სიზმარი"
რეჟისორი ლევან წულაძე
დასაწყისი: 19.00

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
"მკაცრი ქალიშვილები"
რეჟისორი გოგი ქავთარაძე
დასაწყისი: 20.00

**თავისუფალი თეატრი**
"იდიოტოკრატია"
რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი
დასაწყისი: 19.00

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრი**
"ბაკულას ღორები"
რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი
დასაწყისი: 19.00

**მუსიკისა და დრამის თეატრი**
"გაყრა"
რეჟისორი დავით დოიაშვილი
დასაწყისი: 19.00

**პანტომიმის თეატრი**
"სამყარო"
რეჟისორი ამირან შალიკაშვილი
დასაწყისი: 19.00

**თეატრის ათონელზე**
პრემიერა
"წითელი ზოლი"
დასაწყისი: 19.00

### კინო

**"ამირანი"**
"ჯეიმს ბონდი – შეწყალების კვანტუმი"
დასაწყისი:13.00; 15.00; 17.00; 19.00; 21.00
"წაიკითხე და გაანადგურე"
დასაწყისი: 14.00; 18.00; 20.00; 22.00

**"რუსთაველი"**
"ჯეიმს ბონდი – შეწყალების კვანტუმი"
დასაწყისი: 14.00; 16.00; 18.00; 20.00; 22.00
"იდიოტოკრატია"
დასაწყისი: 12.30; 14.45; 17.15; 19.30; 21.30
"სასიკვდილო რბოლა"
დასაწყისი: 13.30; 15.30; 17.30; 19.45; 21.45
"სახიფათო ბანგკოკი"
დასაწყისი: 14.15; 16.15; 18.45; 20.15; 22.15
"კოსმონავტი მაიმუნები"
დასაწყისი: 13.00; 14.00; 15.00; 17.00
"მკვლელობის უფლება"
დასაწყისი: 19.00; 21.00

### გალერეა

**"ქარვასლა"**
ჰორსტ იანსენი - გრაფიკა
მაიკლ კენას ფოტოგრაფია – "ფრანგული პეიზაჟი"

**"ჰობი"**
როკო ირემაშვილის პერსონალური გამოფენა

**ეროვნული არქივის საგამოფენო დარბაზი**
დავით არსენიშვილი და სათეატრო მუზეუმი

**"ორნამენტი"**
ტიხრული მინანქრის მუდმივმოქმედი გამოფენა

**"აკადემია +"**
ნინო მაღლაკელიძის პერსონალური გამოფენა

**"ვერნისაჟი"**
თანამედროვე ქართველი მხატვრების შერეული გამოფენა

## ნამდვილ ჯეიმს ბონდს აუქციონზე წარადგენენ

იან ფლემინგის წიგნი "მხოლოდ ორჯერ ცხოვრობ", რომელიც ავტორმა საკუთარი ავტოგრაფით "ნამდვილ ჯეიმს ბონდს" მიუძღვნა, აუქციონზე გაიტანეს. ბრიტანული გამომცემლობის მიერ 1964 წელს გამოშვებული წიგნის პირველი ეგზემპლარი იან ფლემინგმა ამერიკელ ორნიტოლოგს ჯეიმს ბონდს უსახსოვრა, რომლის სახელიც მან თავისი ცნობილი პერსონაჟის შესაქმნელად გამოიყენა. წიგნზე ასეთი წარწერაა: "ნამდვილ ჯეიმს ბონდს მისი საკუთრების მოპარვისთვის, იან ფლემინგი, 5 თებერვალი 1964 წელი (დიდებული დღე)". ავტორმა წიგნი ჯეიმს ბონდს მის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე აჩუქა. მისი გადაწყვეტილება, რომ თავისი გმირისთვის ჯეიმს ბონდი დაერქმია, ფლემინგმა ამერიკელი ორნიტოლოგის წიგნის "დასავლეთ-ინდოეთის ჩიტები" წაკითხვის დროს მიიღო. გარდა ამისა, წიგნ "მხოლოდ ორჯერ ცხოვრობში" შესულია ჯეიმს ბონდის მიერ დაწერილი წიგნის "როგორ მიიღო 007-მა თავისი სახელი" და წიგნ "დასავლეთ-ინდოეთის ჩიტების" ნაწყვეტები. აუქციონზე წარმოდგენილია, ასევე ნოელ კოვარდის მიერ 1939 წელს შექმნილი სურათი, სადაც იან ფლემინგი სიგარეტით ხელშია გამოსახული და აგენტ 007-ზე შექმნილი რამდენიმე ადრეული გამოცემა ავტორთა ავტოგრაფებით. აუქციონზე გასაყიდად წარადგენენ ასევე წიგნის "მხოლოდ ორჯერ ცხოვრობ" 100 ფურცლიან ხელნაწერს, რომელზეც როალდ დალემის მიერ გაკეთებული წარწერაა გამოსახული.

მოსალოდნელია, რომ ავტოგრაფიანი წიგნი აუქციონზე დაახლოებით 50 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდება. აუქციონი 11 დეკემბერს ჰოლივუდში გაიმართება.

## სიდნეის ოპერის არქიტექტორი

შაბათს, 90 წლის ასაკში, კოპენჰაგენის ერთ-ერთ საავადმყოფოში, გულის უკმარისობით, დანიელი არქიტექტორი იორნ უტზონი (Joern Utzon) გარდაიცვალა. ეს ის ადამიანი გახლდათ, რომელმაც სიდნეის ოპერის შენობა დააპროექტა. მისი გარდაცვალების შესახებ საზოგადოებას პირველად "Bloomberg"-მა ამცნო.

1957 წელს, იორნ უტზონმა სიდნეის ოპერის თეატრის საუკეთესო პროექტისათვის გამოცხადებულ კონკურში გაიმარჯვა. თუმცა, მოგვიანებით, კერძოდ, 1966 წელს, არქიტექტორმა უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო მშენებლობის ბოლო ეტაპზე მიმდინარე სამუშაოებში, იმის გამო, რომ ავსტრალიის ხელისუფლებასთან კომფლიქტი ჰქონდა და ქვეყანა დატოვა კიდეც. ოპერის თეატრი, რომელიც 1973 წელს გაიხსნა, სიდნეის მთავარ ღირშესანიშნეობად იქცა და მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ თანამედროვე ნაგებობად ითვლება.

2003 წელს უტზონს სიდნეის ოპერის თეატრის პროექტისათვის მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული არქიტექტურული ჯილდო - პრიტცერის პრემია გადაეცა, ხოლო 2008 წელს, როდესაც უტზონმა 90 წლის იუბილე აღნიშნა, სიდნეის ოპერის დასმა და სიმფონიურ ორკესტრმა იუბილარისათვის მისალოცი სიმღერის "Happy Birthday" სპეციალური ვერსია ჩაწერა.

სიდნეის ოპერის გარდა, უტზონმა, საერთაშორისო დონეზე, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არქიტექტურული პროექტის რეალიზება შეძლო, ეს გახლავთ ნაციონალური ასამბლეის შენობა ქუვეითში, რომელიც 1982 წელს აიგო. თუმცა, 1991 წელს ნაციონალური ასამბლეა ერაყის მიერ ქუვეითზე თავდასხმისას დაზიანდა, ომის შემდგომ აღდგენილი შენობა კი, არქიტექტორის თავდაპირველი ჩანაფიქრისაგან ძლიერ განსხვავდებოდა.

## 73 000 ევრო კომიკოსის ნივთების სანაცვლოდ

ლონდონში გამართულ Bonhams-ის აუქციონს ცნობილი მწერლის და კომიკოსის სპაიკ მილიგანის კერძო ნივთებმა 73000 ევრო შესძინა. ფანებმა ყველანაირი შანსი გამოიყენეს რათა დაუფლებოდნენ კომიკოსის პირად ნივთებს, მათ შორის ორიგინალ ჩანაწერებს და სცენარებს. აუქციონზე ყველაზე ძვირად 7200 ევროდ საშობაო ბარათების კოლექცია გაიყიდა, რომელიც სპაიკ მილიგანს ჯორჯ ჰარისონმა გაუგზავნა. ჰარისონის საშობაო საჩუქარი 3360 ევროდ შეფასდა.

პოლ მაკარტნის ლექსმა და კარიკატურამ სათაურით The poet of Dumbwoman`s Lane აუქციონს 6000 ევრო შემატა, ხოლო არტურ ჯოვანის The Primal Scream 4200 ევროდ გაიყიდა.

აუქციონზე ასევე გატანილი იყო მილიგანის ხელნაწერი განცხადებები, რომლებსაც იგი თავის სახლის გარშემო ტოვებდა. ერთ-ერთი ასეთი ხელნაწერი, შინაარსით "ნუ მოწევთ, ჩვენ ვცდილობთ თავი ავარიდოთ ფილტვების კიბოს" ახალ მფლობელს 5040 ევროდ ერგო. კომიკოსის ომის დროინდელი დღიურით დაინტერესებულმა აუქციონის მონაწილეებმა მასში 6000 ევრო გადაიხადეს.

"წლევანდელ აუქციონზე განსხვავებული ხალხის ნაკრები იყო, ნამდვილი ხალხმრავლობა, ულმობელი ბრძოლა მიმდინარეობდა აუქციონის მონაწილეებს შორის" - განაცხადა Bonhams-ის აუქციონის წარმომადგენელმა მიშელ გონსალზმა.

აუქციონის თაობაზე უკმაყოფილება გამოთქვეს სპაიკ მილიგანის შვილებმა, რომლებსაც, როგორც აღმოჩნდა აზრი არავინ ჰკითხა აუქციონთან დაკავშირებით.

# კიდევ ერთი წარმატება პატარა ქართველებს

ეკა ჩიკვაიძე



უკვე მეორე წელია, რაც ევროკომისიის დაფინანსებით ბრიუსელში მსოფლიო მასშტაბის კონკურსი იმართება, სადაც 8-დან 10-წლამდე ბავშვები მონაწილეობენ და საკუთარ ნამუშევრებს წარადგენენ. თემა უცვლელია: "ქალის და კაცის თანასწორუფლებიანობა", რასაც ბავშვები სხვადასხვა სახით აღიქვამენ და თავიანთი ნააზრევი ქაღალდზე გადმოაქვთ. კონკურსი ტრადიციულად 8 მარტს - ქალთა საერთაშორისო დღეს იწყება და ჟიურის მიერ გამოვლენილი საუკეთესო ნამუშევრის ავტორები მომდევნო რამდენიმე თვეში ჯილდოვდებიან. წელს კონკურსში მსოფლიოს 60 ქვეყანა იღებდა მონაწილეობას. წარმოდგენილი იყო ნახატები ნიგერიიდან, ბრაზილიიდან, ინდოეთიდან, ეგვიპტიდან და ა.შ. კონკურსზე წარდგენილი იყო ასევე ათი ქართველი ბავშვის ნამუშევარი. მათგან ერთ-ერთი, როგორც საუკეთესო ჟიურიმ საპატიო ჯილდოთი გამოარჩია. მსოფლიოს 60 ქვეყნიდან წარმოდგენილი ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა 26 ნოემბერს - ქალთა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს, კომისიის ერთ-ერთ ცენტრალურ შენობაში გაიმართა. ამ დღესვე მოხდა ჟიურის მიერ გამოვლენილი ათი საუკეთესო ნამუშევრის ავტორთა დაჯილდოვება. გამოფენა თავად ევროკომისიის საგარეო ურთიერთობებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში მოღვაწე კომისრამა ბენიტა ფერერო-ვალდერმა გახსნა და ქართველი გამარჯვებული 10 წლის თიკო ჯაბნიაშვილიც პირადად დააჯილდოვა. პატარა გამარჯვებული ერთი კვირით ბრიუსელში მიიწვიეს, სადაც იგი კომისიის ერთ-ერთი თანამშრომლის ოჯახში ცხოვრობდა და ევროპულ სკოლაში სწავლობდა.

ბრიუსელში გამართულ კონკურსზე გასაგზავნი ნახატების შერჩევის მიზნით, კონკურსი საქართველოშიც ჩატარდა, სადაც საქართველოს ყველა კუთხიდან წარმოადგინეს 450 ნამუშევარი. ქართულმა ჟიურიმ 10 საუკეთესო ნამუშევარი შეარჩია და ბრიუსელის კონკურსზე გააგზავნა, სადაც ერთ-ერთ მათგანს, როგორც ზევით აღვნიშნე, წარმატებაც ხვდა წილად. აღსანიშნავია, რომ შარშან გამართულ კონკურსზე კიდევ ერთი ქართველი მონაწილე დაჯილდოვდა, რომელმაც საჩუქრად დიპლომი და 1000 ევრო მიიღო.

წლევანდელ კონკურსთან და მის ქართველ გამარჯვებულთან დაკავშირებით, 4 დეკემბერს ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გალერეაში, 8-დან 10-წლამდე ბავშვების მიერ, "ქალისა და კაცის თანასწორუფლებიანობის" თემაზე შექმნილი ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. წარმოდგენილი იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელი ბავშვების 115 ნამუშევარი, მათ შორის თიკო ჯაბნიაშვილის ნამუშევარი, რომლითაც მან ბრიუსელში წარმატებას მიაღწია. გამოფენაში მონაწილე ბავშვებს სერთიფიკატები და პატარ-პატარა საჩუქრები დაურიგდათ. ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა გალერეაში გამოფენა 14 დეკემბრამდე გაგრძელდება.

# ანიმაციური ოსკარი

### "კუნგ ფუ პანდა" "ენის" 16 ჯილდოზეა ნომინირებული

ნიკა ესებუა



DreamWorks Animation's -ის მულტფილმი "კუნგ ფუ პანდა", საერთაშორისო ანიმაციური ფილმების ასოციაციის (Annie Award) 16 ჯილდოზეა ნომინირებული. მეორე ადგილზე ნომინაციების რაოდენობით "პიქსარის" ქმნილება "უოლ-ი" გავიდა. "ჰორტონმა" და სტუდია "დისნეის" მულტფილმა "ბოლტი", 6-6 ნომინაციით მესამე ადგილი გაიყვეს. "კუნგ ფუ პანდა" წლის რეკორდსმენი გახდა - მანამდე 16-ზე მეტი ნომინაციაზე არც ერთი ანიმაციური ფილმი არ ყოფილა წარდგენილი.

საუკეთესო ანიმაციური ფილმის წოდებისთვის "კუნგ ფუ პანდასთან", "ბოლტთან", "უოლ-ისთან" და "ჰორტონთან" ერთად კიდევ ორი უცხოური მულტფილმი იბრძოლებს. ავსტრალიური "$9.99" და ებრაელი რეჟისორის არი ფოლმანის "ვალსი ბაშირთან". ეს უკანასკნელი კანის კინოფესტივალზე ოქროს პალმის რტოზეც იყო ნომინირებული და კრიტიკოსებისგან უმაღლესი შეფასებები დაიმსახურა.

მიუხედავად იმისა, რომ "კუნგ ფუ პანდა" ნომინაციების რაოდენობით ლიდერობს, მთავარი ჯილდოების მოპოვებას მაინც "უოლ-ის" უწინასწარმეტყველებენ. "პიქსარის" პროქდუქციას, როგორც წესი "ენი" სწყალობს ხოლმე. აქამდე "პიქსარის" რვა მულტფილმიდან ექვსმა შეძლო მთავარი ჯილდოს მოპოვება.

"ენის" დაჯილდოება 1992 წლიდან იმართება და ანიმაციურ ფილმების "ოსკარის" სახელითა ცნობილი. ცერემონიალი უამრავ ნომინაციას აერთიანებს. საუკეთესო ანიმაციური ფილმი, რეჟისორი, საუკეთესო ანიმაციური რეკლამა, მუსიკა და ა.შ

"ენიზე" ნომინირებული ყველა ანიმაციური ფილმი "ოსკარების" ე.წ გრძელ სიაშია შესული და 22 იანვარს, ნომინანტების დასახელების დღეს, დიდი შანსია "ოსკარის" რეალური პრეტენდენტებიც გახდნენ. სტუდია "პიქსარი" "უოლ-ის" საუკეთესო მხატვრული ფილმის ჯილდოსთვის ნომინირებასაც აპირებს. ანიმაციურ ფილმს წლის ფილმის წოდებისთვის 1992 წლის შემდეგ არ უბრძოლია. "მზეთუნახავი და ურჩხული" ერთადერთი შემთხვევა იყო როდესაც მულტფილმი წლის საუკეთესო ფილმის წოდებისთვის იბრძოდა. დაჯილდოების ცერემონიალი 30 იანვარს ლოსანჯელესში გაიმართება.

# სპორტი

## ძიუდოომ მინისტრი მოხიბლა

გიგა გურასაშვილი

*კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი გრიგოლ ვაშაძე სპორტულ ფედერაციებთან გაცნობის მიზნით შეხვედრებს განაგრძობს. გუშინ კი ძიუდოს ფედერაციას ესტუმრა, რომელმაც თავის მხრივ ახალსახლობა იზეიმა დოლომში. საუბარია შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს კომპლექსზე, რომელიც ახლახანს საქართველოს ჩემპიონატსსაც მასპინძლობდა.*



*ხანჯალიაშვილმა აბსოლუტურ ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლება გაინაღდა.*

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრს გრიგოლ ვაშაძეს განახლებული შენობის ხილვით აშკარად კმაყოფილება დასთამაშებდა სახეზე. მოგვიანებით აღნიშნა კიდეც, პირველი შემთხვევაა, როდესაც ფედერაციასთან შეხვედრის შემდეგ ბედნიერი დავრჩი. საქართველოს ძიუდოს ფედერაცია ერთადერთია, რომელსაც ფაქტობრივად, არანაირი პრობლემა არ აწუხებსო, მანამდე კი იყო პრესკონფერენცია.

პრესკონფერენციის დასაწყისში დილარ ხაბულიანმა გრიგოლ ვაშაძეს 2009 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობისათვის თანადგომა, შემდეგ კი საქმის ხელმძღვანელობაც სთხოვა.

“ძიუდოისტებთან სტუმრობა ჩემთვის უდიდესი პატივია. ძიუდოს რიგითი გულშემატკივარი ვარ. მინდა მათ თითოეული მონიჭებული სიხარულისთვის მადლობა გადავუხადო. მარტო მოგებულ მედლებს და ტიტულებს არ ვგულისხმობ. რუსი მოწინააღმდეგის დამარცხება ჩემთვის ნებისმიერ ეტაპზე ოქროს ტოლფასია.

კომპლექსით მოხიბლული ვარ. თბილისში ასეთივე ცენტრები აუცილებლად უნდა აიგოს მოჭიდავეებისთვის, ძალოსნებისთვის და მოკრივეებისთვის. ეს ოთხი სახეობა პრიორიტეტულად მიმაჩნია. რაც შეეხება მომავალ ევროპის ჩემპიონატს მისი წარმატებით მასპინძლობისთვის ნებისმიერი საკითხის მოგვარებაში დაგეხმარებით", - პირობა დადო გრიგოლ ვაშაძემ.

...ძიუდოისტთა საქართველოს ჩემპიონატზეც ვთქვათ. შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს კომპლექსში 200-ზე მეტი ძიუდოისტიდან ის 28 მედალოსანი გამოვლინდა, რომელიც გაისად ნაკრებში დასამკვიდრებლად გააგრძელებს ბრძოლას. ყოველ შემთხვევაში, ნაკრების მეორე ნომრის სტატუსის მოსაპოვებლად მაინც. ვეჭვობთ ამ ეტაპზე უმთავრესი გუნდის ლიდერებს პირველობაში შეეცილონ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ლონდონის ოლიმპიური თამაშებისთვის ნაკრების მონახაზია გასაკეთებელი. ნაკრების დღევანდელმა პირველმა ნომრებმა კი საქართველოს ჩემპიონატს ტრიუბუნებიდან მიადევნეს თვალყური. მათ არყოფნას ჩემპიონატი ოდნავადაც არ გაუუფერულებია. მეტიც, დაძაბულ კონკურენციას ნაკრების რამდენიმე უმთავრესმა კანდიდატმა ვერ გაუძლო და სამეულს მიღმა დარჩა.

ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა 40 ძიუდოისტი შეიგულა, რომლებსაც გაფართოებულ შეკრებაზე ბორჯომში იახლებს. საქართველოს ჩემპიონატს განსაკუთრებული დატვირთვა მძიმეწონოსნებისთვის ჰქონდა. საქმე ისაა, რომ მათ შორის საუკეთესო მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლებას ინაღდებდა. საგზურს კი ქართველი გოლიათი ზვიად ხანჯალიაშვილი დაეუფლა. ერთი ეგაა, ფინალში გამარჯვება უბრძოლველად მოიპვა – მეტოქე ალექსი დავითაშვილი ტრავმის გამო ტატამზე არ გასულა.

**81 კგ.**
1. ხვიჩა ხუციშვილი
2. გიორგი შინჯიკაშვილი
3. საბა გავაშელიშვილი
3. ლევან წიკლაური

**90 კგ.**
1. მინდია ბოდაველი
2. გრიგოლ მამრიკიშვილი
3. რევაზ ჩიკოიძე
3. ზვიად გოგოჭური

**100 კგ.**
1. დავით ლორიაშვილი
2. დიმიტრი ტურაშვილი
3. ვალერი იმერლიშვილი
3. რევაზ მიქაბერიძე

**+100 კგ.**
1. ზვიად ხანჯალიაშვილი
2. ალექსი დავითაშვილი
3. ადამ ოქრუაშვილი
3. ზვიად ჩინჩალაძე

## კალაძე: "ზეიმის დროც მოვა"

მხოლოდ იტალიის ჩემპიონატში მოპოვებული ზედიზედ 12 დადებითი შედეგის შემდეგ "მილანი" "პალერმოსთან" დამარცხდა. შავ-წითლებმა 1:3 დათმეს მატჩი და ვერც ვერაფერზე დაიჩივლებენ, რადგან სიცილიური გუნდი მთელი 90 წუთის განმავლობაში სჯობდა მეტოქეს.

სხვაობა "ინტერთან" გაიზარდა. ანჩელოტის გუნდს ექვსი ქულა აშორებს შავ-ლურჯებისგან. ასე რომ, შეცდომის უფლება აღარა აქვს.

ამის მიუხედავად, კახა კალაძე კარგ განწყობაზეა და საკუთარი ვებგვერდისთვის მიცემულ ინტერვიუს მისთვის ფრიად სასიამოვნო ამბით იწყებს.



*კალაძემ ქორწილი მოკრძალებულად აღნიშნა.*

**- კალა, საოცარი ადამიანი ხარ, რადგან ისე დაქორწინდი ანუკიზე, არავისთვის არაფერი გითქვამს... ულამაზესი მომენტია.**

- დიახ, ნამდვილად ამაღელვებელი იყო. უკვე ერთი წელია ერთად ვართ, კარგად ვგრძნობთ თავს. ვიფიქრეთ, სწორი იქნებოდა ამ ნაბიჯის გადადგმა. ის, რომ არავის არაფერი ვუთხარით... ჩემს ქვეყანას ახლა მძიმე დრო უდგას. ასე რომ, ნებისმიერი დღესასწაულის მოწყობა უადგილოდ მოგვეჩვენა. ზეიმის დროც მოვა!

**- სპორტულ ნაწილზე გადავიდეთ. მძიმე იყო პალერმოში განცდილი მარცხი?..**

- ნამდვილად არ გვჭირდებოდა, მაგრამ მათ გვაჯობეს. კარგად და ყურადღებით ითამაშეს მთელი მატჩის განმავლობაში. იმისთვის, რომ მათ კარგად წარმოეჩინათ საკუთარი თავი, ჩვენი შეცდომებიც დავუმატეთ. ეს სიმართლეა და მსგავსი რამ აღარ უნდა გამეორდეს, რადგან არ შეიძლება ბევრით დავშორდეთ პირველ ადგილზე მყოფ გუნდს, რომელსაც ახლა ექვსქულიანი ფორა აქვს. სწრაფად უნდა მოვახდინოთ რეაბილიტაცია.

**- გაშფოთებთ ის ქულები, რომლებიც ცხრილის სათავეს გაშორებთ?**

- პირადად მე არა, რადგან დიდი დრო გვაქვს სხვაობის აღმოსაფხვრელად. ჩემპიონატი კიდევ დიდხანს გაგრძელდება, თუმცა, ცხადია, თუ "ინტერი" განაგრძობს ქულების მოპოვებას და არ წაიბორძიკებს, ჩვენს მიერ გასავლელი გზა გარკვეულ აღმართად იქცევა. ბევრი ქულა დავკარგეთ ისეთ გუნდებთან, რომლებიც შეიძლებოდა დაგვემარცხებინა, მათ კი ეს ქულები მოიპოვეს. სწორედ ეს ქმნის განსხვავებას. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მუშაობით, მონდომებითა და ყურადღებით მათ დავეწევით.

### ხელბურთელებმა პოლონური ტურნე დაასრულეს

საქართველოს ვაჟ ხელბურთელთა ნაკრებმა პოლონეთში ამხანაგური მატჩების სერია დაასრულა. მასპინძელთა მეორე ნაკრებთან 27:33 წაგების შემდეგ ქართველმა ხელბურთელებმა პოლონეთის ეროვნულ ნაკრებთანაც დათმეს შეხვედრა - 30:39.

პოლონეთის უპირველეს გუნდთან ყველაზე მეტი ბურთი სერგო დათუკაშვილმა გაიტანა. მან მეტოქის კარი 9-ჯერ აიღო. 7-ჯერ რატი მსხვილიძემ იხეირა, ხოლო რევაზ ჭანტურიამ 4 გოლი გაიტანა.

ამრიგად, საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა წლევანდელ სეზონში ბოლო თამაშები ჩაატარა. მომავალ წელს საქართველო კვლავ იასპარეზებს "ჩელენჯ-ტროფის" გათამაშებაში.

### ოდიკაძე "დინამოს" დატოვებას არ ჩქარობს

საქართველოს ნაკრებისა და თბილისის "დინამოს" ნახევარმცველს დავით ოდიკაძეს მალე კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდება და თავისუფალი აგენტი გახდება.

რამდენიმე სანაკრებო მატჩი და დამაჯერებელი თამაში ეროვნულ ჩემპიონატში საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ოდიკაძისთვის უცხოელებსაც მიექციათ ყურადღება.

ქართველი ფეხბურთელით უნგრული კლუბი "დიორ ეტოა" დაინტერესდა. ეს გუნდი წელს უეფას თასზე "ზესტაფონის" მეტოქე იყო. ოდიკაძის მიმართ ინტერესს იჩენს ზაპოროჟიეს "მეტალურგიც", თუმცა თავად ფეხბურთელს, როგორც ჩანს, "დინამოში" სურს დარჩენა.

"მართალია, თბილისის "დინამოსთან" კონტრაქტი მიმთავრდება, მაგრამ კლუბი დაინტერესებულია, რომ დავრჩე. არც მე ვარ წინააღმდეგი. "დინამო" ჩემი საყვარელი გუნდია და აქედან წასვლაზე საუბარი ნაადრევია. არ დავმალავ, რომ წინადადებები მივიღე, მაგრამ ვერაფერს დავაკონკრეტებ მანამ, სანამ "დინამოსთან" ურთიერთობას არ გავარკვევ," - განაცხადა დავით ოდიკაძემ.

### რიბერი უკამყოფილოა

"ფრანს ფუტბოლის" მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში, რომელიც კრიშტიანუ რონალდუმ მოიგო, "ბაიერნის" ფრანგი ნახევარმცველი ფრანკ რიბერი მეთექვსმეტე ადგილზე გავიდა, რამაც ფეხბურთელი აღაშფოთა. თუმცა, ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, რადგან თუ "ზენიტის" ფორვარდი ანდრეი არშავინი მეექვსე ადგილზე გადის, ფრანკ რიბერი ნამდვილად მეტს იმსახურებს.

"ოქროს ბურთის" მფლობელად კრიშტიანუ რონალდუს გამოცხადება სულაც არ გამკვირვებია. ეგ კი არა, გამოკითხვაში მეც რომ მქონოდა მონაწილეობის უფლება, საკუთარ ხმას მას მივცემდი. რაც შეეხება ჩემს მეთექვსმეტე ადგილს, გამოგიტყდებით, ამან გამაკვირვა და გულიც დამწყვიტა. "ბაიერნის" შემადგენლობაში ბრწყინვალე სეზონი ჩავატარე. არც ნაკრებში მითამაშია ურიგოდ. მიუხედავად ამისა, ათეულშიც კი ვერ მოვხვდი", - აცხადებს რიბერი.

### "ქალაქელები" ვარსკვლავებზე ნადირობენ

"მანჩესტერ სიტის" არაბი მფლობელები ზამთრის სატრანსფერო პერიოდში სარეკორდო თანხის დახარჯვას აპირებენ. თავდაპირველი ინფორმაციით, ზამთარში კლუბის ახალი მეპატრონეები მარკ ჰიუზს 100 მილიონ გირვანქა სტერლინგს აძლევდნენ გუნდის გასაძლიერებლად. როგორც ჩანს, თანხა გაიზრდება.

საქმე ის არის, რომ "ქალაქელები" ერთდროულად ლიო მესის, კაკას და კრიშტიანუ რონალდუს შეძენას გეგმავენ. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ინფორმაცია გაავრცელა ბრიტანულმა "ინდიპენდიენტმა".

მანჩესტერელები თანახმა არიან თითოეულ ვარსკვლავში 70 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადონ, თუ, რა თქმა უნდა, კლუბები მათ გაშვებას დათანხმდებიან.

"სიტის" მფლობელებს შეეძლოთ მეტი თანხაც დაესახელებინათ. საეჭვოა, რომ მათ ამ თანხის გაღება დასჭირდეთ. მესი, კაკა და რონალდუ რომ არ იყიდებიან, ეს ყველასთვის ცნობილია.

### "რეალი" დავიდ სილვას იწვევს

ესპანეთის ნაკრებისა და "ვალენსიას" 22 წლის ნახევარმცველ დავიდ სილვას მადრიდის "რეალი" იწვევს.

ესპანური მედიის ინფორმაციით, ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ესპანელი ნახევარმცველი შესაძლოა ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გადაბარგდეს "სამეფო კლუბში".

სილვამ სეზონის დასაწყისშივე მიიღო ტრავმა და კარგა ხანია არ უთამაშია. "ღამურების" სამედიცინო შტაბის განცხადებით, დავიდი იანვრიდან შეძლებს თამაშის დაწყებას.

### ძოლას რჩევა

ლონდონის "ვესტ ჰემის" იტალიელი თავკაცი ჯანფრანკო ძოლა ინგლისის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ფაბიო კაპელოს ურჩევს, რომ მან "ჩაქუჩების" 28 წლის მეკარეს რობერტ გრინს მიაქციოს ყურადღება.

ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ ინგლისის ნაკრებში ყველაზე პრობლემური სწორედ მეკარის პოზიციაა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ შესაძლოა ესპანელ მანუელ ალმუნიას მისცენ ბრიტანეთის მოქალაქეობა, რათა მან ინგლისის ნაკრების კარში დაიკავოს ადგილი.

"ბოლო დროს რობერტსმა შესამჩნევად მოუმატა თამაშს. მე მას ვუთხარი, რომ თუ ასე გააგრძელებს, ინგლისის ნაკრებშიც კი მიეცემა თამაშის შანსი. კაპელომ შესანიშნავად იცის თავისი საქმე და დარწმუნებული ვარ, გრინის კლასში ზრდა არც მის თვალს გამოეპარებოდა", - აცხადებს ძოლა.

### ჰუნტელაარს ვერ შევინარჩუნებდით

როგორც იცით, ამსტერდამის "აიაქსის" ახალგაზრდა ფორვარდი იან ჰუნტელაარი უკვე მადრიდის "რეალის" ფეხბურთელია. მან გაიარა სამედიცინო შემოწმება "სამეფო კლუბში" და გულშემატკივრებსაც წარუდგინეს. ამ ტრანსფერზე საკუთარი პოზიცია გამოხატა "აიაქსის" მწვრთნელმა მარკო ვან ბასტენმაც.

"ლოგიკურია, რომ როდესაც ავანსცენაზე გამოდის ისეთი კლუბი, როგორიც "რეალია", ფეხბურთელის შენარჩუნება თითქმის შეუძლებელი ხდება. "აიაქსში" უამრავ რამეზე უნდა ვიზრუნოთ და გუნდს ერთ ფეხბურთელს ვერ გადავაყოლებთ. ცხადია, ჰუნტელაარის შენარჩუნება გვინდოდა, მაგრამ ეს ჩვენს ძალებს აღემატება", - ამბობს ვან ბასტენი.

### სუპერკლასიკო კანტალეხოს ანდეს

ესპანეთის ჩემპიონატის მეთხუთმეტე ტურში სეზონის უმთავრესი მატჩი გაიმართება. ესპანურ სუპერკლასიკოში "რეალი" და "ბარსელონა" უპირისპირდებიან ერთმანეთს. გაზეთ მარკას ინფორმაციით, მატჩზე მსაჯად დაინიშნა გამოცდილი ესპანელი არბიტრი ლუის მედინა კანტალეხო.

ამ სეზონში კანტალეხომ ესპანეთის ჩემპიონატში 6 მატჩი იმსაჯა. 35-ჯერ მოუწია ყვითელი ბარათის ჩვენება, ორი ფეხბურთელი გააძევა მინდვრიდან და ხუთი პენალტი დანიშნა.

### ბექსი აფრიკულ მუნდიალს უმიზნებს

ამერიკული "ლოს ანჯელეს გალაქსის" ინგლისელი ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი, რომელიც, იანვრიდან მოყოლებული, სამი თვის განმავლობაში "მილანის" ღირსებას დაიცავს, აცხადებს, რომ ძალიან უნდა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაში.

"მთავარია, რომ ყოველ შეხვედრაში ვცდილობ კარგად ვითამაშო და ვინარჩუნებ სპორტულ ფორმას. ფეხბურთში ყველაზე ღირებული ის არის, რომ საკუთარი ქვეყნის ღირსების დაცვა შეგიძლია. რა თქმა უნდა, მსურს 2010 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გამგზავრება. ეს ჩემი ოცნებაა. იმისთვის, რომ ეს ოცნება რეალობად იქცეს, აუცილებელია ყოველ მომდევნო თამაშზე ვიფიქრო და მაქსიმალურად დავიხარჯო მოედანზე", - განაცხადა ბექჰემმა.

### "იუვეს" ტრავმირებულები უბრუნდებიან

ტურინის "იუვენტუსი" მომდევნო ტურის მატჩს ალბათ სრული საბრძოლო შემადგენლობით შეხვდება. არადა, გუშინ ტურინული კლუბის ბანაკი პანიკამ მოიცვა. საქმე ის არის, რომ ვარჯიშზე დაშავდა პაველ ნედვედი. თავიდან ყველას ეგონა, რომ ტრავმა სერიოზულია, თუმცა პაველმა ვარჯიში განაახლა და ორმხრივ მატჩშიც მიიღო მონაწილეობა. ამავე დროს ცნობილი ხდება, რომ ნელ-ნელ ცარიელდება "იუვეს" ლაზარეთიც. ტრავმა მოიშუშა კრისტიანო ძანეტიმ. ვარჯიში დაიწყო მაურო კამორანეზიმ. ბუფონი, ტრეზეგე და პოულსენი ჯერ მსუბუქად ვარჯიშობენ. მოედანზე მათი გამოჩენა არ ივარაუდება.

# ფაჩულია მოგებით დაუბრუნდა მოედანს



ზაზა ყოველი ბურთისთვის ბოლომდე იბრძოდა.

NBA-ს რეგულარული სეზონის მორიგი მატჩი "ატლანტამ" "მემფის გრიზლის" წინააღმდეგ გამართა. ჯორჯიელთა ლიდერებმა ტრავმები მოიშუშეს და გუნდი სრული საბრძოლო შემადგენლობით წარდგა მეტოქის წინააღმდეგ.

ერთმატჩიანი უქმობის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა ზაზა ფაჩულია. მასთან ერთად საქმეს შეუდგა ტრავმის გამო თვეზე მეტ ხანს ნაუქმევი ჯორჯიელთა ლიდერი ჯოშ სმიტი და "ატლანტამაც" მორიგი გამარჯვება იზეიმა – 105:95.

სმიტის დაბრუნება იყო და, ქართველმა ცენტრმა ხუთეულში ადგილი დაკარგა, თუმცა სათადარიგოთაგან ყველაზე მეტი, 26 წუთი ითამაშა, რაც იმაზე მეტია, რასაც ზაზა საშუალოდ სასტარტოში თამაშობდა ხოლმე. ქართველმა ცენტრმა კარგად ისროლა ორქულიანები - 4 ცდიდან 3 ჩააგდო და მოგროვილ 6 ქულას ამდენივე მოხსნა (ჯოშ სმიტთან ერთად საუკეთესო შედეგი "ატლანტაში") და 2 პასიც მოაყოლა, ბურთი კი მხოლოდ ერთხელ დაკარგა.

მატჩის ბედი გადაწყდა მეორე მეოთხედში, რომელიც "ატლანტამ" თერთმეტქულიანი უპირატესობით მოიგო და ამის შემდეგ უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვია.

მოედანზე კი საუკეთესო იყო ჯოშ სმიტი, რომელმაც 26 ქულით, 5 მოხსნითა და 4 შედეგიანი გადაცემით დაასრულა მატჩი. ამ შეხვედრაში ბრწყინვალედ ითამაშა "ქორების" გამთამაშებელმა მაიკ ბიბიმ, რომელმაც ორმაგი დუბლი გაახერხა. ბიბიმ 10 ქულას 10 შედეგიანი გადაცემა და 3 მოხსნა დაუმატა.

ამ გამარჯვებით "ატლანტამ" აღმოსავლეთ კონფერენციაში დათმობილი პოზიციები გაიმყარა და 17 თამაშიდან 11 გამარჯვებით თავის დივიზიონში მეორე, ხოლო კონფერენციაში მე-5 ადგილზეა.

მომდევნო მატჩს "ატლანტა" ხვალ, გამთენიისას გამართავს. ფაჩულიასა და მის თანაგუნდელებს საკუთარ მოედანზე "ნიუ იორკის" წინააღმდეგ მოუწევთ თამაში. "ნიქსისთვის" სეზონი არც ისე კარგად დაიწყო. ეს გუნდი აღმოსავლეთ კონფერენციაში მხოლოდ მეცხრე ადგილზეა და პლეი-ოფის საგზურისთვის ბრძოლას აგრძელებს.

# საბატინი წარსულს იხსენებს


გაბრიელა საბატინი უკაცრიელ კუნძულზე როჯერ ფედერერთან ისურვებდა განმარტოებას.

გულშემატკივართა რჩეულმა, მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა სპორტსმენმა, რომელსაც ბევრი ყველა დროის საუკეთესო ლათინოამერკიელ ჩოგბურთელად თვლის, გაბრიელა საბატინიმ რადიო "მარკას" ინტერვიუ მისცა.

**- ამჟამად რითი ხართ დაკავებული?**

- უკვე ოცი წელია ვმუშაობ სუნამოზე, რომელიც ჩემს სახელს ატარებს. უახლოეს პერიოდში 15 ახალი პროდუქტი უნდა წარვადგინოთ ბაზარზე და მე აქტიურად ვმუშაობ ამ ბრენდის პოპულარიზაციაზე. აგრეთვე მაქვს პროექტი, რომელიც უძრავ ქონებას ეხება. ბუენოს-აირესის გარეუბანში ვაპირებთ საჩოგბურთო კლუბის, პოლოს კლუბის და კიდევ რამდენიმე სახლის აშენებას. მონაწილეობას ვიღებ სხვადასხვა ღონისძიებაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. უახლოეს მომავალში საკუთარი ფონდის ჩამოყალიბებასაც ვაპირებ.

**- თქვენს შემდეგ ჩოგბურთი საგრძნობლად შეიცვალა...**

- დიახ. და ეს განსაკუთრებით მოთამაშეთა ძალას ეხება. ადრე თამაში უფრო მრავალფეროვანი იყო, ახლა კი ჩოგბურთელთა ფიზიკურ ძალაზე კეთდება აქცენტი. თითქმის ყველა ჩოგბურთელს ძალიან ძლიერი მოწოდება აქვს. მთავარი განსხვავება ალბათ სწორედ ეს არის.

**- მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია ჩოგბურთიდან წახვედით, ბევრი საუკეთესო ლათინოამერკელ ჩოგბურთელად გთვლით. ეს დიდი პატივია?**

- რა თქმა უნდა. ჩოგბურთმა ძალიან ბევრი მომცა. ამას მაშინ უფრო აფასებ, როცა კარიერას დაასრულებ.

**- ადრე დაამთავრეთ. სულ 26 წლის იყავით. რატომ მიიღეთ ასეთი გადაწყვეტილება?**

- ამ გადაწყვეტილების მიღება ადვილი არ ყოფილა. კარიერის უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კორტზე ბედნიერად ვერ ვგრძნობდი თავს. არ ვიცი რა მჭირდა. სპორტულ ფსიქოლოგებთან ურთიერთობით მივხვდი, რომ უბრალოდ თამაში აღარ მინდოდა. ვარჯიშზე მისვლაც კი მიჭირდა. მინდოდა ნორმალური, მშვიდი ცხოვრებით მეცხოვრა. საბედნიეროდ, დროზე მივხვდი და კარიერა დავასრულე.

**- მოგებული ტიტულებიდან ყველაზე ძვირფასი რომელია?**

- 1990 წელს აშშ-ის ღია პირველობის მოგება. დიდი სლემის ერთადერთი ტურნირი, რომელიც მოვიგე. ნიუ იორკში თამაში ჩემთვის ყოველთვის განსაკუთრებული იყო.

**- თქვენი ყველაზე რთული მეტოქე შტეფი გრაფი იყო?**

- დიახ. გამიმართლა, რომ შტეფის ეპოქაში ვთამაშობდი. რა თქმა უნდა, მას ჩემთვის გაცილებით მეტი მატჩი აქვს მოგებული, ვიდრე მე მისთვის, მაგრამ ყოველთვის მიხაროდა შტეფის წინააღმდეგ კორტზე გასვლა, რადგან ამ თამაშებში იძულებული ვიყავი შესაძლებლობის მაქსიმუმი მეჩვენებინა.

**- თქვენი კიდევ ერთი წარმატება სეულის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალია. 1988 წლის ოლიმპიურ თამაშებზე არგენტინის დროშის ტარების პატივიც გერგოთ...**

- ეს დღეები ჩემს კარიერაში გამორჩეულია. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა ხომ უნიკალური გამოცდილებაა. ჩოგბურთი ინდივიდუალიზმს გაჩვევს. ოლიმპიურ თამაშებზე კი სიხარულს და მწუხარებას შენს თანაგუნდელებს უზიარებ. ოლიმპიურ თამაშებზე საკუთარი ქვეყნის მედროშეობა უდიდესი პატივია, ოლიმპიური მედლის მოგება კი - უდიდესი მიღწევა. მაშინ ოქროს მოგება მინდოდა და იმედგაცრუებულიც ვიყავი, მაგრამ ახლა იმ ოლიმპიურ თამაშებს სიამაყით ვიხსენებ.

**- თანამედროვე ჩოგბურთელებიდან ვის აქვს აბსოლუტური ლიდერის სტატუსის მოპოვების შანსი?**

- თუ თანამედროვე ჩოგბურთელებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ წამყვანი მოთამაშეების დონე დაახლოებით თანაბარია. ასე რომ, არა მგონია, ვინმემ აბსოლუტური ლიდერის სტატუსის მოპოვება შეძლოს.

**- რას ფიქრობთ ჩოგბურთელთა გადატვირთულ კალენდარზე?**

- ამაზე ჯერ კიდევ მაშინ ვსაუბრობდი, როდესაც ვთამაშობდი. ჩოგბურთელებს დასვენების დრო უნდა ჰქონდეთ. ტურნირები კი ისეა ერთმანეთზე მიწყობილი, რომ შვებულებაში გასვლაც წარმოუდგენელია.

**- და ბოლოს, ბლიცი, თუ შეიძლება. ჩოგბურთი რომ არა, რა სპეციალობას აირჩევდით?**

- ალბათ მომღერალი გავხდებოდი.

**- ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი.**

- მარტინა ნავრატილოვა და შტეფი გრაფი.

**- თქვენი თამაშებიდან ყველაზე ხშირად რომლის ჩანაწერს უყურებთ?**

- 1990 წლის აშშ-ის ღია პირველობის ფინალს შტეფი გრაფის წინააღმდეგ.

**- მსოფლიოს რომელი ქვეყნის ნახვას გვირჩევდით?**

- საბერძნეთის.

**- უკაცრიელ კუნძულზე ვისთან ერთად ისურვებდით ყოფნას?**

- როჯერ ფედერერთან.

**- თქვენ ხართ პირველი ქალი, ვისი სახელიც ვარდს დაარქვეს. ამ ყვავილს ვის აჩუქებდით?**

- ჯორჯ კლუნის.

**- რაკი პარფიუმერი ხართ, გვითხარით, როგორი სურნელი აქვს "გაბრიელა საბატინის".**

- მინდვრის ყვავილების.

# მინდა კვლავ საუკეთესო ვიყო



რონალდუს წარმატება თავში არ აუვარდება.

იმის შესახებ, რომ სწორედ ის გახდა "ოქროს ბურთის" მფლობელი, კრიშტიანუ რონალდუმ ორშაბათ საღამოს საკუთარ ბინაში შეიტყო.

გამოცემა France Football-ის წარმომადგენელი საგანგებოდ ესტუმრა რონალდუს და მას შემდეგ, რაც გამოკითხვის შედეგები შეატყობინა, რამდენიმე კითხვითაც მიმართა.

**- თქვენ მოიგეთ "ოქროს ბურთი". 480 შესაძლებლიდან 446 ქულა დააგროვეთ და თითქმის გაიმეორეთ კაკას მიღწევა. რას გრძნობთ ახლა?**

- ეს ერთ-ერთი საუკეთესო დღეა ჩემს ცხოვრებაში. ბავშვობაში ვოცნებობდი ამ ტიტულის მოგებაზე. ამიტომ აღელვებული ვარ და... არა, სიტყვებით ამ ემოციას ვერ გადმოვცემ. როდესაც კარი გაგიღეთ, მეგონა, რომ "ოქროს ბურთს" ახლავე გადმომცემდით. კვირას, როდესაც ოფიციალური ცერემონიალი გაიმართება და ოჯახის წევრებთან ერთად ვიქნები, განსხვავებული ემოცია მექნება. ახლა კი მადლობას ვუხდი ყველას, ვინც მე დამიჭირა მხარი. ჩემმა ახლობლებმა იციან, ეს იყო ჩემი ოცნება, რომელიც ახდა.

**- თქვენ მესამე პორტუგალიელი ხართ ეუსებიოსა და ფიგუს შემდეგ, ვინც ეს ჯილდო მოიგო. ამაზე რას იტყვით?**

- დიახ, მესამე ვარ ორი უდიდესი ფეხბურთელის შემდეგ, რომლებიც ახლა თქვენ დაასახელეთ. მე 23 წლის ვარ და ეს არაჩვეულებრივია. შეუძლებელია იმის დაჯერება, რომ სპორტული კარიერა სულ რამდენიმე წლის წინ დავიწყე. ეს უბრალოდ ფანტასტიკაა, მით უმეტეს, რომ ნომინანტთა სიაში არაერთი ძლიერი ფეხბურთელი იყო. ვხედავ, რომ ლიო მესი მეორეა, ფერნანდო ტორესი - მესამე, ხავი - მეხუთე, მის წინ კი - კასილიასი. თითოეულ მათგანს შეეძლო "ოქროს ბურთის" მოგება.

**- ეჭვი გეპარებოდათ თქვენს გამარჯვებაში?**

- არ ვღელავდი, რადგან კარგად ვიცი, როგორი იყო ჩემთვის გასული სეზონი. თუმცა ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო. ამიტომ კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას მათ, ვინც მე მომანიჭა უპირატესობა. მადლობელი ვარ ჩემი თანაგუნდელების, რომელთა დახმარების გარეშე ეს წარმატება არ მოვიდოდა. სწორედ ისინი მამარაგებდნენ გადაცემებით. ამის წყალობით შევძელი სეზონში 42 გოლის გატანა.

**- რას გააკეთებთ დილით, როდესაც "მანჩესტერის" საწვრთნელ ბაზაზე მიხვალთ?**

- იმას, რასაც ყოველთვის ვაკეთებ. ვიმუშავებ, რათა შაბათის მატჩს კარგ ფორმაში შევხვდე. დილით, ვარჯიშზე, ზუსტად ის ბიჭი ვიქნები, რომელიც გუშინ ვარჯიშობდა. ერთადერთი, რისი თქმაც ზუსტად შემიძლია, ის არის, რომ კვლავ მინდა გამარჯვება, რადგან ეს მშვენიერი გრძნობაა. მინდა უმაღლეს დონეზე გავაგრძელო თამაში და, სულ მცირე, ერთხელ კიდევ მოგიწიოთ ჩემთან სტუმრობა და ასეთი სასიხარულო ამბის მოტანა.

# რვა ოქრო და... უკვე მაიკლ ფელპსი ხარ

გიგა გურასაშვილი

*პეკინის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი გმირი, რომელმაც თავისი გაცურვებით მსოფლიო აალაპარაკა და შვიდი მსოფლიო რეკორდი დაამხო, ამერიკულმა ჟურნალმა "სპორტს ილუსტრეიტედმა" წლის სპორტსმენად აღიარა. როგორც მიხვდით, საუბარია ამერიკელ მაიკლ ფელპსზე, რომელმაც პეკინის ოლიმპიურ წყალში ყველა გაცურვა ოქროს მედლით დაასრულა. ასეთი გაცურვა კი რვა იყო, შესაბამისად, ამდენივე ოქროს მედალი.*




მაიკლ ფელპსმა "სპორტს ილუსტრეიტედს" ნავსი გაატეხინა.

პეკინის საწყლოსნო კომპლექსში მაიკლ ფელპსმა აშშ-ის ნაკრების საჩემპიონო ყულაბას შესძინა ოქროს მედლები 200 და 400 მეტრზე კომპლექსურში, 200 მეტრზე თავისუფალში, 100 და 200 მეტრზე ბატერფლაიში, 4X100 თავისუფალსა და კომბინირებულში და 4X200 თავისუფალ საესტაფეტო გაცურვებში.

ერთი სიტყვით, ერთ კონკრეტულ ოლიმპიურ თამაშებზე ერთბაშად რვა ოქროს მედალი პეკინის თამაშებამდე არავის ჰქონდა მოგებული.

ფელპსამდე ერთგვარი რეკორდის ავტორი იყო ასევე ამერიკელი მოცურავე მარკ სპიცი, რომელმაც მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე (1972 წ.) შვიდი ოქროს მედალი დაისაკუთრა.

"სპორტს ილუსტრეიტედი" წლის სპორტსმენს ყოველწლიურად ასახელებს. ნუსხა მუჰამედ ალის, ლენს არმსტრონგის, მაიკლ ჯორდანის, ჯეკ ნიკლაუსის, ტაიგერ ვუდსისა და იოჰან ოლაფ კოსის დარად არაერთ დიდ სახელს იტევს. ჟურნალმა წლეულს 55-ედ გამოავლინა საკუთარი რჩეული. რედაქტორ ტერი მაკდონელის აღიარებით, ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც საუკეთესოს დასახელება ამერიკულ გამომცემლობას არ გასჭირვებია.

"მაიკლ ფელპსის, როგორც 2008 წლის საუკეთესო სპორტსმენის დასახელება ყველაზე იოლი არჩევანი გამოდგა ჩვენთვის. შეხედეთ იმას, რაც მან გააკეთა პეკინში და მიხვდებით, ვისთან გვაქვს საქმე. მის საარაკო გაცურვებს თვალს ვადევნებდი. გამარჯვებას გამარჯვება მოჰყვებოდა. მან შეცვალა არა მარტო ცურვის სამყარო, არამედ მთლიანად ოლიმპიური თამაშები".

"სპორტს ილუსტრეიტედი", როგორც წესი, საუკეთესოს მარტო შედეგების მიხედვით არ ასახელებს. საგამომცემლო ჯგუფი ამა თუ იმ სპორტსმენის ხასიათს, ქარიზმას და, საერთოდ, ადამიანურ თვისებებსაც ითვალისწინებს.

ამით ხელმძღვანელობს ამერიკული ჟურნალი 1957 წლიდან.

და კიდევ, ეს პირველი შემთხვევაა ჟურნალის არსებობის მანძილზე, როცა საუკეთესო სპორტსმენად აღიარა მოცურავე. ამ წოდებასთან ახლოს იყო მარკ სპიცი, მაგრამ ბოლოს მას ჩოგბურთელი ბილი ჯინ კინგი ამჯობინეს.

"მართალი გითხრათ, ისევ იმ ადამიანად ვგრძნობ თავს, რაც ვიყავი, - ჯილდოს მიღების შემდეგ თქვა 23 წლის ფელპსმა, – ვაკეთებ იმას, რაც მიყვარს. შევძელი იმის გაკეთება, რაც წლეულს დავისახე მიზნად. ეს იყო ოცნება, რომელმაც ფრთები შეისხა. ამაზე მეტს ველარ ვინატრებდი".

სხვათა შორის, მაიკლ ფელპსს იგივეს გაკეთება სურდა ათენის ოლიმპიურ თამაშებზეც, მაგრამ მაშინ მხოლოდ ექვსი ოქრო დაისაკუთრა. დღეს მაიკლ ფელპსი ერთადერთია ოლიმპიურ ჩემპიონთა ნუსხაში, რომელსაც 14 ოქროს მედალი აქვს მოპოვებული.

## ტოშაკს ახალი კონტრაქტი შესთავაზეს

უელსის საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელობა იწყებს მოლაპარაკებას ეროვნული ნაკრები გუნდის მთავარ მწვრთნელ ჯონ ტოშაკთან.

ვალიელებს სურთ, რომ ტოშაკს 2012 წლამდე გაუგრძელონ კონტრაქტი. მოქმედი კონტრაქტის ვადა 2010 წელს იწურება.

## გომესს საკუთარი თავის სჯერა

"ტოტენჰემის" ბრაზილიელი მეკარე ეურელიო გომესი აცხადებს, რომ ფიზიკურად და სულიერადაც გაცილებით უკეთ გრძნობს თავს, ვიდრე სეზონის დასაწყისში.

"თავს უკეთ ვგრძნობ. სეზონის დასაწყისში გარკვეული პრობლემები მქონდა, გუნდი აგებდა და მეც ძალიან ცუდად ვიყავი. ახლა თავდაჯერებულობა შემემატა, ფიზიკურადაც უკეთ ვარ მზად. დარწმუნებული ვარ, "ტოტენჰემს" ჩემპიონთა ლიგაში თამაში შეუძლია და ამაში მე დავეხმარები გუნდს", - აცხადებს გომესი.

შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელი სეზონის დასაწყისში გადავიდა "დეზებში", ლონდონელებმა სეზონის სტარტი აშკარად ჩააგდეს და ამაში ბრაზილიელ კიპერსაც მიუძღოდა წვლილი.

## ტევესი ბედნიერია

"მანჩესტერის" არგენტინელ ფორვარდ კარლოს ტევესს ამ სეზონში არც ისე ხშირად უწევს მანკუნიანური გუნდის ძირითად შემადგენლობაში თამაში. ალექს ფერგიუსონმა არგენტინელს თავის გამოჩენის საშუალება "ბლექბერნთან" სათასო მატჩში მისცა და ტევესმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა. "მანჩესტერმა" ეს თამაში 5:3 მოიგო. ხუთიდან ოთხი გოლი ტევესის ანგარიშზეა.

"მიხარია, რომ ოთხი გოლი გავიტანე. ასეთი რამ ჩემს კარიერაში პირველად მოხდა. ბედნიერი ვარ, რომ პოკერი "მანჩესტერის" შემადგენლობაში შევასრულე. ბოლო ხანს იშვიათად მიწევდა თამაში. ამიტომ მოედანზე გასვლას მოუთმენლად ველოდი", - აცხადებს ტევესი.

## "ზენიტის" წინააღმდეგ ლიდერების გარეშე

მადრიდის "რეალის" ჰოლანდიელი ნახევარმცველი უესლი შნაიდერი და პორტუგალიელი მცველი პეპე ტრამვების გამო გამოტოვებენ "ზენიტთან" ჯგუფურ თამაშს, რომელიც 10 დეკემბერს გაიმართება. საინფორმაციო სააგენტო "როიტერის" ცნობით, შნაიდერი ორ კვირას ვერ შეძლებს თამაშს, ხოლო პეპე ერთი თვით გამოეთიშა ჩემპიონთა ლიგას. ტრამვის გამო "ზენიტთან" თამაშს ვერ შეძლებს მიგელ ტორესიც.

"რეალის" კიდევ ერთ წამყვან ფეხბურთელს რუდ ვან ნისტერლოოს მთელი სეზონი გაუცდება.

სხვადასხვა დაზიანების გამო "ხეტაფესთან" თამაში ვერ შეძლეს გონსალო იგუანიმ, ნახევარმცველმა არენ რობენმა, მამადუ დიარამ, მცველმა ფაბიო კანავაროამ და გაბრიელ ჰაინცემ.

## "ვალენსია" ოლიჩის შეძენას ცდილობს

ესპანური "ვალენსია" ზამთრის სატრანსფერო პერიოდში "ჰამბურგის" ხორვატი ფორვარდის ივიცა ოლიჩის შეძენას შეეცდება.

ოლიჩი 2009 წლის ზაფხულში თავისუფალი აგენტი ხდება და გერმანულ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელებას არ ჩქარობს. ასე რომ, ამ ტრანსფერზე, სავარაუდოდ, "ჰამბურგის" მესვეურებიც არ იტყვიან უარს. წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანელებმა ოლიჩი ზაფხულში შესაძლოა ისე დაკარგონ, რომ კომპენსაციაც ვერ მიიღონ.

## ამერიკელმა მოკრივემ საკუთარ თავს ძეგლი დაუდგა

ამერიკელმა მოკრივემ ოსკარ დე ლა ჰოიამ საკუთარ თავს პატივი დასდო და სტადიონ "სტეიპლ ცენტრთან" ძეგლი დაიდგა. ბრინჯაოს ძეგლზე მოკრივე რინგის კუთხეშია გამოსახული და ხელები შემართული აქვს. აქამდე ამ სტადიონთან მხოლოდ ორი სპორტსმენის ძეგლი იდგა. ერთი ჰოკეისტ უეინ გრეცკის გამოსახავდა, ხოლო მეორე - კალათბურთელ მაიკლ ჯორდანს.

დე ლა ჰოია წარმოშობით ლოს ანჯელესიდანაა, მაგრამ "სტეიპლ ცენტრში" მხოლოდ ერთი ბრძოლა აქვს ჩატარებული, ისიც თავის თანამემამულე შეინ მოსლისთან, რომელიც წააგო.

პროფესიულ რინგზე ჰოიას 39 ბრძოლა აქვს მოგებული, აქედან 30 ნოკაუტით. ხუთჯერ დამარცხდა, ხოლო ექვს წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

6 დეკემბერს ამერიკელი ფილიპინელ მენი პაკიაოსთან მართავს ბრძოლას. ეს მატჩი ლას ვეგასში გაიმართება.


AFP ' 2008

ბიატლონში 20 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში გამარჯვებას ხუთგზის ოლიმპიურ და მსოფლიოს ათგზის ჩემპიონ ნორვეგიელ ოლე ეინარ ბიორნდალენს (ფოტოზე) უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ტიტულოვან ნორვეგიელს ფეხი დაუცდა 25-ე ადგილით დაასრულა რბოლა. ოსტერსუნდის (შვედეთი) ბილიკებზე მიმდინარე მსოფლიო თასზე, გამარჯვება გერმანელმა მიხაელ გრეისმა მოიპოვა. გერმანელს ფეხდაფეხ მიყვნენ ბიორნდალენის თანამემამულეები ალექსანდრ ოსი და ემილ სვენდსენი.

Hyundai გთავაზობთ უნიკალურ შანსს:

შეიძინე Veracruzi 1 იანვრამდე და მიიღე საჩუქრად 1 წლიანი უფასო დაზღვევა მიმდინირე ტექნიკურ მომსახურეობასთან ერთად. *
( სპეციალურად ორგანიზაციებისთვის დამატებითი ბონუსი: ფასდაკლება მანქანის ნაწილებზე და მომსახურეობაზე)

*საბანკო განვადების შემთხვევაში მყიდველი ირჩევს ან ერთ წლიან დაზღვევას ან ბანკის სპეციალურ ფასდაკლებას. მიმდინარე ტექნიკური მომსახურეობა ძალაში რჩება.




პრიზები:
აშშ -2008 წლის საუკეთესო საზამთრო კროსოვერი
2008 წლის ლოს-ანჯელესის ავტო შოუს გამარჯვებული
კანადა-2008 წლის საუკეთესო საოჯახო მანქანა
ავსტრალია -2008 წლის საუკეთესო კროსოვერი

## ცვლილება სატენდერო განცხადებაში საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

2008 წლის 3 დეკემბრის „24 საათი"-ს N270 ნომერში გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში „მოწვევა ფასთა კოტირების წარდგენაზე მგფ-ს ახალი ოფისის (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N 150) ბუნებრივი აირით მომარაგების სამუშაოების შესყიდვაზე (საიდენტიფიკაცო ნომერი: #MDF/SB/003/08)"

შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მე-5 აბზაცი: კოტირების მიღების ბოლო ვადა არის 2008 წლის 11 დეკემბერი, 12:00 საათი.



გამოშვებულია სს ეიჩ ეს ბი სი ბანკი საქართველოს მიერ



DESIGN TURKEY
2008
Награда
за Лучший Дизайн

HIDROMEK
www.hidromek.com
AS TECHNIC LTD. 97.D. AGMASHENEBELI, Tbilis, GEORGIA
Phone:+ 995 32 452312 Fax:+ 995 77451815

## ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

ქალაქ თბილისის მერიის მიერ 2008 წლის 29 ნოემბერს გაზეთ „24 საათში“, ავტომანქანების დაზღვევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში შეტანილ იქნას ცვლილებები და შესყიდვის ობიექტი განისაზღვროს შემდეგნაირად:

1. შესყიდვის ობიექტია ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციისა და საქალაქო სამსახურების ბალანსზე რიცხული ავტომანქანების სრული დაზღვევისა და ავტომფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის მომსახურება, კერძოდ:

ა) 145 ერთეული მსუბუქი ავტომანქანის სრული დაზღვევა და ავტომფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა;

**სატენდერო კომისია**

## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
## საჩხერის
## მუნიციპალიტეტის გამგებლის
## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
## N468
## 2008 წლის 19 ნოემბერი

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ყოფილი პროფტექნიკური სასწავლებლის შენობაზე გამოცხადებული აუქციონის პროცესის შეწყვეტის შესახებ

„სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

შეწყვეტილი იქნეს აუქციონის პროცესი საჩხერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ყოფილი პროფტექნიკური სასწავლებლის შენობაზე.

საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელი: ზ. ცერცვაძე

## იყიდება



საწარმოო ფართი შენობა-ნაგებობებითა და საჭირო ინფრასტრუქტურით, მიწის საერთო ფართი შეადგენს 17544 მ$^2$.

მისამართი: გლდანულა, ჯანჯღავას ქ. N62.

საკონტაქტო პირი: ბადრი ღლონტი 899 50 71 95.

## თვალის მიკროქირურგიის
## ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს
## კლინიკა
## "ოფთალმიჯი"

**ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი მოძრავი საოპერაციო ბლოკით**

**უკანასკნელი თაობის ასფერული მულტიფოკალური ბროლი Acrysof-ReSTOR კატარაქტის ქირურგიაში**

**საუკეთესო მხედველობა სათვალის გარეშე როგორც შორს, ისე ახლო მანძილზე**

**ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80**

## დ ა ზ უ ს ტ ე ბ ა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2008 წლის 3 დეკემბერს, გაზეთ „24 საათში“ (N270) გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში, რომელიც შეეხება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზის კმ.58-კმ.67.4 მონაკვეთის პერიოდული სამუშაოების შესყიდვას

პირველი პუნქტის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 12) აცხადებს ტენდერს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზის კმ.58-კმ.67.4 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს.

**საავტომობილო გზების დეპარტამენტის**
**სატენდერო კომისია**

# ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქპატენტი აცხადებს აუქციონს

1. ოფსეტური ორფერიანი საბეჭდი მანქანა "ADAST DOMINANT 725P";
2. ფურცელსაჭრელი მანქანა;
3. ამოსაკვეთი მანქანა.
4. ხელის თერმოამკინძავი მანქანა "LAMIBIND340"
5. ხელის თერმოამკინძავი მანქანა "PRACTIC210"

| № | საინვენტ. ნომერი | დანადგარის დასახელება | შეძენის თარიღი | (აშშ დოლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | 000988 | ოფსეტური ორფერიანი საბეჭდი მანქანა | 10/08/97 | 7000 |
| 2 | 000990 | ფურცელსაჭრელი მანქანა | 06/08/97 | 2500 |
| 3 | 000991 | ამოსაკვეთი მანქანა | 06/08/97 | 1000 |
| 4 | 002032 | ხელის თერმოამკინძავი მანქანა "LAMIBIND340" | 01/06/01 | 1500 |
| 5 | 001334 | ხელის თერმოამკინძავი მანქანა "PRACTIC210" | 17/06/99 | 500 |

მეორადი ინვენტარისა და სამშენებლო მასალების ჩამონათვალი: (დანართი 1)
აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:
საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს განცხადების საფუძველზე.
აუქციონში მონაწილეობა უფასოა.
აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია პროცედურის დამთავრებისთანავე გადაიხადოს შესასყიდი ობიექტის სარეალიზაციო ფასის 100%, თანხის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში, გადახდის მომენტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით.
ობიექტის გადაცემა მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა 2008 წლის 5 დეკემბრიდან 2008 წლის 26 დეკემბრამდე 10 სთ-დან 16 სთ-მდე მისამართზე: ი. ჭავჭავაძის გამზირი I ჩიხი №6.

აუქციონი გაიმართება 2008 წლის 26 დეკემბერს 16 საათზე. მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზირი I ჩიხი №6.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება შესასყიდ ობიექტზე. ოფსეტურ საბეჭდ, ფურცელსაჭრელ, ამოსაკვეთ მანქანაზე, თერმოამკინძავი მანქანა "LAMIBIND340"-ზე, და თერმოამკინძავი მანქანა "PRACTIC210"-ზე სავაჭრო ბიჯი იქნება 100 აშშ დოლარი, ხოლო მეორადი ინვენტარისა და გამოყენებული სამშენებლო მასალების სავაჭრო ბიჯი 30 ლარი.

**დამატებითი ინფორმაცია ობიექტის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ მისამართზე:** ი. ჭავჭავაძის გამზირი I ჩიხი №6., ტელ.: 24 10 31, ფაქსი: 24 10 31.

დანართი 1

მეორადი ინვენტარისა და სამშენებლო მასალების ჩამონათვალი

| № | დასახელება | სიდიდე | რაოდენობა | ზომის ერთეული | ფასი (ლარი) | მოცულობა | ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 1 | კარადა ლამინატის 185X90 | 2 კარიანი | 1 ცალი | | | | 84.6 |
| 2 | კარადა ლამინატის 190X180 | 4 კარიანი | 1 ცალი | | | | 158.4 |
| 3 | კარადა ლამინატის 185X90 | 2 კარიანი | 1 ცალი | | | | 84.6 |
| 4 | კარადა ლამინატის 185X90 | 2 კარიანი | 1 ცალი | | | | 84.6 |
| 5 | ხის კოჭები | 0,10X0,14მX6მ | 2 ცალი | 1კუბ/მ | 216 | 0.168 | 36.3 |
| 6 | ხის კოჭი | 0,10X0,20მX6მ | 1 ცალი | 1კუბ/მ | 216 | 0.12 | 25.9 |
| 7 | მეტალო-კრამიტის კუთხოვანა | 2 მეტრი | 8 ცალი | 1გრძ.მ | 2.7 | 16 | 43.2 |
| 8 | რკინის ჟალუზი | 1,0მX1,7მ | 2 ცალი | 1კვ.მ | 63 | 3.4 | 214.2 |
| 9 | რკინის ჟალუზი | 0,85მX1,0მ | 4 ცალი | 1კვ.მ | 63 | 3.4 | 214.2 |
| 10 | რკინის ჩარჩო | 1,0მX1,7მX | 1 ცალი | 1კვ.მ | 22.5 | 1.7 | 38.25 |
| 11 | ფანერა | 1,53მX1,53მX | 1 ცალი | | 13.5 | 2.3409 | 13.5 |
| 12 | ხის კარები | 2,32X0,77 | 18 ცალი | 1კვ.მ | 43.2 | 32.31 | 1395.8 |
| 13 | ხის კარები | 2,1X0,6 | 5 ცალი | 1კვ.მ | 43.2 | 6.3 | 272.16 |
| 14 | თუნუქის სანიაღვრე მილები | 2,5 მეტრი | 5 ცალი | 1გრძ.მ | 1.8 | 12.5 | 22.5 |
| 15 | კარების ხის ჩარჩო | 2,3 მეტრი | 34 ცალი | 1გრძ.მ | 3.6 | 78.2 | 281.52 |
| 16 | კარების ხის ჩარჩო ზედა ნაწილი | 0,9 მეტრი | 18 ცალი | 1გრძ.მ | 3.6 | 16.2 | 58.32 |
| 17 | რადიატორი | 300 სექცია | 39 ცალი | 1 სექცია | 1.1 | 300 | 330 |
| 18 | რკინის კუთხოვანა | 3 მეტრი | 2 ცალი | 1გრძ.მ | 2.7 | 6 | 16.2 |
| 19 | მინის პაკეტი ორმაგი | 1,7მX1,15მ | 1 ცალი | 1კვ.მ | 36 | 1.955 | 70.38 |
| 20 | კონდენციონერის დამცავი შიდა რკინის | 0,68X0,93X0,41მ | 3 ცალი | | 13.5 | 3 | 40.5 |
| 21 | რკინის გალიის ჩარჩო ტრუბაკვადრატით | 4მX0,5მ | 1 ცალი | 1კვ.მ | 9 | 2 | 18 |
| 22 | რკინის გისოსი არმატურით | 2,1მX1,8მ | 1 ცალი | 1კვ.მ | 3.6 | 3.78 | 13.6 |
| 23 | რკინის ფანჯარა | 1,5მX0,8მ | 5 ცალი | 1კვ.მ | 7.2 | 6 | 43.2 |
| 24 | კონდენციონერი "სიტალი" | | 1 ცალი | | 280 | | 280 |
| 25 | მეტალოპლასმასის კარები | 1,6მX3,1მ | 1 ცალი | 1კვ.მ | 50.4 | 4.96 | 249.984 |
| 26 | მეტალოპლასმასის კარები | 0,75მX3,1მ | 1 ცალი | 1კვ.მ | 50.4 | 2.325 | 117.18 |
| 27 | ხის კარები | 2,1მX0,54მ | 2 ცალი | 1კვ.მ | 43.2 | 2.268 | 108.86 |
| 28 | ფანჯრის გისოსი რკინის კვადრ. არმატურით | 2,1მX1,74მ | 1 ცალი | 1კვ.მ | 45 | 3.654 | 164.43 |
| 29 | გოფრირებული თუნუქის სახურავი | 1,0მX2,3მ | 5 ცალი | 1კვ.მ | 2.7 | 11.5 | 31.05 |
| 30 | რკინის ჩარჩო ტრუბაკვადრატით | 1,6მX1,1მ | 5 ცალი | 1გრძ.მ | 7.2 | 8.8 | 63.36 |
| 31 | ტრუბაკვადრატის ფერმა | 6 მეტრი | 3 ცალი | 1გრძ.მ | 3.6 | 18 | 64.8 |
| 32 | ჟალუზი რკინის | 1,9მX1,05მ | 4 ცალი | 1კვ.მ | 63 | 7.98 | 502.74 |
| 33 | ჟალუზი რკინის | 0,7მX3,1მ | 1 ცალი | 1კვ.მ | 63 | 2.17 | 136.71 |
| 34 | ხის კარები ძრე | 0,7მX2,7მ | 1 ცალი | 1კვ.მ | 43.2 | 1.89 | 81.648 |
| 35 | მეტალოპლასმასის კარები-ფანჯრით | 1,7მX3,1მ | 1 ცალი | 1კვ.მ | 50.4 | 5.27 | 265.608 |
| 36 | კონდენციონერი "დელონგი" 920ვტ | | 1 ცალი | | 480 | | 480 |
| 37 | კონდენციონერის დამცველი გისოსი | | 9 ცალი | | 9 | | 90 |
| 38 | ალუმინის კარები მინებით (სტარაპრობსა) | 2.4მX0.78მ | 3 ცალი | 1კვ.მ | 72 | 1.872 | 134.784 |
| 39 | მეტალო კრამიტის კუთხოვანა | 2 მეტრი | 3 ცალი | 1გრძ.მ | 2.7 | 6 | 16.2 |
| 40 | მინის პაკეტი | 0,97X1,84 | 4 ცალი | 1კვ.მ | 21.6 | 7.1392 | 171.34 |
| 41 | ალუმინის ფანჯარა მინების გარეშე | 2,65მX1,1მ | 2 ცალი | 1კვ.მ | 36 | 3.2065 | 115.434 |
| 42 | ფანჯრის ალათები | | 53 ცალი | | 14.4 | 53 | 763.2 |
| 43 | ხის ძრე კარები | 2,2მX0,8მ | 4 ცალი | 1კვ.მ | 43.2 | 7.04 | 304.128 |
| 44 | "შეკიდული ჭერის პლასმასის პანელი | 6,0მX0,14 მ | 94 კვ.მ | | 2.5 | | 235 |
